

570 /2  
1948

რ. 2.

570/  
2

ЗАВЕДОВЫЕ САБЕЧЛЮПЫ

2008619006 0628083806

## ЗАВЕДОВЫЕ

ЗОЛОДЖАР-ЗЕРВАРУЦОЛЮ სირია

ტ. III (ნაკვეთი 1)

26

## Т Р У ДЫ

## ИНСТИТУТА ГЕОГРАФИИ

ФИЗИКО-ГЕОГРАФИЧЕСКАЯ СЕРИЯ

Т. III (раздел 1)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

1948

თბილი



ЗАБЕЗПІЧЕННЯ  
სახელმწიფო

ЗЕМЛЕВІДОВІ ПОБЕЗПІЧЕННЯ

ІМ'Я

ІМ'Я ІМ'Я-ЗЕМЛЕВІДОВІ ПОБЕЗПІЧЕННЯ

т. III (6480тн 1)

Т Р У ДЫ

ІНСТИТУТА ГЕОГРАФИИ

ФІЗИКО-ГЕОГРАФІЧЕСКАЯ СЕРІЯ

Т. III (раздел 1)

საქართველოს სსრ სახელმწიფო აკადемიის გამოცემა  
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი

1948

თბილისი



## მინისტრის—ОГЛАВЛЕНИЕ

### კლიმატოლოგია—КЛИМАТОЛОГИЯ

რედაქტორის აღნიშვნა . . . . .	III
От редактора . . . . .	IV
მ. კორდახია და გ. ჭირავებულის საქართველოს კლიმატის შესწავლის ისტორიისათვის . . . . .	1
М. А. Кордзахия и Г. И. Чиракадзе. К истории изучения климата Грузии.	
გ. ნაფერგარიძე. ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი კლიმატური ფაქტორი . .	11
Е. А. Напетваридзе. Циркуляционные процессы атмосферы на территории Грузии, как ее климатические факторы.	
მ. კორდახია. ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეგიონი საქართველოში . . . . .	41
М. О. Кордзахия. Климатический режим основных метеорологических элементов в Грузии.	

## რ ე დ ა მ ტ ო რ ი ს ა ბ ა ნ

ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის III ტომი ეძღვნება სა-  
ქართველოს სსრ ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას.

იგი ორ ნაკვეთს შეიცავს: პირველში მოთავსებულია კლიმატოლოგიური  
დახასიათებანი, მეორეში — ჰიდროგრაფიული და ჰიდროლოგიური დახასიათე-  
ბანი.

თუმცა ეს დახასიათებანი შედგენილია ძირითადად გამოქვეყნებული და  
საარქივო მასალების საფუძველზე, მაგრამ მათში მოცემულია უახლესი და ჯერ  
კიდევ გამოუქვეყნებელი მასალებიც, და რაც მნიშვნელოვანია, ეს დახასიათე-  
ბანი აჯამებენ თითოეული საკითხის შესწავლილობის მასალებს და აშუქებენ  
მათ მკვლევართა მიერ არჩეული ახალი მეცნიერული მეთოდებით.

ამ შერივ ეს დახასიათებანი წარმოადგენს საქართველოს ფიზიკურ-გეო-  
გრაფიული პირობების დეტალური და თანადროული საბჭოთა მეცნიერული  
შესწავლის პირველ ცდას და შეიცავენ ამ შესწავლის ცდის შედეგებს.

ანალოგიურად ამ მესამე ტომისა, საქართველოს გეომორფოლოგიურ და-  
ხასიათებას მიეძღვნა მეორე ტომი, რომელიც გამოიცა ვახუშტის სახელობის  
და საკაგშირო მეცნიერებათა იკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მიერ 1947  
წელს და წარმოადგენს საქართველოს სსრ რელიეფის გეომორფოლოგიურ ტი-  
პების დახასიათებას და მათი გავრცელების რაიონების განსაზღვრას.

ამგვარად ეს მესამე ტომი მეორე ტომის ორგანულ გაგრძელებას წარმო-  
ადგენს.

საქ. სსრ მეცნ. აკად. ვახუშტის სახ. გეოგრაფ. ინსტიტ. დირექტორი,  
საქ. სსრ. მეცნ. აკადემ. ნ/წევრი, პროფ. ალ. ჯავახიშვილი

## О Т Р Е Д А К Т О Р А

III том трудов Института Географии имени Вахушти посвящен физико-географической характеристике Грузинской ССР.

Он состоит из двух частей: первая включает климатологическую характеристику, вторая — гидрографическую и гидрологическую.

Эти описания в основном составлены на основании опубликованной литературы и архивного материала; одновременно с этим описания подтверждают исчерпывающее существующий материал в области климата и вод Грузии. При составлении этих характеристик авторами применены новейшие методы исследования.

С этой стороны эта физико-географическая характеристика представляет первый опыт географического описания Грузии.

Аналогично данного тома в 1947 году вместе с Институтом Географии Академии Наук СССР, Институт Географии имени Вахушти выпустил II том трудов, включивший характеристику геоморфологических типов и районы их распространения.

Т. о. III том является органическим продолжением II тома.

Директор Института геогр. им. Вахушти АН Грузинской ССР,  
действит. член АН Грузинской ССР, проф. *А. Н. Лжавахишвили*

გ. პორჩაძე და გ. ჭილაძე

## საქართველოს კლიმატის უსავალის ისტორიისათვის

საქართველოს ცალკეული მხარის კლიმატურ თავისებურებაზე ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთის გეოგრაფიები და ისტორიკოსები მიუთითებდნენ.

ჰიპოკრატეს (454—376. ძვ. წელთაღრიცხვით) დახსიათებით ჰკოლხეთში წლის სეზონების მიხედვით სითბოსა და სიცივის ძლიერ ცვალებადობას აღვილი არ აქვს, სინოტივე განსაკუთრებით მაღალია, წლის ყველა სეზონში ატმოსფერული ნალექი უხვია, ხშირად ჰქენის ადგილობრივი ძლიერი, მშრალი და თბილი ქარი ეგრეთ წოდებული „კენხრონი“ [1].

გეოგრაფ სტრაბონის (54 წ. ძველი წელთაღრიცხ. — 24 წ. ახალი წელთაღრიცხვით) ცნობით იბერიაში ჰავა შედარებით მშრალია და ნიადაგი არა ნოტიო. ის აღწერს იბერიას, როგორც კურტებულს და საცხოვრებლად მეტად სასიამოვნო ქვეყანას [1].

VI საუკუნის ბიზანტიილი ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის დახსიათებით ჯავახეთში და არტანში ზამთარი მკაცრი და ცივია, ხოლო ზაფხული — ხანგრძლივი და შედარებით თბილი [2].

იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII საუკუნე) კოლხეთის აღწერილობის დროს ხაზგასმით მიუთითებს ჰავის ზედმეტ სინოტივეზე და ნალექების დიდ რაოდენობაზე. სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ზამთარი აქ უფრო ცივია, ვიდრე რომში და თბილია, ვიდრე ნეაპოლში“ — მისი თქმით, კოლხეთში ზამთარი იწყება მოგვიანებით; დეკემბერში იწყებენ აქ ყურძნის კრეფას; გაზაფხული კი იგვიანებს, აპრილში შეიძლება მოვიდეს თოვლი [3].

ამრიგად, ლამბერტი სწორედ მიუთითებს კოლხეთის ჰავის მთავარ თვისებებზე, მხოლოდ არაფერს ამბობს აღმოსავლეთის მშრალი, ფიონისებური ქარების შესახებ, თუმცა იგი ცხოვრობდა სამეგრელოში 20 წელზე მეტ ხანს.

საშუალო საუკუნის საქართველოს ისტორიკოსები (მემატიანები) ქვეყნის ეკონომიკური მდგრამარეობის აღწერისას ზოგჯერ მიუთითებენ ცალკეულ მხარის კლიმატურ თვისებებზედაც. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ისინი აფასებენ კლიმატს უმთავრესად იმის მიხედვით, თუ როგორ მოქმედდებს იგი მხარის ნაყოფიერებაზე — „მცენარეთა აღმოცენებაზე“ და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

საშუალო საუკუნის რიგი ისტორიკოსების ცნობით, აფხაზეთში (იგულისხმება კოლხეთის დაბლობი) ჰავა ზედმეტად ნოტიო და ჯანმრთელობისათვის მავნეა, მაგრამ ზამთარი აქ თბილი და ჯანმრთელია [2]. გიორგი მერჩულის სიტყვით, ქვეყანა ეს ხორშავეული არს“. ამავე დროს ზამთარში თბილი და საღი ჰავის გამო ადამიანს აქ „დაზამთრება“ და კარგად დასცენება შეეძლო [2].

იღმოსიელეთ საქართველოს ჰავას ისინი ახასიათებენ, როგორც მშრალ  
და ჯანმრთელს, მაგრამ ზოგიერთი მათგანი აქაც გამოკყოფს არა ჯანმრთელ  
აღვილებს.

იაკობ ხუცესი, მაგალითად, ერეთის აღმოსავლეთ ნაწილს (თანამედროვე  
საინკილოს) ახასიათებს, როგორც მეტად ნაყოფიერს და მდიდარ ქვეყანას,  
მაგრამ მეტად ცხელს, ნოტიოს და ჯანმრთელობისათვის მანე ჰავას.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღწერით რაიონი თბილისიდან ბა-  
რდავამდე და მდ. იორის ნაპირები მშვენიერი საზამთრო აღვილებია, რ-დგა-  
ნაც ნიმდგილი ზამთარი აქ არ იცის, ის უფრო წააგავს გაზაფულს. სამაგიე-  
როდ ზაფხული აქ მეტად ცხელი და არა ჯანმრთელია.

საქმიანი კარგადა აგრეთვე აღწერილი საშუალო საუკუნის საქართვე-  
ლოს ისტორიკოსების მიერ, სამხრეთ საქართველოს, მესხეთის ჰავა. შავწე-  
კლარჯეთი, მაგალითად, გრიგორი ხანძთელის აღწერილობით, განირჩევა მშვე-  
ნიერი ბუნებითა და ჰავით. ამ რაიონის ჰავა ავტორის თქმით არის „ქეთილად  
შეზაფხული მხისაგან და ჰავრისაგან“ [2].

ზომიერი სიცხე ზაფხულობით, უმნიშვნელო ყინვები ზამთრობით; მზის  
სხივების სიუხვე, ზომიერი სინოტივე და სუფთა ჰავრი წარმოადგენენ ხანძთე-  
ლის აზრით ამ რაიონის ჰავის დამახსიათებელ თვისებებს.

ამრიგად ჯერ კიდევ ძველ და საშუალო საუკუნეებში იყო მოცემული, მართა-  
ლია გაბნეულად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მაგრამ საკმაოდ მნიშვნელოვანი და  
რეალური ცნობები საქართველოს ცალკეული მხარის კლიმატის შესახებ.

უფრო მთლიან წარმოადგენას საქართველოს კლიმატის შესახებ (რამდე-  
ნადაც ეს შესაძლებელია უიარაღო დაკვირვებების საფუძველზე), იძლევა მე-18  
საუკუნის საქართველოს გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი [4].

საქართველოს თითოეული რაიონის ორგზრაფის, მდინარეების, ფლო-  
რისა და ფაუნის აღწერასთან ერთად ვახუშტი იძლევა მათ კლიმატურ თავი-  
სებურებათა მოკლე დახასიათებას. მას შრომაში მოცემულია საქართველოს  
რაიონების ტემპერატურული რეჟიმის თვისობრივი შედარება სეზონების მიხე-  
დვით, მოკლედ დახასიათებულია წვიმიანობა, ჰავრის სინოტივე, ხოლო ზოგი-  
ერთ რაიონისათვის ქარის რეჟიმიც.

ძირითად წეტეროლოგიურ ელემენტებზე ინსტრუმენტალური დაკვირვე-  
ბები შემოლებულ იქნა საქართველოში მე-19 საუკუნის პირველ ნახევრიდან.

თბილისში, ფოთში (რედუტ-გალე) და ქუთაისში სისტემატური შეტე-  
როლოგიური დაკვირვებები დაიწყო მე-19 საუკუნის მე-40 წლებიდან.

70-ან წლებში გაიხსნა რამდენიმე ახალი სადგური (10-მდე), ხოლო 90-  
ან წლებში მათი რაცხვი 50-მდე გაიზარდა.

ამრიგად საქართველოს კლიმატოლოგიის მეცნიერულად გამოკვლევის  
(რიცხობრივ მაჩვენებლების საფუძველზე) შესაძლებლობა იქმნება მე-19 საუ-  
კუნის მეორე ნახევრიდან.

ინსტრუმენტალური მეტეოროლოგიური დაკვირვებების მონიცემების საფუ-  
ძველზე თბილისის კლიმატური დახასიათება პირველად შეადგინა ხანივოვმა  
1847 წ. [5] და ფილადელფიინმა 1850 წ. [6].

თბილისის შეტეოროლოგიურ მონაცემებს ხსენებული ავტორები ადარებენ ეკონომიკისა და აზის ცნობილ ქალაქების მონაცემებს; და ამნაცირად ამტკიცებენ, რომ მაშინდელ რუსულ სახოგაძოვებაში გავრცელებული ახრი, თბილისის ჰავა მავნე იყოს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, არ არის მართალი. მათი დასკვნით თბილისის ჰავა ხსისათღება: მდგრადი საშუალო სიღრიდეებით, მეტად ზომიერი კიდური სიღრიდეების უმნიშვნელო რევენულობით და საერთოდ კი რბილი კონტინენტური ჰავის თვისებებით.

ა. ცომერმანმა 1853 წელს [7] მოგვცა ქუთაისის გუბერნიის მოქლე კლიმატური დახასიათება. ქუთაისის და რედუტ-კალეს ორ წლიურ დაკვირვებებზე დაყრდნობით ციმერმანი ამტკიცებს, რომ რიონის ხეობაში ადგილი აქვთ ზედმეტ სინოტივეს, მიუხედავად იმისა, რომ მთელს დასავლეთ საქართველოში მეტად ხშირია შრალი და ძლიერი აღმოსავლეთის ქარები.

პროფ. ვესელოვსკის 1853 წ. შრომა [8] წარმოადგენს პირველ ცდის მოგვცეს ნალექების წლიური რაოდენობის კარტოგრაფიული განაწილება რუსეთის კოფილი იმპერიის სხვა რაიონებთან ერთად საქართველოს ტერიტორიაზედაც.

აკადემიკოსი გ. ვილდი [9,10] საქართველოს 16 შეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებზე [1881 წლამდე] დიყრდნობით ანგარიშობს ადგილის სიმაღლის გადიდებასთან ერთად ჰავრის ტემპერატურის დაცემის კოეფიციენტს და ადგენს იზოთერმების, იზოანომალიებისა და იზოგიერების რუკებს. პრავედროს ვილდი საგებით სწორად მიუთითებს დასავლეთ საქართველოში დაც ნალექიანობის შემდეგ მთავარ ფაქტორებზე: ჰავრის მასების გადანაცვლება საქართველოს სიგანედზე დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ჰავრის მასების კილონური ძრაობა შავ ზღვაზე და მთის ქედები, რომელიც დასავლეთ საქართველოს ხმელეთიდან ერტყმის.

ა. ა. ვოზნესენსკიმ [11] კავკასიის ტერიტორიაზე და, კერძოდ საქართველოში, ნალექების წლიური მსვლელობის მიხედვით გამოყო რამდენიმე ოლქი და მოგვცა ცალკე რლებებისათვის ნალექების ტიპიური მსვლელობის გრაფიკული გამოსახვა.

დიდი ლვაზილი მოუძღვის დიდ გეოგრაფ-კლიმატოლოგს პროფ. ა. ვოეიკოვს [12] საქართველოს კლიმატის შესწავლის საქმეში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროების შესახებ მ. ნ. მოგვცა ისეთი კლიმატური დახასიათება, რომელსაც აქამდე არ დაუკარგავს ოფისი დიდი შეცნიერული და პრატკიული მნიშვნელობა. მისი აზრით ხსენებული სანაპიროების ჩრდილოეთ ნაწილის ჰავა ჰავრის ტემპერატურისა და ლრუბლიანობის მიხედვით უახლოვდება ხმელთაშუაზღვის ჰავას, ხოლო ჰავრის სინოტივისა და ზაფხულის ნალექების სიუხვით სანაპიროების ეს ნაწილი უახლოვდება აღმოსავლეთ ჩინეთსა და სამხრეთიანიანიას.

კლიმატურ საზღვრებს ამ რაიონში ვოეიკოვის აზრით წარმოადგენს მთის ქედები, რომელთა ფერდობებზე გვხვდება გარდამავალი ტიპის კლიმატები. მან ფართოდ გამოიყენა ანალოგების მეთოდი და პირველმა მიუთითა ამ რაიონებში სხვადასხვა სახის სუბტროპიკული მცენარეობის მოშენების შე-

საძლებლობის შესახებ, ვოეიკოვი ხაზგასმით აღნიშნავს რელიეფის და მცენარეთა სამსახურის გავლენას ცალკე აღგილების მიეროვლიმატურ თავისებურებაზე და ამტკიცებს ამას მის მიერვე წარმოებულ სამარშრუტო დაკვირვებები-დან მიღებული მონაცემებით. ვოეიკოვის კალამს ეკუთვნის აგრეთვე კურორტ-ბორჯომის საქმაოდ ვრცელი პირველი კლიმატური აღწერილობა [13].

საქართველოს კლიმატოლოგიის ცალკეულ საკითხებს აშენებს პროფ. კა-მისური [14]. მის კალამს ეკუთვნის სპეციალური ნარკევი გაგრის რაიონის ფინონების შესახებ. შევი ზღვის სანაპიროებზე კავკასიის საზღვრებში კლიმატურ საზღვრებად კამისური, როგორც ვოეიკოვი, სოვლის მთის ქედებს, მაგრამ დამატებით აღნიშნავს, რომ სანაპირო ხაზების კონფიგურაცია და მათი კონტინენტიდან დაცულობის ხარისხი წარმოადგენენ აგრეთვე, ცალკეულ რაიონებისათვის მნიშვნელოვან კლიმატურ ფაქტორებს.

განსაკუთრებით დიდი დამსახურება აქვს პროფ. ი. ფიგუროვსკის საქართველოს და მთელი კავკასიის კლიმატების გამოკლევის საქმეში. ი. ფიგუროვსკის საესებით სამართლიანად შეიძლება ეწოდოს კავკასიისა და საქართველოს კლიმატოლოგიის ფუძემდებელი. ის დიდ ხანს მუშაობდა თბილისის გეოგრაფიულ ობსერვატორიაში და ხელმძღვანელობდა კავკასიის მეტეოროლოგურ ქსელს.

თითოეული სადგურის ადგილმდებარეობის და მათი მონაცემების ზედმიწევნით მცოდნებ და ამავე დროს მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის დარგში დიდი ერულიციის პატრონმა ი. ფიგუროვსკიმ პირველმა შესძლო კავკასიის მრავალფეროვანი კლიმატი განშეუქმნით თავის დროისათვის მეტად წარმატებით. ი. ფიგუროვსკიმ კავკასიის კლიმატების შესახებ დატოვა 70-ზე მეტი ნაშრომი. მან თავისი კვლევითი მუშაობის დროს წარმოაყენა და გაარკვა მრავალი პრობლემა კავკასიის კლიმატოლოგიის დარგში. მრავალ მის ნაშრომს და დებულებას დღემდე არ დაუკარგავს თავისი ლირებულება კავკასიის კლიმატებისა და კლიმატის შემქმნელი პროცესების შესწავლისათვის. ამავე დროს ზოგიერთი მისი აზრი მოძველებული და მიუღებდელია.

ფიგუროვსკის აზრით ამათუმი ადგილის კლიმატი ყალიბდება თითოეულის მხოლოდ ნიადაგისა და მცენარეულობის საფარის გავლენით, ხოლო ატმოსფეროს საერთო ცირკულაცია მას მიაჩნია, როგორც ჩამოყალიბებული კლიმატის დროებით დამრღვევი ფაქტური.

გარედან ჰაერის მასების შემოჭრა ფიგუროვსკის აზრით ქმნის ადგილობრივ კლიმატისათვის დროებით „არა ნორმალურ“ „პატოლოგიურ“ მოვლენებს.

ი. ფიგუროვსკიმ წარმოაყენა ახალი ცენტრალური კლიმატოლოგიაში — „კლიმატოსფერო“. მისი აზრით ადგილობრივ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობების გავლენით ატმოსფეროს დედამიწის ზედაპირთან მიმდებარე ნაწილი რამდენიმე კლომეტრის სიმაღლემდე იღებს გარევეულ ფიზიკურ თვისებებს, ატმოსფეროს ამ ნაწილს მან უწოდა „კლიმატოსფერო“, ვინაიდან მისი აზრით ამ ჰაერის მასის თვისებები წარმოადგენენ ადგილობრივ კლიმატს.

ამ ცნების უარყოფით მხარეზე სამართლიანად მიუთითა თავის დროზე კრიტიკამ, მაგრამ მისი დადებითი მხარე, ჩვენის აზრით, მხედველობიდან გა-

შორის, ამჟამად ცნობილია და საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ ჰაერის მასა ამა თუ იმ ადგილზე ხანგრძლივად ყოფნის დროს სხივური ენერგიის ბალანსისა და ქვემდებარე ნიადაგის გავლენით იღებს საესტილი გარევეულ თვისებებს და ამისდა მიხედვით გამოყოფილია უკვე მეტეოროლოგიაში ჰაერის მასების ძირითადი ტიპები, ხოლო კლიმატოლოგიაში (იღისოვი) ამ მასების შესაბამისი — კლიმატური ზონები.

ასე, რომ ი. ფიგუროვსკიმ რამდენიმე ათეული წლით აღრე შემოიღო ჰაერის მასების კლიმატურ ტაპიურობის ცნება, მხოლოდ მის „კლიმატოსფეროს“ აკლდა დინამიურობა. ერთი კლიმატური ზონისათვის დამახასიათებელი ჰაერის მასების გადანაცვლება და სხვა მასით მისი დროგამოშვებით შეცვლა იმდენად ბუნებრივი და ხშირია, რომ ასეთი მოვლენა „არანორმალურად“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავად კლიმატურ პროცესებზე მისი ასეთი ცალმხრივი შეხედულებისა, ფიგუროვსკიმ საქართველოს კლიმატოლოგიას დაუტოვა უდავოდ ძვირფასი შრომები.

საქართველოს კლიმატოლოგიისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი კაპიტალური შრომები: „Опыт исследования климатов Кавказа“ [15] და „Климаты Кавказа“ [16]. ამ შრომებში მოცემულია ძირითადად ავტორის ყველა დასკვნა და დებულება კავკასიისა და კერძოდ საქართველოს კლიმატის შემქმნელ პროცესებზე; კავკასიი (და საქართველო) დაყოფილია კლიმატურ კლასებად, რაოთხებად და ზონებად და მოცემულია თითოეული მათგანის ძირითადი კლიმატური თავისებურებანი; მოცემულია თითქმის ყველა მთავარი კლიმატური ლემენტის იზოხაზების რუკა; განხილულია: ჰაერის ტემპერატურის ცენტრიკალური და ჰორიზონტულური განლაგება; ქარების მიმართულება, სიხშირე და ხასიათი; ჰაერის სინოტიფისა და იტმოსფერულ ნალექების ტერიტორიით განაწილება და სხვ.

განხილულია ზევი ზღვის, კასპიის ზღვის, ტყეებისა და ნიადაგის გავლენა (რამდენადმე გადაჭარბებულად) ჰაერის ტემპერატურის, ქარებისა და ნალექების რეჟიმშე. ფიგუროვსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ კავკასიონის ქედი იცავს ამიერკავკასიას უშუალოდ ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრისაგან.

გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევს ფიგუროვსკი ე. წ. სომხეთის ზეგნის ანტიცილონის გავლენას საქართველოს ტემპერატურისა და ქარის რეჟიმშე.

ასეთი იყო საქართველოს კლიმატური შესწავლილობა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ფართო განვითარებამ, რაც თანმოყვა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას, კლიმატოლოგიის წინაშე წამოაყენა ახალი ამოცანები. მათ გადასაწყვეტად პირველ რიგში საჭირო იყო სამოქალაქო ომის დროს დანგრეული მეტეოროლოგიური ქსელის იღდენა-განვითარება, კალრების შემოკრება, ახლოს მომზადება და სხვა.

ამ მეტად სერიოზულ და შრომატევად სამუშაოს სათავეში ჩაუდგა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია, რომელმაც მოაწესრიგა ქსელის მუშა-

ობა, უზრუნველყო დაგროვილი მასალის დამუშავება და ახალი სადგურების გახსნა.

ობსერვატორიაში ამ დროისათვის ჩამოყალიბდა შემდეგი ახალი განკო-ფალებები: კლიმატოლოგიის, ჰაეროლოგიის, სინოპტიკური და აქტინომეტრი-ული.

1926—1930 წ.წ. გამოიცა ნალექების და მზის ნათურობის ხანგრძლიო-ბაზე დაკვირვებების შედეგები [17, 18].

შემდგომ კლიმატოლოგიაში მუშაობის ძირითადი მიზანი გახდა: 1) ქსე-ლის გაფართოება და უფრო დეტალური მასალების შეგროვება, 2) სტატისტი-კური მეთოდების გაღრმავება დანამიჯური კლიმატოლოგიის ელემენტების გა-მოყენებით, 3) სახალხო მეურნეობის მომსახურეობა სპეციალური დაკვირვებე-ბის მოწყობით და საქართველოს ცალკე რაიონების კლიმატური და მიკრო-კლიმატური პირობების აღწერით.

1930 წლისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მუშაობდა 200-დე შეტე-ოროლოგიური სადგური. ამ სადგურების განლაგება საქართველოს ტერიტო-რიაზე არ უზრუნველყოფდა მის ყველა რაიონის გაშუქებას. უმეტესი ნაწილი სადგურებისა მოქცეული იყო დაბლობისა და საშუალო სიმაღლეების ზონაში-ეს დეფექტი შეჩრდგომ ნაწილობრივ იქნა გამოსწორებული რამდენიმე მაღალ-მთიანი სადგურის მოწყობით (ყაზბეგი, ბახმარო, გაგრის ქედი, შოვი და სხვ).

ქსელის შემდგომი გაფართოება მიმდინარეობდა უმთავრესად სახალხო მეურნეობის შეტეორიულოგიურ მონაცემებით სპეციალურ მოთხოვნილების და-საკმაყოფილებლად. ამ დარგში აღსანიშვანი ის ფართო მუშაობა, რომელიც ჩატარებული იქნა საქართველოს სუბტროპიკების უზრუნველსაყოფად: შეტეო-როლოგიური სადგურების და უმთავრესად მიკროკლიმატური სადგურების მოწ-ყობით; კურორტების მიკროკლიმატური აგეგმვით და სხ.

1930—40 წლებში დაიბეჭდა მთელი რიგი კლიმატური შინაარსის შრო-მები, რომლებშიც მოცემულია ცალკე რაიონებისა და ადგილების კლიმატური აღწერილობანი [19—22]. პირველად გამოიცა კლიმატური ცნობარი საქართ-ველოსათვის [29]. ამავე პერიოდში გამოვიდა მთელი რიგი კლიმატური და მი-კროკლიმატური ხასიათის შრომები საქართველოს სუბტროპიკების (სელიანი-ნოვი, კელენჯერიძე), კურორტების (ჭირაქაძე, კორძახია), ჯავახეთის (ბალა-ბუევი), კოლხეთის დაბლობის (ქურდიანი), ქართლის და კახეთის (შაცკი) და სხვ. შესახებ [24—34].

ცალკეული კლიმატური ელემენტების დამუშავების შედეგები და ამ ელე-მენტების განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე მოცემულია აკადემიკოს ალ. ჯავახიშვილის, გაჩქილაძის, ქურდიანისა და კორძახიას შრომებში.

სუბტროპიკული კულტურების რაციონალური განლაგებისათვის კლიმა-ტური დასაბუთება მოცემულია სელიანინოვას, საპოენიკოვას, ბუცკის [35—36], კელენჯერიძისა და სხვ. შრომებში. სელიანინოვის შრომებში მთავარი ყერად-ლება დათმობილი იქნა შავი ზღვის სანაპიროზე და მიმდებარე რაიონებში ყინ-ვების განაწილებისა და განმეორების საკითხს, მინიმალური ტემპერატურის

მაჩვენებლებზე რელიეფის გავლენას, სუბტროპიკულ კულტურების ვეგეტაციისათვის საჭირო აქტიური ტემპერატურის ჯამებისა და სინესტაციულ კულტურულ კელიანების და სხ. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სელიანინოვმა ფართოდ გამოიყენა ანალოგების მეთოდი. სელიანი ვის მიერ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებისათვის შედგენილ აგროკლიმატურ რუკებში შეჯამებულია ყველა მისი გამოკვლევის შედეგები. ამ რუკებმა თავის დროზე დიდი დახმარება გაუწიეს სოფლის მეურნეობას საერთოდ და სუბტროპიკულ კულტურების სწორ განლაგებას, კერძოდ.

საქართველოს კლიმატის გენეზისის საკითხი საქმიანდ ფართოდ დაამუშავა ბალაბუებმა [37]. მან შეადგინა ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველო-სათვის კლიმატური გენეტიკური დარაიონების რუკა. ამავე ავტორის მიერ შედგენილია ლაპისა და ჭირხლის მოვლენების, სინოტივის ბალანსისა და სხვათა გეოგრაფიული განლაგება საქართველოს ტერიტორიაზე.

საქართველოს კლიმატის ფარტორების ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სინოპტიკურ ხასიათის შრომებს. მათ შორის იღსანიშნავია თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიის ბიულეტენში გამოქვეყნებული ფიგუროვსკის, როზენტალის, ტიხომიროვის [38—40] და სხვა ავტორების შრომები, რომლებშიც გარჩეულია საქართველოში ამინდის პროგნოზირების საკითხები. ამ საკითხს უკანასკნელ წლებში მიეძღვნა მთელი რიგი შრომები. აღსანიშნავია გიგინეი-შვილის გამოკვლევები [42], რომელშიც ავტორი აზუსტებს ამინდის პროგნოზირებასთან დაკავშირებულ საკითხებს და ადგენს ახალ ნიშნებს პროგნოზების დაზუსტებისათვის.

ცივი ჰაერის ტალღების შემოკრას საქართველოში და მის გავლენას ამინდზე ეკვლევენ თავის შრომებში შირკინა, ბელსკა, დულეტოვა და ბარსუკი, ნაფრივარიძე და პაპინაშვილი [42—46]. ცეკვა აღნიშვნულ შრომაში ხაზგასმით ნაჩვენებია კავკასიონის ქედის დაცვითი მნივშნელობა ჩრდილოეთიდან მომდინარე ცივი ჰაერის მასებისაგან. აქვე ნაჩვენებია აღნიშნული მასების საქართველოში შემოკრის გზები და მითითებულია თუ რა გავლენას ახდენს ადგილობრივი პირობები და კერძოდ ოროგრაფია ფრონტების დეფორმაციაზე საერთოდ და ამინდის მსვლელობაზე კერძოდ.

მთელმა რიგმა საქართველოს სინოპტიკოსებმა, ფიზიკური მეთოდების საფუძველზე დამყარებით, დაამუშავეს სინოპტიკური პროცესების მსვლელობის თავისებურება საქართველოს ცალკე მხარეში. აღსანიშნავია აგრეთვე მათ მიერ ჩატარებული მთელი რიგი სინოპტიკურ-კლიმატოლოგიური ხასიათის გამოკვლევები. ამ საკითხებისადმი მიძღვნილია გიგინეი-შვილის, ნაზეტვარიძის, პაპინაშვილის გამოუქვეყნებელი შრომები. აღნიშნული გამოკვლევები ეხებიან კლიმატის გენეზისის საკითხსაც.

ამავე საკითხს ეხება კლიმენტი [4] თავის შრომაში „შევი ზღვის ამინდის ტიპები“, სადაც იგი ადგენს ამინდის ტიპებს, მათ განმეორებას, მდგრადობას და თანმიმდევრობას.

ჰაეროლოგიური მასალის დამუშავებამ საშუალება მისცა ა. გაჩეჩილაძეს შეეცა ატმოსფეროს ზედა ფენებში ქარის რეეიმის დახისიათება თბილისისა-თვის და შემდეგ ფორჩხიძეს თითქმის მთელ საქართველოსათვის.

ამეამად შეგროვილია კლიმატოლოგიური, სინოპტიკური, ჰაეროლოგიური საქმაოდ დიდი ძასალი და ეს გარემოება საშუალებას იძლევა გაძლიერებულ იქნას დინამიკურ კლიმატოლოგიის ელემენტები საქართველოს კლიმატის გა-შუქების საქმეში.

ამ მიმართულებით უკანასკნელ წლებში მუშაობს საქართველოს მეცნიერე-ბათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიული ინსტიტუტი.

### დამზადული ღითხრაშრო

1. К. Ган. Известия древних греческих и римских писателей о Кавказе. Тифлис, 1884г.  
Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа.
2. აკად. ი. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიკური ისტორია. 1930 წ.
3. Ар. Ламберти. Описание Колхида 1654 г. Русский перевод К. Ган.
4. ვახუშტი. აღწერა სამყოფას საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). 1941 წ.
5. Ханыков. Тифлисский климат. Кавказский календарь, 1847 г.
6. А. Филадельфин. Климат в Тифлисе, 1857 г.
7. А. Циммерман. Климат Кутаисской губернии. 1853 г.
8. Веселовский. Осадки Российской Империи. 1853 г.
9. Акад. Г. Вильд. Температура воздуха в Российской Империи. 1890 г.
10. Акад. Г. Вильд. Об осадках в Российской Империи. 1888 г.
11. А. В. Вознесенский. Об осадках на Кавказе. Записки Кавказского Отд. Р. Геогр. Общества. Кн. XУП, вып. I.
12. А. И. Войков. Климат Восточного побережья Черного моря, 1898 г.
13. А. И. Войков. Климат Боржома и Боржомского имения. 1912 г.
14. А. Каминский. Кавказское побережье Черного моря. 1898 г.
15. И. В. Фигуровский. Опыт исследования климатов Кавказа. 1912 г.
16. И. В. Фигуровский. Климаты Кавказа 1919 г.
17. В. Кочергин. Атмосферные осадки Закавказья. 1928 г.
18. В. Кочергин. Солнечное сияние на Кавказе. 1931 г.
19. И. З. Гачечиладзе. Ливни в Грузии. 1934 г.
20. И. Э. Гачечиладзе. Климатический очерк бассейна Кциа-Храм. 1932 г.
21. И. Э. Гачечиладзе. Тифлис. 1934 г.
22. ი. გაჩეჩილაძე. ბაკურიანის კლიმატური მომხილვა. 1930 წ.
23. М. О. Кордзахиа. Климатическое описание Грузии. 1935 г.
24. Селянинов. Агроклиматические условия районирования влажных советских суб-тропиков. 1934 г.
25. Г. Т. Селянинов. Агроклиматические зоны Западного Закавказья. 1934 г.
26. К. Келенджериадзе. К изучению микроклимата субтропзоны Грузии. 1935 г.
27. Г. И. Чирақадзе. Климат Абастумана. 1935 г.
28. Г. И. Чирақадзе. Климатические условия Аджаристана и микроклиматические показатели кур. Кобулети. 1936.
29. А. Г. Балабуев. Основные черты климата Джавахетии.
30. ქურდიანი. კოლხეთის დაბლობის კლიმატოლოგრაფია. საქ. გეოგრაფიული საზოგა-დოების შრომები. თბილისი. 1939 წ.

31. მ. კორძაშია. კურორტ აბასთუმნის მოკროკლიმატი. 1935 წ.
32. А. Л. Шатский. Материалы к познанию климата бассейна р. Машавери. 1936 г.
33. ბროფ. ა. ჯავახიშვილი. ტემპერატურული რეჟიმი და ტემპერატურული ტიპები საქართველოში. 1936 წ.
34. ი. გაჩეჩილაძე. კლიმატოლოგია. 1934 წ.
35. მ. კორძაშია. საქართველოს კლიმატების ტემპები და მათი გავრცელების ზონები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთამბე ტ. VII, 1946 წ.
36. С. А. Сапожникова. Распределение средних из абсолютных минимумов температуры в субтропической зоне Союза. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР. 1936 г.
37. П. А. Буцкий. Комплексная характеристика морозов Западного Закавказья и характеристика суховеев Западного Закавказья. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР. 1936 г.
38. А. Г. Балабуев. Опыт климато-генетической характеристики Закавказья. 1941 г.
39. И. В. Фигуровский. О путях циклонов, влияющих на образование ливней в Кутаисской губернии и о причинах наводнения 28—30 октября (8—10 ноября) 1895 г.
40. Э. Розенталь. Шторм в Батуми 1—2 декабря, 1907 г. Ежемесячный Метеорологический бюллетень Тифл. Физ. Обсерватории, № 12, 1907 г.
41. Е. И. Тихомиров. Фены Закавказья в январе 1916 г. Ежемесячный Метеорологический бюллетень Тифл. Физ. обсерватории, № 4, 1915 г.
42. გ. გოგიაშვილი. აბიდო საქართველოში. მდიდინი. 1926 წ.
43. Н. А. Ширкина. Синоптические условия сильных холодов на Кавказе. Журнал Геофизики и Метеорологии, вып. 2, 1928 г.
44. Н. И. Бельский. Резкие колебания температуры на Черноморском побережье Кавказа, сопровождаемые морозами. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР. 1936 г.
45. Т. А. Дулетова и З. Е. Барсук. К вопросу о морозах в Западной Грузии. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР. 1936 г.
46. Е. А. Напетваридзе и К. И. Папинашвили. Синоптическая характеристика центральной части Главного Кавказского хребта. Метеорология и Гидрология, № 10-11, 1939 г.
47. გ. ბაფე ტვარიძე. ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი კლიმატური ფაქტორი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მთამბე ტომბ. VIII, 1947 წ.
48. Л. В. Клименко. Типы погоды Черного моря. Гидрографическое Управление БМФ СССР. Ленинград, 1940 г.

### მ. ნაცერგარიძე

## აზოვსცარის ციხეულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი ძლიერი უძინაში

საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით ( $31^{\circ} 07'$   
 $\text{და } 43^{\circ} 33' \text{ ჩ. სიგ.}, 40^{\circ} 00' \text{ და } 46^{\circ} 43' \text{ ომ. სიგრ.})$ , იმყოფება ზომიერი და  
სუბტროპიკული სიგანედების ატმოსფეროს ცირკულაციის რთული გავლენის  
ქვეშ. საქართველოში ცირკულაციის პირობებს განსაზღვრავენ, როგორც დინა-  
მიკური ანტიციკლონის სეზონური გადანაცვლებანი და მათთან დაკავშირებუ-  
ლი პოლარული ფრონტის მდებარეობის შეცვლა, ისე ის ატმოსფერული პრო-  
ცესები, რომელთაც აღილი აქვს საკუთრივ ზომიერ და მაღალ სიგანედებზე.

საქართველო ჭიდოდ ესაზღვრება სუბტროპიკული ზონის ჩრდილო  
პერიოდების და ამის გამო შეიცავს სოლარულ კლიმატს, რომელიც მზის  
რადიაციის სიდიდეებით უმნიშვნელოდ განსხვავდება სუბტროპიკული ქვეწე-  
ბის კლიმატისაგან.

ასე, მაგალითად, დასავლეთი საქართველო წლის თბილი დროის განმავ-  
ლობაში მზის პირდაპირი რადიაციის სიდიდის ჯამის მიხედვით ძლიერ  
უახლოვდება იაპონიის სუბტროპიკებს ( $35^{\circ} \text{ ჩ. სიგ.}$ ), წლის კვირი დროის გან-  
მავლობაში კი — ხმელთაშუა ზღვის სანაპირო რაიონებს [1].

მაგრამ ზომიერი სიგანედების ცირკულაციური პროცესების ზეგავლენით  
საქართველოს ამინდის პირობები მეტი უძლევრადობით და ცვალებადობით  
ხასიათდება, ვიდრე სუბტროპიკული ზონა საერთოდ.

საქართველოს სიგანედებზე ჰაერის მასების საერთო გადანაცვლება ხდება  
დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ამასთანავე ამჟერებავასის მთავრობის  
ტექტონური დეპრესიის მიმართულება ხელს უწყობს ფრონტალური ზედაპი-  
რების გადანაცვლებას დეპრესიის ღერძის გასწვრივ.

სავარაუდო პუნქტებს აეროლოგიურ დაკირვებათა შეუეგები გვიჩვენებს,  
რომ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზამთარში, მიწის ზედაპირიდან  
1—1,5 კმ ზევით სჭარბობენ დასავლეთის დენები, ზაფხულში კი — 2—3 კმ  
ზევით. მდგრადი დასავლეთის დენა კი მყარდება მიწის ზედაპირიდან 4 კმ  
სიმაღლეზე [2].

მიწის ზედაპირისა (ზღვა, სმელეთი) და რელიეფის აღრევით მოქმედებას  
დიდი ცვლილება შეაქვს ატმოსფეროს დაბალ ფენებში ჰაერის მასების დასავ-  
ლეთიდან აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებაში. სმელეთისა და ზღვის, მთაგრე-  
ხილების, ზეგნებისა და ხეობების არათანაბარი გათბობა საქართველოს ტერი-


ტორიაშვილის პორტონტალურ თერმულ გრადიენტებს, რომელიც ხელს უწყობენ ადგილობრივ თერმულ ცირკულაციის წარმოშობას. კავკასიონის მთაგრეხილს დიდი მნიშვნელობა აქვს პაერის ცირკულაციისათვის ამიერკავკასიის ტერიტორიაზე; ის წარმოადგენს არა მარტო ბუნებრივ ზღუდეს ჩრდილოეთიდან გადმონაცვლებულ ციც პაერის მასებისათვის, არამედ განსახლებრავს კიდეც ამ მასების ამიერკავკასიაში გადანაცვლების მთავარ მიმართულებას დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან. სამხრეთით მოთავსებული მცირე კავკასიონის მთიანი სისტემა ანკლებს სამხრეთიდან მოსული თბილი პაერის მასების გადანაცვლების სიჩქარეს არამოსფერის ქვედა ფენებში და ამცირებს მათ ნორთი შემცველობას. პაერის დენების სიჩქარესა და მიმართულებაზე, აგრეთვე გადანაცვლებულ პაერის მასების თვისებების შეცვლაზე დიდ გავლენას ახდენენ მთაგრეხილები, რომელიც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიმართულებით გადიან. საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მეტროპოლოგიური სადგურების მრავალწლიური მონაცემებიც გვიჩვენებენ, რომ მრავალ რაოდში სამუალო წლიურშიაც დასავლეთის ქარები არ ჰარბობენ. ასე, რომ დასავლეთ საქართველოში, რომლის ტერიტორიის მეტი ნაწილში ქარი მყაფიოდ გამოხატულ მუსონურ ხასიათს ატარებს, ზამთარში რომის ხეობაში აღმოსავლეთ რუმბების ქარი იმდენად სქარბობს, რომ წლიურ საშუალოშიაც გაძარინებულად ჩემბა. საქართველოს სამხრეთ რაიონებში მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს სამხრეთ რუმბების ქარი. დასავლეთის რუმბის ქარი მთელი წლის განმავლობაში სქარბობს მხოლოდ მტკვრის შეა ხეობაში, კახეთისა და კავკასიონის მაღალმთიან ზონაში.

ფრონტალურ პროცესებს საქართველოში დიდი მნიშვნელობა აქვს წლის გველა სეზონის განმავლობაში. მისებდავად იმისა, რომ საქართველო ოკტოკული პაერის ფორმირების კერისგან მნიშვნელოვნად არის დაშორებული, მაინც მის კლიმატურ პირობებზე გავლენას ახდენს პოლარული ფრონტის მოქმედების გარდა, აგრეთვე არყტიული ფრონტის მოქმედებიც. საქართველოში წლის უმეტესი დროის განმავლობაში სქარბობს პოლარული პაერის მასები, მაგრამ ამინდის პირობებზე მაინც დიდ გავლენას ახდენენ აგრეთვე როგორც ტროპიკული პაერის გაცრცელება, ისე არყტიული პაერის მასების შემოჭრა.

პაერის მასების ფორმირების კერებიდან დაშორება და ადგილობრივი ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები ხელს უწყობენ იმას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე პაერის მასები ძლიერ შეცვლილი სახით შემოდიან. ეს მულავნდება უმთავრესად. პაერის მასების თერმული თვისებების შეცვლაში (ცივი მასებისათვის—მათ გათბობისაკენ), და მაშაადამე, მათი სტრატიფიკაციის პირობების ცვლილებაშიაც.

ზამთრის სეზონში, როდესაც მიწის ზედაპირის თავისებური პირობების გამო, ზღვის პოლარული პაერის მასების ტრანსფორმირება კონტინენტურ პოლარულ მასებად ევროპის კონტინენტზე ძლიერ შენელებულია, მაშინ საქართველოში ზღვის პოლარული პაერის მასის შემოჭრა დასავლეთიდან იშვიათი არ არის. ზაფხულში, ქვემობებაზე ზედაპირის პირობების შეცვლასთან დაკავშირებით, ტრანსფორმირების პროცესები გაცილებით უფრო ჩეარა მიმდინარეობს და საქართველოს ტერიტორიაზე უფრო ხშირად შემოიჭრებიან კონ-

ტინგნტური პოლარული ჰაერის მასები. ჰაერის მასების ზღვიური ჭარმოშობა-  
უფრო მეტით მეტავრდება დასავლეთ საქართველოს რაიონებში, სადაც  
ისინი ზე წევახე გავლის დროს იღებენ დამატებით სინოტივეს.



ပြော၊ ၁။ ဒုက္ခန်းများကိုပါဝါယူလွှာတဲ့ ဒုက္ခန်းများကို အသုတေသန ပေးပို့နေတဲ့ အောင်-ပေးပို့နေတဲ့ အောင် ဒုက္ခန်းများကို အသုတေသန ပေးပို့နေတဲ့ အောင်

პოლარულ (ცერონბას) და არტიკულ ფრონტებზე ზორმშობილი ციკლონები მიიმართებიან მეტ წილად ამავრცავებასის ჩრდილოეთი და საქართვე-


ლოზე გაივლიან ხოლმე ზოგჯერ მხოლოდ ოკულურიები, რომელიც გადაინაცვლებიან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. მათ ზურგში განვითარებული პოლარული ან არყტიული ჰაერის მასების მძლავრი დენები შესაფერი პირობების დროს შორს სამხრეთისკენ ვრცელდებიან და საქართველოში ციფი ჰაერის შემოქმედის პიროვნეული.

საქართველოს ამინდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ციკლონები აღრევებს, რომელიც წარმოიშვება ხმელთაშუა ზღვის პოლარული ფრინველის განშტოებაზე.

1 სურათზე მოყვანილია ციკლონების გადანაცვლების გზები ვან-ბებერით და ვეიკმანით [3]. ამათვან საქართველოს ამინდისათვის მეტ მნიშვნელოვანაა Vc გზის გარდა, Vd<sub>1</sub> და Vd<sub>2</sub>, გზები. ციკლონების ტრაექტორიები შესაფერი მასალების უქონლობის გამო, ზავი ზღვის სიგრძეზე გადადგინდება. ციკლონების ტრაექტორიები, რომელიც ჩვენს მიერ შედგენილია თბილისის ამინდის ბიუროს 1930—1939 წ.წ. სინოპტიკური რეკების და კავკაზეს (კაირი) ყაველდღიური მიულტენებას მიხედვით, გვიჩვენებს, რომ Vd<sub>1</sub> და Vd<sub>2</sub> ტრაექტორიები შეიძლება გაგრძელებულ იქნეს შორს აღმოსავლეთით [4]. ამგვარად, ხმელთაშუა ზღვის ციკლონების ზავი ზღვის რაიონში ჩატრობის შემთხვევების გარდა იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ისინი გაივლიან კავკასიაზე და შუა აზიის და ყაზახეთის რაიონებისკენ მიიმართებან (ნახ. 2). 45° ჩ. სივ. სამხრეთი მიმართულ ციკლონების ტრაექტორიების რუკები, შედგენილი ავტორის მიერ, 1935—1937 წ.წ. მონაცემების მიხედვით, გვიჩვენებს, რომ ციკლონების გადანაცვლების გზები წლიდან წლიდან ძლიერ ცალებადობს. სექტემბერიდან მარტის ნახევრამდე ციკლონთა ტრაექტორიები ძლიან მსგავსი არიან, ისინი გადიან უმთავრესად ხმელთაშუა ზღვის ჩრდილო და ცენტრალურ რაიონებშე დასავლეთიდან ეგეოსის ზღვიდან, შემდეგ კი ან განაგრძობენ თავის მიმართულებას აღმოსავლეთით, ან, რაც უფრო ხშირად ხდება, განტოტებიან და მიმართებიან ცალკე ციკლონურ ცენტრების სახით ზავ ზღვაზე და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში; იშვიათ შემთხვევებში მათი ტრაექტორია აფრიკის ჩრდილო ნაპირებს უახლოვდება, სექტემბერსა და ოქტომბერში სამხრეთ ციკლონების შემთხვევების რაოდენობა ძლიან მცარევა, შემდეგ თვეებში კი მატულობს; შემთხვევების ყველაზე მეტი რიცხვი თებერვალს და მარტის პირველ ნახევრას ხვდება. მარტის შუა რიცხვიდან მაისამდე (ჩათვლით) ხმალთაშუა ზღვის ციკლონთა სისტემში ზოგჯერ უფრო სამხრეთ სიგანედების ციკლონები შედიან და მაშინ უფრო ხშირად ხდება ამ ციკლონების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით შექრა. იგნისიდან აგვისტომდე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ხმელთაშუა ზღვის ციკლონების გადანაცვლებას დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ადგილი არა აქვს; სუსტი ციკლონურობა ჩატება ზღვის შხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილში.

ციკლონური აღრევების გარდა საქართველოს ატმოსფერულ ცირკულაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ცვლადი ანტიციკლონური ცენტრები, რომელიც პოლარულ აუზიდან და ატლანტიურ (აზორის) დინამიკურ ანტი-

ცირკლონიდან გამოიყოფიან. მა ანტიცირკლონების ცენტრები ჩვეულებრივად ქავებისიონის ჩრდილოეთით გაივლიან, ამასთანავე საქართველოშე კი გადიან ძათთან დაკავშირებული წევეის ტოტები.



სურ. 2. საქართველოს ცირკლონის ტერიტორიაზე (45° ჩ. ს. სამხრეთი).

საქართველოს, უმთავრესად მის ოღონისაელეთ ნაწილის ატმოსფეროს პროცესების მსვლელობაში მნიშვნელოვან გამოვლინებას პოულობენ აზისს

ბარიული არების სეზონური ცვლილებები: სახელდობრ, ციშბირის ანტიცი-კლინის ჟეგავლენა წლის ცივი ნახევრის განმავლობაში და აზიის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში დაყარებული თერმიული დეპრესიის გავლენა წლის თბილი ნახევრის განმავლობაში.

საქართველოში სხვადასხვა ჰაერის მასების შემოჭრის შედარებითი დიდი სიხშირე, რელიეფის სირთულესთან დაკავშირებით, იძლევა საქართველოს ტე-რიტორიის სხვადასხვა ნაწილში ამინდის სხვადასხვა ტიპს, რაც აპირობებს კლიმატის ვარიაციებს, რომელნიც მხოლოდ სიმაღლეთა ზონალობის პირობებით და ქვემდებარე ზედაპირის ხასიათის სხვადასხვაობით ვერ აისხებიან.

სახელდობრ, ადგილობრივი ორგანიზაციული პირობები და ცირკულა-ციურ ზეგავლენათა რიცლი კომპლექსი ჰქმნის კლიმატის სხვადასხვაობას საქართველოს შედარებით მცირე ტერიტორიის ფართობზე.

ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების ანალიზმა საქართველოს ტე-რიტორიაზე გამოავლინა არსებითი სეზონური განსხვავებანი ატმოსფეროს მოქმედების ძირითადი ცენტრების გავლენაში და აგრეთვე ადგილობრივ პი-რობების მოქმედების ხსიათსა და ინტენსივობაში. ეს განსხვავებანი და მათ-თან დაკავშირებული ამინდის განსაკუთრებული პირობები განსაზღვრავენ სა-ქართველოში ცალკე სეზონების კლიმატურ რეგიმის მთავარ სახეებს.


ზამთრი არი. მთავარი ატმოსფერული პროცესები, რომელიც საქართვე-ლოს ტერიტორიაზე ზამთრის პერიოდში ვთავარდებიან, განისაზღვრებიან ატმოსფეროს მთავარი ცენტრების მოქმედების ადგილმდებარებითა და ინტენსივობის ხარისხით, პოლარულ და არქტიკულ ფრონტების მოქმედებით და ამიერკავკასიაზე მაღალი წნევის კვაზისტაციური არის ხშირი წარმოშობით.

ამიერკავკასიის ატმოსფეროს მოქმედების უახლოეს ცენტრს ზამთრის პერიოდში წარმოადგენს ციმბირის ანტიციკლონი, რომელიც თავისი ტოტით მიმართულია აღმოსავლეთ ეგრობასიაკენ და პერიოდულად ძლიერდება ჩრდი-ლოების ცივი, უმთავრესად არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრის ზემოქმედებით.

როგორც ზამთრისთვის ყველაზე მეტად ტიპიური თვის — იანგრის წნევის საშუალო განაწილების რუკა გვჩენებს (ნახ. 3), ციმბირის ანტიციკლონი რომელიც გადანწყვეტ როლს ასრულებს საბჭოთა ევროპულ ტერიტორიის უმეტესი ნაწილის ატმოსფეროს ცირკულაციაში, მულტიფარ უშუალო გავლენას არ ახდენს ამიერკავკასიის პროცესებზე. კავკასიონის მთაგრეხილი, რომ-ლის საშუალო სიმაღლე დახსლობებით უდრის 4 კმ და მიმართულია ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ ბუნებრივ ზღუდეს წარმოადგენს ამიერკავკასიაში ჩრდილოეთიდან ჰაერის მასების გავრ-ცელების წინააღმდეგ. ცივი, აღმოსავლეთისა და ჩრდილო-აღმოსავლეთის დე-ნები შედინა კასპიის ზღვაზე ზამთარში გამეფებულ სუსტ ციკლონურ ცირკუ-ლაციაში, რის შედეგად ამიერკავკა სიის თითქმის მთელ აღმოსავლეთ ნაწილში დასავლეთის დენები რჩებიან.

ზამთარში მთელი კავკასია და მისი მახლობლად მდებარე მხარეები იმყო-ფებიან უმთავრესად მშრალი და ცივი კონტინენტური ჰაერის ჩრდილო-აღმო-სავლეთ ნაკადში, რომელიც აზიის შიდა რაიონებიდან მიმდინარეობს, მაგრამ

ცალქე, რთული ოროგრაფიის მქონე რაიონებში, წარმოიშვება ცირკულაციის ადგილობრივი თავისებურებანი. ასეთ რაიონებს ჩეკუთვნის, რასაკვირველია, ამინტავებისიაც.



ნახ. 3 იანვრის იზობარები.

მისამართის, ამისა, ევროპა-აზიის ანტიციკლონის ზეგავლენა საქართველოს ამინდზე საკმარისად დიდია და ანტიციკლონის მდებარეობის და ინტენსივობის მიხედვით იცვლება. საქართველოში ცივი კონტინენტური, ხშირად

2. გეოგრაფ. ინსტ. შრამები, ტ. III, ნაკვ. 1.


ყოფილი არქტიკული, ჰაერის მასების შემოჭრა აღმოსავლეთიდან ზამთარში, უმეტესად, ციმბირის ანტიკიკლონის ტოტის დასავლეთისაკენ გავრცელებასთან არის დაკავშირებული.

იმ შემთხვევაში, როდესაც კასპიის ზღვაზე მდებარე დაბალი წნევის არე სწრაფად ინაცვლებს აღმოსავლეთით, მის ზურგში განვითარებული ძლიერი ჩრდილოეთის დენები იწვევენ ცივ კონტინენტურ, ხშირად ყოფილ არქტიკულ ჰაერის მასების გადანაცვლებას, შემართულს კასპიის ზღვის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებისაკენ. ამავე დროს ჰაერის მასები იწყებენ აღმოსავლეთიდან საქართველოში შემოჭრას, ანალოგიური, რღონდ შედარებით ნაკლებ ინტენსიური პროცესი ვითარდება კასპიის ზღვაზე დაბალი წნევის არის ნელი შევსების დროს. აღმოსავლეთიდან შემოჭრის პროცესი უდიდეს განვითარებას აღწევს იმ შემთხვევაში, როდესაც ციმბირის ანტიკიკლონის მძლავრი ტოტი მიიწევს აღმოსავლეთიდან საბჭოთა ეკროპულ ტერიტორიის სამხრეთ ნახევარზე და ამიერკავკასიაზე.

აღმოსავლეთიდან შემოჭრის პროცესი, რომელიც ციმბირის ანტიკიკლონის ტოტის გადანაცვლებასთან არის დაკავშირებული, ხშირად ხანგრძლივ ხასიათს ატარებს, გრძელდება 3—5 და მეტ დღეს და უფრო ხშირად მა ადგილი აქვს დეკემბერში, როდესაც ხმელთაშუა ზღვის ციკლონური მოქმედება გვერდის შემთხვევაში, როდესაც ციმბირის ანტიკიკლონის მძლავრი ტოტი მიიწევს აღმოსავლეთიდან საბჭოთა ეკროპულ ტერიტორიის სამხრეთ ნახევარზე და ამიერკავკასიაზე.

აღმოსავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრა ჩვეულებრივად მთელ საქართველოში არ ვრცელდება [6]. ცივი ფრონტი ქართლის ვაკეს რომ მოაწევს, რამდენიმე ხანს ჩერდება, უფრო ხშირად, თბილისის და გორის რაიონებს შორის. შემდეგში ან იშლება, ან (რაც უფრო იშვიათია), უკან აღმოსავლეთისკენ იხევს თბილი ფრონტის სახით. სურამის ულელტეხნიკური მისი გადანაცვლება გაცილებით იშვიათ შემთხვევებში ხდება. ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში, განსაკუთრებით მის მაღლობ ნაწილში, ახალგაზის ზეგანზე და მთელ დასავლეთ საქართველოში უმეტესად მშრალი ამინდი შეარდება; ტემპერატურა მნიშვნელოვნად არ იცვლება, რიონის ხეობის გამონაკლისით, სადაც ტემპერატურა ფიონური პროცესის გამო ზოგჯერ იზრდება. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც იდგილმდებარეობის რელიეფის გაელექცია ჰაერის მასების იძულებითი აღმავლობა ხდება, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ დენების დროს ხანგრძლივად მყარდება მოლორუბლული ამინდი დაბალი ფენოვანი ღრუბლებით, ნისლითა და მცირე ნალექით. თბილისის და შიდა კახეთის რაიონებში, სადაც ოროგრაფია ჰაერის დენების კონტრაგრძენის ხელს უწყობს, ნალექთა უდიდესი რაოდენობა გამოიყოფა. ტემპერატურა ეცემა, მაგრამ ძლიერ ყინვებს ჩვეულებრივად ადგილი არა აქვს, ვინაიდან ამ პროცესის დროს შემოჭრილი მასები უკვე მნიშვნელოვნად ტრანსფორმირებულია კონტინენტურ პოლარულ ჰაერიად და მცირე ვერტიკალურ სიმაღლეს აღწევს. მე-4 სურათზე წარმოდგენილია აღმოსავლეთიდან შემოჭრის პროცესის დამახასიათებელი შემთხვევა, როდესაც ციმბირის ანტიკიკლონის ტოტი დასავლეთისაკენ გადაინაცვლა 10—11. II. 1931 წ. აღმო-

საველეთ საქართველოს აღმოსავლეთ და ცენტრალურ რაიონებში იდგა მოღრუბლული ამინდი მცირე თოვლით და 1—2 მ/სეკ სიჩქარის სამხრეთ-აღმოსავლეთის ქარით, დასავლეთ რაიონებში იდგა მშრალი ამინდი; გორის და ახალქალაქის რაიონებში ჰქონდა 5—6-ბალიანი აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა დაბლობ იდგილებში დაეცა —3°,—5° მდე (ცის მოწმენდის დროს —6°,—8°-მდე). დასავლეთ საქართველოში იყო მშრალი მცირელუბლიანი ამინდი, რომის ხეობაში ჰქონდა 6—8-ბალიანი აღმოსავლეთის ქარი. ტემპერატურა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.



ნაზ. 4. სინოპტიკური რუკა. 14. XII—1944 წ. 7 ს.

ციმბირის ანტიციკლონის მძლავრი ტოტის შემოტევა ევროპაზე ხშირად ხმელთაშუა ზღვაზე ციკლონურ მოქმედების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში, მიღლივ წნევის ტოტის საქმაო სამხრეთი მდებარეობის გამო და მისი ამიერკავკასიაში შემოტევის დროს, ბარიული ვრადიცნტები, შავ ზღვაზე წნევის დაცემის გამო, ისრდება, რაც ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ ქარების გაძლიერებას; უკანასკნელი ზოგიერთ რაიონში ფინონის ხასიათის ღებულობს და ზოგჯერ ხანგრძლივად ჰქონის ( $1\frac{1}{2}$ —2 კვირი). ასე, მაგალითად, 1944 წ. დეკემბერში ანალოგიურ მდგომარეობის დროს ძლიერი აღმოსავლეთის ქარი ჰქონდა რიონის ხეობაში 1-დან 5-XII-მდე და 9-დან 21-XII-მდე. ამასთანავე უკანასკნელ ჰქონილის განმავლობაში უმთავრესად შრომის ხასიათის ატარებდა.

ციმბირის ანტიციკლონის დასავლეთით გამოშეული ტოტის უფრო ჩრდილო მდებარეობის დროს ამიერკავკასიის სამხრეთით, პოლარულ ფრონტზე იქმნება ტალღური და ციკლონურ აღრევათა წარმოშობისათვის ხელსაყრელი პირობები, რაც იწვევს მოელ საქართველოში არამდგრად ამინდს.

საშუალო წნევის განაწილების რუკები არ იძლევა ჰაერის ცირკულაციის შეაფიონ სურათს; მათში ზოგიერთი ხანმოკლე და სწრაფად ცვალებადი პიროვები არ ჩანს. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მე-3 რუკაზე, რომელიც

იანგრის საშუალო წნევის განაწილებას გვიჩვენებს, და აგრეთვე ზამთრის სხვა თვეების ანალოგიურ რუკებზე მკაფიოდ არ არის გამოხატული ისეთი ფრიად მნიშვნელოვანი პროცესი, როგორიცაა ანტიციკლონური ცენტრების გადანაცვლება პოლარულ აუზიდან. მძლავრი ანტიციკლონების გაჩენა და განვითარება ხდება პოლარულ ან არქტიკულ ჰაერში, იმ ციკლონების ზურგში, რომელიც ევროპაზე და დასავლეთ ციმბირზე გადაინაცვლებიან. შემდეგში ისინა სამხრეთ-აღმოსავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით მიიმართებიან.

კავკასიონის ქედი აბრკოლებს ცივი ჰაერის მასების გადანაცვლებას სამხრეთისეკნ და გარდა ამისა მათი ამიერკავკასიაში შემოჭრის მთავარ, სახელდობრ, დასავლეთ და აღმოსავლეთის გზებს განსაზღვრავს. დასავლეთიდან შემოჭრის პროცესი ვითარდება უმეტეს შემთხვევაში ანტიციკლონების გადანაცვლების დროს ისლანდიისა და ნორვეგიის ლერძების მიმართულებით. დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან შემოჭრილი ჰაერის მასები ზამთრის პერიოდში უმეტესად ცივია. წყლის ზედაპირზე გავლის დროს (იანვარში შევიზღვის წყლის ზედაპირის ტემპერატურა 8° უდრის), ჰაერის მასების უდევარობა მნიშვნელოვანად იზრდება, წარმოიშვება კონვექტური ნაკადები, რომელიც დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებზე წარმოშობენ კონვექტურ ლრუბლებს, მნიშვნელოვანი რაოდენობის ნალექებით და მათ ხშირად თან სდევს ელექტრი, ზოგჯერ სეტყვითა და ხორხოშელით.

დასავლეთ საქართველოს ოროგრაფიული პირობები, სახელდობრ, ადგილმდებარეობის თანდათანობითი ამაღლება, კოლხეთის დაბლობის შევიზროვება აღმოსავლეთისაკენ, დასავლეთიდან შემოჭრების პროცესის დროს ხელს უწყობს ჰაერის ნაკადების კონვექტურისა და ჰაერის მასების იძულებით აღმავლობას. ამის გამო, დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა უხევი და აგრეთვე ხანგრძლივი ნალექები, რომელიც არ წყდებიან მაშინაც, როდესაც ფრონტი უკვე გადანაცვლებულია შორს, აღმოსავლეთისკენ.

ქართლ-იმერეთის ქედის აღმოსავლეთ ფერდობებზე, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში, უმთავრესად ბორჯომბაკურიანის და აბასთუმნის რაიონებში თითქმის მთელი პროცესის განმავლებაში აღინიშნება მნიშვნელოვანი მოძრუბლულობა და გამოყოფილ ნალექებსაც ხანგრძლივი ხასიათი აქვთ. აქედან აღმოსავლეთისეკნ, მდინარე მტკერის ხეობაში აღინიშნება ჰაერის მასების დივერგენცია და სუსტი დაღმავალი ნაკადები; ნალექებს აქ უმთავრესად ფრონტალური ხასიათი აქვთ. ფრონტის გავლის შემდეგ ნალექები მიღება სწყლება და მოღრუბლულობაც მცირდება. აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ხშირად სუსტ ფიონურ მოვლენებს აქვს ადგილი.


დასავლეთიდან, ყოფილი ზღვის პოლარული ჰაერის მასის შემოჭრის პროცესის დროს ჩვეულებრივად მთელ დასავლეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში აღინიშნება მოღრუბლულობაც მინდი ნალექით, დასავლეთ საქართველოში ალგ-ალგ ელექტრი ხორხოშელით. ქარი დროგამ-

შევძით ჰერის და ალაგ-ალაგ გრიგალის ხასიათისაა. ოღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ რაიონებში აღინიშნება მხოლოდ გარდამავალი ხასიათის ნალექები.

მოძრავი აღტიციკლონების უფრო აღმოსავლეთური ტრაექტორიების დროს (ნორდკაპის, კანინის, ზოგჯერ ულტრა-პოლარული დერქები), ცავი ჰაერის მასები კავკასიონის ქედის მიერ შეკავებული, მიიმართებიან მის ჩრდილო ფერდობების გასწვრივ სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ — კასპიის ზღვისაკენ. ცივი ჰაერის შემოჭრის პროცესის საქმარისი ინტენსივობის დროს, ამასთანავე შავ ზღვაზე დაბალი წნევის არსებობისას, ჰაერის მასები გარს უვლიან ქედს და ამიერკავკასიაში შემოიჭრებიან აღმოსავლეთიდან. ჩვეულებრივად ამ ჰაერის მასების სიმძლავრე უფრო მეტია, ვიდრე ციმბირის ანტიციკლონის დასავლეთი ტოტის გავრცელების პროცესების დროს აქვს ადგილი. ამიტომ ვარჩეული პროცესის დროს ჩვეულებრივად მთელი აღმოსავლეთი საქართველო ცივი ჰაერის მასებით იფარება და მხოლოდ გამონაკლისის შემთხვევებში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1935 წ. იანვარში, შემოჭრა დასავლეთ საქართველო-ზედაც ცრცლელდება. აღებულ შემთხვევაში, აღმოსავლეთის ქარების დროს ტემპერატურა დასავლეთ საქართველოში დაეცა და სანაპირო რაიონებში 0°-2°-სს მიაღწია. შემოჭრა ხასიათდებოდა მინშვნელოვანი სისტემავრით, შემოჭრილი ყოფილი არქტიკული ჰაერის მასები განსაკუთრებით დაბალი ტემპერატურით ხასიათდებოდა, რის გამო მან გამოიწვია ტემპერატურის დაცვა აღმოსავლეთ საქართველოს ისეთ თბილ რაიონებშიაც, როგორიცაა შიდა-კახეთი და თბილისის რაიონი, სადაც ტემპერატურა -20° და მეტზედაც დაეცა. ტემპერატურის გაცილებით მცირე დაცვის ჰქონდა ადგილი აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში, რომელნიც შეიძრე კავკასიონის მთის სისტემაში შედიან. აქ, ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოში, აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურები აღინიშნება დასავლეთიდან შემოჭრის პროცესების დროს [6]. ანტიციკლონების პოლარულ აუზიდან გადმონაცელების დროს ზოგჯერ ვითარდება წლის ცივი დროისათვის დამახასიათებელი შემოჭრის პროცესი, როდესაც საქართველოში, უმეტესად კონტინენტური არქტიკული ჰაერის მასები დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან ერთდროულად იჭრებიან. კავკასიონის როლი ისეთი პროცესების დროს განსაკუთრებით დიდია, კავკასიონის ქედის მიერ შეკავებული ჰაერის მასები გარემო სინოპტიკურ პირობების დროს გარს უვლიან მას ორივე შეჩიდან. ცივი ფრონტის ორივე ტოტის დაახლოება და შემდეგში თბილი ჰაერის ოკულურება ჩვეულებრივად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში ხდება. ნაბ. 5 და 6 იძლევა ამ პროცესის ორი ურთიერთ შორის მომდევნო სტადიების დამახასიათებელ მდგრამარეობას.


ზემთრის ტიპიურ პროცესს წარმოადგენს ხმელთაშუა ზღვაში პოლარულ ფრონტის ტოტის წარმოშობა და შავ ზღვაზე ადგილობრივი ცაკლოგნეზის შექმნა. ზამთარში, უმთავრესად დეკმბერში და იანვარში, ხშირად ხდება ამ ციკლონების შეჩირება და მათი შემდგომი შევსება ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში და შავი ზღვის რაიონში. მაგრამ არ არის იშვათი ისეთი შემთხვევა, როდესაც მათი ტრაექტორია გრძელდება აღმოსავლეთისაკენ. თუმცა შემდეგში ეს ციკლონები უკვე მნიშვნელოვნად შევსებული და ბარიულად სუსტად გამოხატული არიან.

ჩვეულებრივიად ხმელთაშუა ზღვის ციკლონები ზამთრობით გადაინაცვლებიან ხოლმე ამიერკავკასიაზე ან მის სამხრეთით უკვე ოკლუდირებული სახით, თუმცა ხანდისხან საქართველოში იძლევიან თბილ სექტემბრს ტროპიკული ჰაერით. ზღვის ზედაპირიდან ხმელეთზე გადასვლისას ხახუნის პროცესის გაძლიერ



ნახ. 5. სინოპტიკული რუკა. 23. II. 1945 წ. 19 ს.

რება და დასაცლეთ საქართველოს ირგვლივ მდებარე მთების წინააღმდეგობა ხელს უწყობენ იმას, რომ ტროპიკული ჰაერის ოკლუდირება მეტ წილად და-



ნახ. 6. სინოპტიკული რუკა. 24. II. 1945 წ. 7 ს.

საცლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ხდება. შემდეგში იღმოსავლეთისკენ გადაინაცვლებას უკვე ოკლუდის ფრონტი. ეს პროცესი დასაცლეთ საქართველოში და იღმოსავლეთ საქართველოს დასაცლეთ რაიონებში იწვევს უმეტესად მოღრუბლულ ამინდს, ხანგრძლივი ნალექებით; იღმოსავლეთ საქართველოს

სხვა რაიონში კი მცირე გარდამავალ ხასიათის ნალექებს და დასავლეთის რუმბის ძლიერი ქარის ამოვარდნას. მთიან რაიონებში ადგილი ძევს ტემპერატურის მცირე აწევას. დასავლეთ საქართველოში ხანმოკლე გათბობის შემდეგ ტემპერატურის მცირე დაწევა ალინიშნება მოელ საქართველოში. იშვიათ ზემთხვევებში იკლუდირების პროცესი ნელა სწარმოებს და მაშინ საქართველოზე გადაინაცვლება შევიწროებული კონტინენტური ტროპიკული ჰაერის თბილი სექტორი.

ციკლონები, ამიერკავკასიაზე (ან მის სამხრეთი) გადანაცელებისას, ზოგჯერ იშვევენ ჩრდილოეთით, საბჭოთა კავშირის ეკროპულ ნაწილის სამხრეთ რაიონებში მყოფ არქტიკული ფრონტის ტალღურ აღრევებს. ამ აღრევების შემდევი განვითარება და გადანაცელება ხელს უწყობს დასავლეთიდან არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრას საქართველოში. ასეთ შემთხვევებში, ტემპერატურის სწრაფი დაწევის დროს ნალექების გამოყოფა თოვლის სახით აღინიშნება არა მარტო მაღლობ რაიონებში, არამედ აგრეთვე დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლშიაც. დასავლეთიდან არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრის პროცესის უწყვეტის შემდევ, ცის მოწმენდისა და რადიაციული გაცივების დროს ტემპერატურა განაგრძობს დაწევას.

ციმბირის ანტიციკლონის (და მისი ტოტის) საქმიანისად სამხრეთიდ მდებარეობის დროს ხშირად ხდება შევი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მყოფ ციკლონთა სერიის ერთ-ერთი წევრის ამონება. ტროპიკული (ან თბილი პოლარული) ჰაერის მასების ოკლუდირება შევ ზღვაზე და დასავლეთ საქართველოს მახლობელ რაიონებში იშვევს ნალექების დიდი რაოდენობით გამოყოფას, მეტადრე სამხრეთ სანაპირო ზოლში. აღმოსავლეთ საქართველოში აღინიშნება უმეტესად მშრალი ამინდი. გამონაკლის შეადგენენ მისი დასავლეთი და სამხრეთი მაღლობი ადგილები, სადაც დროგამოშვებით მცირე ნალექი მოდის.

საქართველოს ატმოსფეროს ცირკულაციისათვის ზამთრის პირობებში არა ნაკლებ მნიშვნელოვანია მაღლი წნევის არები, რომელიც ხშირად ამიერკავკასიაში წარმოაშებინ და საშუალო კლიმატურ რუკებზე ციმბირის ანტიციკლონის ტოტის სახით არიან წარმოლდენილნი. ეს არები ჩრდებიან დასავლეთის ან აღმოსავლეთის შემოწრების პროცესების დამთავრების შემდევ, როდესაც ამიერკავკასიისკენ მიმართულ მაღლი წნევის მთავარ არებს ან მათ ტოტებს გამოყოფა მცირე ანტიციკლონური ცენტრები. მათ ფორმირდას და სტაციონარობას ხელს უწყობენ ადგილობრივი ოროგრაფიული პირობები: ჩრდილოეთიდან კავკასიონის მთაგრეხილით შეზღუდვა, სამხრეთით მცირე კავკასიონის მთანი სისტემა ცალ-ცალე ზეგნებით და მთანი მხარეებით აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა სუბტროპიკული მაღლი წნევის ზონის ჩრდილო პერიფერიაზე. ანტიციკლონური მდგომარეობის შენარჩუნების ხანგრძლივობა და სიხშირე ჟველაზე მეტია აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც იანვარში, საშუალოდ დღეთა რიცხვის  $40^{\circ}$ , ანტიციკლონური მდგომარეობით ხსიათდება. საქართველოში ანტიციკლონური მდგომარეობის მთელი პერიოდის განმდინარებაში დგას მცირელრუბლიანი, უმეტესად მშრალი



ამინდი. ახალქალაქის ზეგანშე, სადაც ადგილობრივი პირობები, სახელდღი, მაღალი ზეგანი, თითქმის ყოველ მხრიდან მთის ქედებით გარსშემორტყმული, ხელს უწყობს ადგილობრივი გაცივებისა და ჰაერის მასების მდგრადობის გადიდებას [7].

ზამთრის პერიოდის განმავლობაში საქართველოში პოლარული ჰაერის მასა გაბატონებული ჰაერის მასას წარმოადგენს. იგი საქართველოში შემოდის ან ციკლონურ სისტემების ზურგში ნაკადის სახით, და ამ შემთხვევაში იგი უმთავრესად ზღვის ჰაერის მასას წარმოადგენს, ან ანტიციკლონურ არეების ტორების ამიერკავკასიისკენ წამოწევის დროს, კონტინენტური ჰაერის მასების სახით. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში პოლარული ჰაერის მასები უმთავრესად ცივ არამდგრად მასებს წარმოადგენ და ხასიათდებიან საწვიმარი - გრძვა ლრუბლიწობით, თავსხმა ნალექებით და დასავლეთ საქართველოში ელქექიანობის სიჭარბით. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლებელია ობილი პოლარული ჰაერის მასების შემოსვლა საქართველოში თბილი პოლარული ოკუზების ფრონტის ზურგში ან ციკლონების თბილი სექტორის მეოხებით. საქართველოს მოხვედრა თბილ პოლარულ ჰაერის მასებში აღინიშნება აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ხდება ცივი პოლარული მასების გათბობა, ან კონტინენტური არქტიკული მასების ტრანსფორმირება.

არქტიკული ჰაერის მასების შემოქრა საქართველოში ზამთრის პერიოდშიც კი ხშირი მოვლენა არ არის. ამის მიზეზი კავკასიონის ქედია, რომლის შემოვლა არქტიკული ჰაერის მასებით განსაკუთრებულ პირობებში ხდება. საქართველოში არქტიკული ჰაერის მასების შემოქრა ხდება ორ მთავარ სინოპტიკურ მდგომარეობის დროს [8]. პირველ შემთხვევაში საბჭოთა ეპრობულ ტერიტორიაზე მყოფ ღრმა და ფართო ციკლონის ზურგში წარმოიშება არქტიკული, უმთავრესად ზღვის ჰაერის მასების შძავრი ჩრდილოეთის ნაკადი, რომელიც ვრცელდება შორს სამხრეთში და ზავი ზღვის სიგანედებშე დასავლეთ ან ჩრდილო-დასავლეთ ნაკადებად იცვლება; აქ არქტიკული ჰაერის მასები თავისუფლად იჭრებან საქართველოში დასავლეთიდან. მეორე მდგომარეობის დროს კონტინენტური არქტიკული ჰაერის მასები მძლავრი ანტიციკლონების სახით ვრცელდებიან სამხრეთით. იმის გამო, რომ კონტინენტური არქტიკული ჰაერის მასას შედარებით მცირე ვერტიკალური სიმძლავრე ახსიათებს, იგი კავკასიონის ქედის მიერ შეკავებული, ცირკულაციის განსაკუთრებულ პირობების დროს შემოუვლის მას დასავლეთიდან ან აღმოსავლეთიდან, ან ზოგიერთ შემთხვევაში ერთდღროულად ორივე მხრიდან და შემდეგ იჭრება საქართველოში.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთისკენ მიმდინარეობის დროს არქტიკული ჰაერი მნიშვნელოვნად თბება, საქართველოში შემოქრის დროს იგი მაინც დიდ სიცივეებს იწვევს. ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმები სწორედ არქტიკულ ჰაერში იღინიშნება. არქტიკული ჰაერის ზედინიშვნითი გამსჭვირვალობა და შასში წყლის ორთქლის მცირე შემცველობა ხელს უწყობს ცის სწრაფ მოწმენდას შემოქრის პროცესის დამთავრების შემდეგ. ქარბუქის მო-

ვლენები დიდ განვითარებას აღწევენ სწორედ არქტიკული ჰაერის შემოჭრის დროს. ანტიციკლონურ მინდის დამყარებისთანავე არქტიკული ჰაერის მასები სწორია და იწყებენ ტრანსფორმირებას პოლარულში და საქართველოს არქტიკულ ჰაერში ყოვნის ხანგრძლივობა იშვიათად თუ აღმატება 5 ან 6 დღეს.

ტრანსფორმირების ჰაერის მასების შემოსვლა საქართველოში ზამთრის პერიოდის დროს ხდება მხოლოდ ხელთაშუა ზღვის ციკლონების თბილი სექტორების გავრცელებით. ტრანსფორმირების თან მოაქვს მნიშვნელოვანი სითბო, რაც ყოვებს მაღლობ რაიონებშიაც კი სპობს. მთიან რაიონებში იწყება მნიშვნელოვანი გათბობა, რაც ზოგჯერ იწვევს თოვლის ზავებსა და ნასხულებებს.

თბილი ფრონტის გავლის შემდეგ ცივი ფრონტიც ძალიან მაღლე გაივლის ხოლმე, ან იყლულირების პროცესი იწყება. ამიტომ საქართველოს ტრანსფორმირების ყოვნის ხანგრძლივობა ზამთარში დიდი არ არის და, ჩვეულებრივად, ერთ დღე-დამეს არ აღმატება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზამთრის კლიმატური რეემის მთავარი სახეები განისაზღვრებიან ექთი მხრით ანტიციკლონური არეების ხშირი ფორმირების პროცესებით იმიტრავეკასიაზე და მეორე მხრით ფრონტიალური ზედაპირების გადანაცვლების მთავარი მიმართულებით გადანაცვლებით — დასაცვლეოდან აღმოსავლეთისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში ფრონტიალური პროცესები ხშირ მოვლენებს წარმოადგენენ, მაინც ნალექების რაოდენობა დიდ არ არის, თითქმის ყველგან აქ ნალექთა წლიური მინიმუმი იანვარში აღინიშნება, ღრუბლიანობაც შემცირებულია, ამასთანავე ფენოვანი ფორმები სცაბობენ. დიდ განვითარებას აღწევენ რადგაციული პროცესები, რის გამო ხშირია რადგაციული ნასლების წარმოშობა. აღმოსავლეთის დაბალ ფრენებში ხშირად ჩნდებიან ინვერსიები, ლამის საათებში აღინიშნება შტოლების დიდი რაოდენობა და ამის გარდა საქართველოს გეოგრაფიულად სამხრეთული მდებარეობის გამო მას ახასიათებს საერთო მაღალი თერმიკა.

აღმოსავლეთი საქართველო ზამთარში ხასიათდება ატმოსფეროს უმეტესად მდგრადი მდგომარეობით, რაც ტემპერატურის ვერტიკალურ გრადიენტების სიდიდეებში მეღანიდება. ტემპერატურის საშუალო ვერტიკალური გრადიენტები თავისიუფალ ატმოსფეროში თბილისში, თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის მონაცემების მიხედვით [9] შემდეგ სურათს იძლევან (ტაბ. 1).

თბილისის დაცვირებებათა მონაცემებით განსაზღვრული გრადიენტების წლიური მსვლელობა შეიძლება გავრცელებულ იქნეს აღმოსავლეთ საქართველოს მეტ ნაწილისთვის.

### ტაბულა I

ტემპერატურის საშუალო ვერტიკალური გრადიენტები თავისუფალ ატმოსფეროში თბილისში

სიმაღლეთა სავარია კილომეტრებში	°											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
0,4—1,0	0,18	0,25	0,28	0,47	0,61	0,63	0,57	0,45	0,43	0,28	0,45	0,30
1,0—2,0	0,32	0,41	0,43	0,40	0,45	0,49	0,53	0,48	0,49	0,38	0,33	0,40

გამოყოფილ ნალექთა შედარებით მცირე რაოდენობა და საშუალო თვეიური ტემპერატურების დაცებითი სიუაცეები აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ხელს უშლიან მყარი თოვლის საბურველის წარმომბას. თოვლის საბურველი, რომლის ხანგრძლივობა 1 თვეზე ნაკლები არ არის წარმოიშვება მხოლოდ ზღვის დონიდან 500-600 მეტრის ზევით.

დასავლეთ საქართველოში ზამთრობით ბარიული გრადიენტი უმეტეს ნაწილად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ მოიმართება, რაც იშვევს აღმოსავლეთის ფინიური ხასიათის ქარების გამატონებას. მიუხედავად იმისა, სამხრეთ და ზომიერ სივანედების ატმოსფეროს აღრევების ხშირი ზემოქმედება, რომელსაც უმთავრესად დასავლეთის ან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულება აქვს, წარმოშობს დასავლეთ საქართველოში ზამთრის პერიოდში არამდგრადი ხასიათის ამინდს.

მიუხედავად იმისა, რომ ზამთარში წნევის საშუალო თვიური მნიშვნელობა დიდია (იანვარში საშუალოდ 1020 მმ. მეტია), აქ მაინც ციკლონური ხასიათის ამინდი და ატმოსფეროს არამდგრადი სრტატიფიკაცია სჭარბობს. ვინაიდან დასავლეთ საქართველოს თავისუფალი ატმოსფეროს ზონდირების შედეგები ჩენ არ მოგვეპოება, მაგვაც ტემპერატურის საშუალო ვერტიკალური გრადიენტები თვეების მიხედვით, მიღებული ბათუმის და ფურთიოს სადგურების მონაცემების მიხედვით [10].

## ტაბულა 2

ტემპერატურის საშუალო ვერტიკალური გრადიენტები ფურთიოს (568) და ბათუმის (3) ზორის

სიმ. ზორისა საფეხურები	თ 3 9 9 8 0											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
3 - 568	0,83	0,63	0,50	0,20	0,13	0,40	0,45	0,50	0,55	0,64	0,65	0,91

დასავლეთიდან შემოცესი ჩეულებრივია ხანგრძლივი არ არის, მაგრამ თავისი ინტენსივობის მიხედვით მთავარ კლიმატურ ფაქტორად არის წარმოდგენილი. ეს პროცესი ზამთრის სეზონში, იძლევა დასავლეთ საქართველოში ღრუბლიანობის გადიდებას და ხშირი და უხვ ნალექებს. ნალექთა წლიური მაგისიმუმი რაიონის უმეტეს ნაწილში ზამთრის თვეებშია აღნიშნული. თბილი ზღვის სიახლოეს და ფინნების ხშირი განვითარება იმდენად ამაღლებენ ზამთრის თვეებს ტემპერატურას, რომ მიუხედავად აცივებისა, რომელსაც იშვევს დასავლეთის ან ჩრდილო-დასავლეთის ცივი ჰაერის მისების აღვეჭუია, საშუალო თვიური ტემპერატურები მაინც მაღალი რჩება, რაც განსაკუთრებით სანაპირო ზოლშია აღნიშნული. იანვრის საშუალო ტემპერატურა  $0^{\circ} + 4^{\circ}, + 6^{\circ}$  უდრის, ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმების საშუალოებიც  $-3^{\circ}, -4^{\circ}$ -ის ქვევით არ ეცემიან. მაღალი თერმიკის გამო ნალექები უმთავრესად წვიმის სახით გამოიყოფა, მეტადრე დაბლობ რაიონებში, ისე, რომ ნალექთა დიდი რაოდენობით გამოყოფის დროსაც მყარი

თოვლის საბურველი წარმოაშება ზღვის დონიდან მხოლოდ 400 მეტრის ზევით. მაგრამ ზოგიერთ, განსაკუთრებულ წლებში, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ხშირად იტენდა არტერიული ჰაერის მასები ჩრდილო-დასავლეთიდან, მაშინ მყარი თოვლის საბურველი შეიძლება ფრეთვე დაბლობ რაიონებშიაც წარმოაშეს. ასე, 1911 წ. იანვარში და თებერვალში თოვლის საბურველმა სანაპირო ზოლშიაც კი თითქმის  $1\frac{1}{2}$  თვეს გასტანა და მისი საშუალო დეკადური სიმაღლე. ცალკე რაიონებში (სოხუმში), 100 სმ აღემატებოდა.

გაზაფხულის პირველი თვის—მარტის, განმავლობაში და პრილის დასაწყისშიაც, გაზაფხულის დამახასიათებელ პროცესებთან ერთად ზოგჯერ ზამთრის ტაბიური პროცესები ვითარდებიან. მიუხედავად მისა, რომ საქართველოს კონტინენტზე ჰაერის მასები უფრო თბება, ვიდრე ზღვაზე, დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ თავს იჩენ წნევის გრადიენტი, მიმართული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. მხოლოდ პრილის შუა რიცხვებში შუა ზღვაზე არსებული ტემპსუროს კონვერგენციული ნაკადები, რომელიც დამახასიათებელი არიან ზამთრის სეზონისათვის, იცვლებიან სუსტი დივერგენციით, რომელიც მაისში უკვე სრულ განვითარებას ღირსევს. მაისის თვეში დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში უკვე დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთ რუმბების ქარებია გაბატონებული.


გაზაფხულზე ციმბირის ანტიკილონი სუსტდება, მისი დასავლეთი ტოტი აღმოსავლეთისაკენ იხევს და ხელსაყრელი პირობები იქმნება ხმელთაშუა ზღვის ციკლონების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ გადასანაცვლებლად, რაც საბჭოთა კავშირის უკროპულ ნაწილის სიგრძედებში აპირობებს მერიდიონალურ ცირკულაციის გაბატონებას. ამ დროს ხდება შავი და კასპიის ზღვებზე ჰაერის თბილი მასების გადანაცვლება სამხრეთიდან, სამხრეთ-დასავლეთიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან.

გაზაფხულზე თბილი ჰაერის მასების სამხრეთიდან გავრცელება ჩვეულებრივად ხმელთაშუა ზღვის ციკლონის თბილი ფრონტის გავლასთან არის დაკავშირებული.

აზორის ანტიკილონი შესაძლებელი ამ დროის განმავლობაში ჯერ კიდევ დაბალ მდებარეობას იყავებს, პოლარული მრტვედების ცენტრი საქართველოსად მძღვრიად არის განვითარებული და ამიტომ ციკლონების ზურგში ვითარდებან მძღვრი და ცივი ანტიკილონური სისტემები [12], რომელიც შორს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლებიან და საქართველოში ცივ ჰაერის მასების შემოჭრას იწვევენ. ამიტომ გაზაფხულობით ტრიპონული ჰაერის მასების გავრცელების პროცესი ჩვეულებრივად ხანგრძლივია არ არის და 1—2 დღის, იშვიათად 3 დღის შემდეგ იცვლება ცივი ჰაერის მასების შემოჭრის პროცესით, რომელიც უმეტესად დასავლეთიდან ხდება.

ხმელთაშუა ზღვის ციკლონების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ გადანაცვლება და მათ ზღვაზი დასავლეთიდან ცივი ჰაერის მასების შემოჭრა საქართველოში წარმოადგენს გაზაფხულის სეზონისათვის დამახასიათებელ პროცესს. ეს პროცესები გაზაფხულის დასაწყისში ჰქმნიან საქართვე-

ლოში გაბატონებულ, არამდგრად ამინდს, სწრაფად ცვალებადი, უმთავრესად კროვა და წვიმის-გროვა ფორმების ღრუბლიანობით, გარდამავალი ხასიათის ნალექებით და ძლიერი დასავლეთის ქარების ამოვარდნით. არქტიკულ ან გადაცივებულ პოლარულ ჰაერის მასებს აქვთ ძლიერ დაბალი ტემპერატურები, როს გამო იწვევენ გაზაფხულზე სიცივეების განახლებას, რასაც ადგილი აქვს გაზაფხულის უფრო გვიან თვეების განმავლობაშიაც. ამის დამახასიათებელ შემთხვევას აღილი ჰქონდა 18—23. III—1940 წ., როდესაც შემრალი, თბილი ამინდის შემდეგ, კონტინენტურ არქტიკულ ჰაერის შემოჭრის შედეგად დასავლეთ-საქართველოს სანაპირო აღიონებში მოვიდა თოვლი და ტემპერატურა დაცემა ჯერ  $-1^{\circ}$ ,  $-2^{\circ}$ -მდე, შემდეგ კი ცის მოწმენდის დროს  $-4^{\circ}$ ,  $-6^{\circ}$ -მდე ( $\text{ქობულეთი}$ ). თოვლის საბურველის სიმაღლემ ბათუმის რაიონში 21 სმ მიაღწია (ნახ. 7).



ნახ. 7. სინოპტიკური რუკა. 22. III. 1940 წ. 7 ს.

დასავლეთიდან ცივი ჰაერის შემოჭრის ხანგრძლივობაც დიდი არ არის; უმთავრესად იგი მიმდინარეობს •გაზაფხულის მეორე ნახევარში (აპრილის ბოლო, მაისის), როს გამო ცივი ჰაერის შემოჭრის პროცესებთან დაკავშირებული ნალექები დასავლეთ საქართველოში მაღლ წყდება.

გაზაფხულზე აღმოსავლეთიდან ჰაერის შემოჭრის სიხშირე მნიშვნელოვნიდ მცირდება. გაზაფხულის დასაწყისში, როდესაც ციმბირის ანტიციკლონი ჯერ კიდევ საქმარისად არის განვითარებული, ცივი ჰაერის მასების შემოჭრა საქართველოში აღმოსავლეთიდან ხდება იმავე პირობებში, როგორც ზამთარში. შემდეგში, ციმბირის ანტიციკლონის დარღვევის პროცესის შედეგად, აღმოსავლეთიდან ცივი მასების შემოჭრა საქართველოში უმეტეს შემთხვევაში დაკავშირებულია არა აზისის ანტიციკლონის ტორზის გავრცელებასთან, არამედ ანტიციკლონის ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან გადანაცვლებასთან. ცივი ჰაერის აღმოსავლეთიდან შემოჭრის დროს ამინდის მდგომარეობა გაზაფხულის პირველ ნახევარში მცირდება ზამთრის პირობებისგან,

მხოლოდ შემოჭრის ინტენსივობა და ხანგრძლივობა აქ გაცილებით მცირება. გაზაფხულის ბოლოში აღმოსავლეთის ცივი ჰაერის შემოჭრა იშვიათი ხდება და აძინდიც ნაკლებად მერყევია.

გაზაფხულის სეზონისათვის დამახასიათებელ პროცესს წარმოადგენს საქართველოში ცივი ჰაერის მასების ორმხრივი და ერთდროული შემოჭრა. ამ პროცესებთან დაკავშირებულია უხევი, თავსხმა ნალექები აღმოსავლეთ საქართველოში, გაზაფხულის სეზონში ცივი ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა ხდება არა ისე, ორგორულ ზამთარში; უფრო ხშირად დასაქლეთიდან შემოდის საშხრეთ პოლარულ ფრონტთან დაკავშირებული ოკლუნის ფრონტი, აღმოსავლეთიდან კი შემოდის ცივი ფრონტი, ორმეტიც საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიის ანტიციკლონთან არის დაკავშირებული. აღმოსავლეთის ნაკადი ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ფრონტთან დაკავშირებული არ იყოს. თბილი ჰაერის მასების ინტენსიური აღმავლობის გამო იღმოსავლეთ საქართველოში წარმოაშვება მძლავრი კონვექტური ღრუბლიანობა და თავ-სხმა წვიმები ელჭექით. განსაკუთრებით უხევი ნალექი მოდის იმ რაიონებში, სადაც ორგორაფიული პირობები ხელს უწყობს ჰაერის მასების იძულებით აღმავლობას (თბილისის რაიონი, კახეთი, მთიანი რაიონები).

გაზაფხულის სეზონში, ისევე ორგორულ ზამთარში, პოლარული მასა გაბატონებულ მასას წარმოადგენს. გაზაფხულში შემოჭრილი ზღვის ან კონტინენტურ პოლარული ჰაერის მასები ცივ და არამდგრად მასებს წარმოადგენენ. მათ მიერ გამოწვეული ტემპერატურის დაწევა შეიძლება მნიშვნელოვანი იქნეს.

საქართველოს დაბლობ რაიონებში გაზაფხულის დაგვიანებული ყინვები ჩნდება არა პოლარულ ჰაერში, არამედ წარმოიშვებიან შილა-მასური რადიაციული გაცივებით, ორმეტაც აუცილებლად წინ უსწრებს არქტიკული ჰაერის აღვეჯუა (13). გაზაფხულის განმავლობაში არქტიკული ჰაერის მასების შემოჭრა სულ უფრო და უფრო იშვიათი ხდება, და მასში ასეთი შემოჭრების აღად შემთხვევები საქართველოს იშვიათ მოვლენებს წარმოადგენენ.

საქართველოს ტერიტორიიაზე გაერცელებული არამდგრადი პოლარული ან არქტიკული ჰაერის მასები სწრაფ სტაბილიზირებას იწყებენ. კონვექციის პროცესების საშუალებით სითბო ატმოსფეროს მაღალ ფენებს გადაეცემა, სტრიატიკიკაციის არამდგრადობა თანდათანობით მცირდება და იწყება არამდგრადი ჰაერის მასების ტრანსფორმირება კონტრენტურ ტროპიკულ ჰაერში: გაზაფხულის სეზონის დასაწყისში დაწყებული ტრანსფორმირების პროცესები საქართველოში ირლევა უმეტესად პოლარული ჰაერის მასების ახალ-ახალი შემოჭრების ზეგავლენით. საქართველოს ხანგრძლივად ტროპიკულ ჰაერში ყოფნას (საშუალოდ 4—6 დღე) იდგილი იქვეს უმთავრესად გაზაფხულის მეორე ნახევარში.

მაღალი ტემპერატურები, ორმეტიც გამოწვეულნი არიან ტროპიკული ჰაერის გაცილებით, მზის ინსოლაციის ზრდა გაზაფხულში და იგრეთვე ლრუბლიანობის შემცირება დასავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში, ხელს უწყობენ ზოგიერთ წლებში, ფინურ ამინდის დროს, აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურების წარმოშობას გაზაფხულის სეზონში.

დასავლეთ საქართველოს ზამთრის სეზონისათვის დამახასიათებელი ჰაერის სტრატიფიკაციის არამდგრადობა გაზაფხულზე მცირდება, რადგან უკვე გაზაფხულის მეორე ნახევრიდან ზღვის ზედაპირის ტემპერატურა ხმელეთის ტემპერატურაზე ნაკლები ხდება [14] (იხ. ტაბ. 3).

ტაბულა 3

წყლის ზედაპირის და ჰაერის საშუალო ტემპერატურების სწვაობა ამიერკავკასიის სანაპირო საფურცეების მონაცემების მიხდვით  
(წყლის ტემპერატურა—ჰაერის ტემპერატურა)

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
3,7	2,4	0,1	-1,0	-0,4	-0,2	0,4	1,5	3,1	3,1	4,4	4,2

შესაბამისად მცირდება აკრეთე ვერტიკალური ტემპერატურების გრადიენტები (იხ. ტაბულა 2). აღნიშვნელი გარემობა, გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოს რაიონებში თბილი ჰაერის მასების ოქლუდირების პროცესების ნაკლები სიხშირე, აკრეთე ზღვის სტაბილიზებული გავლენა, ხელს უწყობს იმას, რომ გაზაფხულზე დასავლეთ საქართველოს უმეტეს ნაწილში ნალექთა რაოდენობა სწრაფად კლებულობს და ნალექთა წლიური რაოდენობის მინიმუმი ტერიტორიის უმეტეს ნაწილში, დაბლობ და სანაპირო რაონებში მაისის თვეს ხვდება (წლიური რაოდენობის 4%-ის მდე). მაღლობ რაიონებში, რომელიც მოებში ინ კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე არიან მოთავსებული, და სადაც გაზაფხულზე კონვექტური პროცესები ძლიერდება, ნალექთა რაოდენობა ზამთრიდან გაზაფხულისაკენ ოცნავ მატულობს.

აღმოსავლეთ საქართველოში, პირიქით, ჰაერის სტრატიფიკაციის არამდგრადობა გაზაფხულზე თანდათანობით მატულობს და უდიდეს მნიშვნელობებს გაზაფხულის მეორე ნახევარში აღწევს, რაც დამოკიდებულია დაბლობ აღგილებში ზედაპირის გათბობის გადიდებაზე და ამავე დროს კავკასიონის მაღალ მთიან ზონაში თოვლის დნობის ინტენსივობაზე. აღმოსავლეთ საქართველოში, გაზაფხულის მეორე ნახევარში არმოსფეროს ნოტიო არამდგრადობა ხელს უწყობს კონვექტურ ლოჟბლიანობის განვითარებას, ელექტრის ინტენსივობას, რომელიც ხშირად სეტევის მოვლენებით ხასიათდება. გაზაფხულზე დაწყებული პოლარული ფრონტის საბერეთი ტოტის ჩრდილოეთისკენ გადანაცვლება და ამ ფრონტზე გაჩენილი ტალღური და ციკლონური მოქმედებანი წარმოადგენენ ერთ-ერთ მიზეზს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ნალექებს ადიდებს. ნალექთა წლიური მაქსიმუმი აქ მაისს ხვდება (წლიური რაოდენობის 15%-ის მდე).

ზაფხული არების ურთიერთი განწყობა ამიერკავკასიაში და მის მოსახლეობების ზაფხულის განმავლობაში მნიშვნელოვნად განსხვავდება ზამთრის მონაცემებისაგან. აღმოსავლეთ ეკორპასა და ციმბირში გავრცელებული მძლავრი ანტიციკლონის აღგილებზე ზაფხულის სეზონში იჩენს

თავს დაბალი წნევის არე, რომლის ცენტრალური ნაწილი მოთავსებულია საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ირანის ვაკე-მაღლობზე, არაბეთის სამხრეთ-აღმოსავლეთზე და ჩრდილო ინდოეთზე. მაღალი წნევის სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთისკენ გადანაცვლების გაში, ევროპის კონტინენტზე, დაახლოებით  $40^{\circ}$ — $50^{\circ}$  ჩრდილო სიგანედებში ზაფხულის განმივლობაში გამეფებულია მაღალი წნევის ზოლი, რომელიც იყავებს ხმელთაშუა ზღვის მთელ დასავლეთ ნახევარს, შევ ზღვასა და კაშირის ევროპული ნაწილის სამხრეთს (ნახ. 8).

ამიერკავკასიის რაიონებსა და მის მეზობელ რაიონებში ზაფხულობით ჰაერის მასები უმთავრესად ჩრდილო-დასავლეთიდან გადაინაცვლებიან, რის შედეგად საქართველოს უმეტეს რაიონებში დასავლეთი რუბებია ქარებია გაბატონებული.


ზაფხულში ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში და ციმბირში გავრცელებული მაღალი წნევის არის დაშლის გამო, ცივი ჰაერის მასების შემოჭრა საქართველოში აღმოსავლეთიდან თითქმის აღიარ ხდება [15] და თავს იჩენს მხოლოდ ზოგჯერ, უმეტესად სეზონის დასაწყისსა და ბოლოში. უკანასკნელი პროცესები დაკავშირებულია უმთავრესად ანტიციკლონების გაღმონაცვლებასთან პოლარულ ან ატლანტურ აუზებიდან. ზაფხულში აღმოსავლეთიდან ჰაერის შემოჭრის პროცესი სუსტად ვითარდება და საქართველო ხასიათდება ხოლმე უმეტესად მშრალი ამინდით. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში ამ პროცესის დრის წარმოშობიან ფენა და ფენა-გროვა სახეების ღრუბლები.

სუბტროპიკული ანტიციკლონის ჩრდილოეთით გადანაცვლებასთან ერთად პოლარული ფრონტის ზონაც ჩრდილოეთით გადაინაცვლება; მასთან დაკავშირებით ხმელთაშუა ზღვაზე ციკლონური მოქმედება თითქმის ისპობა, ცველგან თუ არა, მის დასავლეთ ნაწილში მაინც. ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებული დაბალი წნევის არეს, რომელიც არაბეთის თერმულ დეპრესიის ჩრდილო-დასავლეთ პერიფერიას წარმოადგენს, ჩეველებრივად დინამიკური მნიშვნელობა არა აქვს. შორს აზიაში გადანაცვლებულია აგრეთვე პოლარული ფრონტის აზის ტოტი.

კავკასიის რაიონის ატმოსფერულ პროცესებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენტება აზორის მოქმედების ცენტრს. ატლანტურ შხარედან გადმოსული ზღვის პოლარული ან არქტიკული ჰაერის მასები ევროპის კონტინენტზე გარდიქმნებიან კონტინენტურ პოლარულ ჰაერის მასებად და მასთან ხანგრძლივი დროის განმავლობაში დიდ სინოტივეს ინარჩუნებენ.


ზაფხულში აზორის ანტიციკლონიდან გამოყოფილი მაღალი წნევის ცენტრები შორს აღმოსავლეთით გადაინაცვლება. მათი გადანაცვლება პოლარულ ფრონტზე წარმოშობილი ციკლონების ზურგში აპირობებს კონტინენტურ პოლარულ (ყოფილი ზღვის) ჰაერის მასების შემოჭრას საქართველოში. შევ ზღვაზე გავლის დროს ეს მასები უფრო ხეტად ნოტივდებიან და საქართველოს ტერიტორიაზე შემოდიან როგორც ცივი, ნოტიო არამდგრადობის მნიშვნელოვანი ენერგიით და იწვევენ უმეტესად გროვა სახის ღრუბლიანობის

მომიგრებას. გამოყოფილი ნალექები უმთავრესად თავსხმა ხდისიათს ატარებენ. განსაკუთრებით დიდი რაოდენობის ნალექები გამოიყოფა იმ შემთხვევაში,



როდესაც სინკოტიური პირობები ხელს უშენობენ საქართველოში ზღვის ახალი პოლარული მასების შემოქრას. ჩვეულებრივად ასეთ პროცესს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სკანდინავიიდან საბჭოთა კავშირის ცენტრალურ რაიონე-

ბისკენ სწრაფად გადაინაცვლებს ციკლონი; ამასთანავე ზურგში მყოფი ზღვის პოლარული ჰაერის ნაკადი შეიძლება გავრცელდეს შორს სამხრეთ-აღმოსავლეთით და მიაღწიოს ზავი ზღვის და ამიერკავკასიის რაიონებს. დამახასიათებელ შემთხვევას აღგილო ქონდა 25—26 აგვისტოს 1936 წ., როდესაც ნალექთა დღე-ლამური რაოდენობა დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში ალაგ-ალაგ 200 მილიმეტრს აღემატებოდა (ბათუმი 207 მმ. ნახ. 9). აზორის ცენტრის ან მისი ტოტის აღმოსავლეთისკენ, შემდეგი გადანაცვლების



სურ. 9. სინოპტიკური რუკა 26. VIII. 1936 წ. 7 ს.

დროს, საქართველოში ჩეულებრივად მყირდება მცირედ გაზრდილი მაღალი წნევის არე მცირე ბარიული გრადიენტებით. ეს მცირედ გაზრდილი მაღალი წნევის არეები ხშირად დღის საათებში ირღვევა. ეს პროცესი ზაფხულის სეზონისათვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს, რადგანაც სწორედ ასეთი პროცესის დროს ხდება პოლარული ჰაერის ტროპიკულში ტრანსფორმირება. მთელ საქართველოში მყირდება მცირე ღრუბლიანი, მშრალი ამინდი, მთა-ხეობათა და ბრიზის ხასიათის ქარების მყაფიოდ გამოხატული მორიგეობით. ასეთი ხასიათის ამინდი, განსაკუთრებით ზაფხულის მეორე ნახევარში შეიძლება ხანგრძლივად დამყარდეს.


ამინდის მყარი ხასიათი შეიძლება დარჩეს ამ აღგილობრივი მაღალი წნევის არის შესუსტების შემდეგაც, როდესაც ყაზახეთშე ან შუა აზიაში გადანაცვლებული ანტიციკლონის დასავლეთ პერიფერიულ ნაწილში ხდება ტროპიკული ჰაერის მასშის სამხრეთიდან გავრცელება, რასაც თან ახლავს ცხელი, მშრალი ამინდის ხანგრძლივი პერიოდი. ასეთ მოვლენას ადგილი აქვს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც იძლევა ზოგჯერ მთელი თვის მნიშვნელოვან დადგებით ანომალიას.

ზაფხულის სეზონში ამინდის არამდგრადი ხასიათის ამინდისკენ გადასვლა, ნალექთა გამოყოფით და ტემპერატურების დაწევით ხდება მხოლოდ ცივი ფრინტის გავლის დროს, რომელიც დაკავშირებულია კავშირის ევროპულ ნაწილის უმეტეს ნაწილშე გავრცელებულ ციკლონურ არესთან.

ატმოსფერის პოლარულ მოქმედების ცენტრის შესუსტების შედევგად  
ზაფხულის სეზონში, ცივი ჰაერის მასების შემოსვლა ციკლონების ზერგვი  
გამოიხატება უმთავრესად მხოლოდ ზურგის ტურების გავლით და მათ მეო-  
ნებით შალალი წნევის არის გაზრდით ევროპის კონტინენტზე. ამიტომ ცივი  
მასების შემოჭრა ზაფხულში ჩვეულებრივად მცირე ხანგრძლიობისა და უფრო  
სუსტად არის გამოხატული. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში დაყარებული  
ავღრიანი ამინდ ხანგრძლივ ხასიათს ლებულობს. ამის ხელშემწყობი პირობები  
იქმნება მაშინ, როდესაც ცივი ფრინტი, ამიტრავეასიაზე გავლის შემდეგ, ლებუ-  
ლობს კვაზისტაციონარულ, თითქმის სიგანედის მიმართულების ამიტრავეასიის  
სამხრეთით. როდესაც საბჭოთა კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე მყარდება  
ანტიკიკლონური არე კონტინენტურ-პოლარულ ან ყოფილ არქტიკულ ჰაერის  
მისებში, ხელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ რაიონებში ან მესოპოტამიაზე კი  
დაბალი წნევის არე ტროპიკულ ჰაერში, მაშინ ამ მხარის ციკლონური ცირ-  
კულაციის გაძლიერების დროს ძლიერდება აგრეთვე ამიტრავეასიის სამხრეთ  
რაიონებისკენ მიმართული ტროპიკული ჰაერის ნაჯადებაც. ამიტრავეასიაზი  
სამხრეთიდან გავრცელებული ტროპიკული ჰაერის მასების მნიშვნელოვანი  
სიმშრალე, აგრეთვე წლის ამ დროის მცირე ტემპერატურული სხვაობანი, პო-  
ლარულ და ტროპიკულ ჰაერის მასებს შორის, ხელს უშლიან გრიგალური  
პროცესების განვითარებას და ამიტომ ამცერეკავეასიის სამხრეთით მოთავსებულ  
პოლარულ ფრინტზე უფრო ხშირად მხოლოდ ტალღური მოქმედება ვითარ-  
დება. ტალღურ აღრევითა წყების სამხრეთზე გადანაცელება წარმოშობს სა-  
ქართველოში მოლობულულ, წვიმიან ამინდს. მოწმენდილი ამინდი დგება ზოგჯერ  
მოკლე ხნით; ქარის მიმართულებები ხშირად იცვლება მოწინააღმდევე მიმართუ-  
ლებებზე, ამასთანავე მათი გაძლიერება არ აღინიშნება. ზოგჯერ, უფრო იშვიათ  
შემთხვევაში ტალღური აღრევა შეიძლება ციკლონურ აღრევათ განვითარდეს,  
და მისი თბილი სეტორი შეიძლება საქართველოს მოხვდეს. ტროპიკული  
ჰაერის ოკლუდირება ჩვეულებრივად ამიტრავეასიის ცენტრალურ რაიონებში  
ხდება. ნახ. 10 იძლევა აღნიშნული პროცესის დამაბასიათებელ სინოპტიკურ  
მდგომარეობას. ელექტრი აღნიშნული იყო მთელ საქართველოში, მხოლოდ  
უდიდეს განვითარებას აღმოსავლეთ საქართველოში აღწევდა. ნალექის  
უდიდესი რაოდენობა მოვიდა კახეთში (გურჯაანი 54 მმ).

ფრონტალურ პროცესების შესუსტებასთან ზაფხულის სეზონში და რაღაც  
ციული პროცესების მნიშვნელობის გადიდებასთან ერთად მიწის ზედაპირის  
თერმულ მოქმედებას უდიდესი მნიშვნელობა ეძღვა. როგორც მე-4 (16) ტა-  
ბულა გვიჩვენებს, საქართველოს სანაპირო რაიონებში ზაფხულობით მკეთრად  
მატულობს დღეთა რიცხვი ბრიზული ამინდით. შთახეობათა ცირკულაციაც  
ზაფხულობით ძლიერდება საქართველოში. ზაფხულობით დედამიწის ზედაპირი  
წარმოადგენს ატმოსფეროს ქვედა ფენების ინტენსიური გათბობის კერას. პრო-  
ცესის დასწყისში წარმოშობილი არამდგრადი სტრატიფიკაცია შემდეგში  
მცირდება, რაც გამოწვეულია სითბოს გადაცემით ატმოსფეროს მაღალ ფე-  
ნებში. ასეთი ამინდის მდგომარეობის დროს საქართველოში შემოსული პოლა-  
რული ან ყოფილი არქტიკული ჰაერის მასა ტრანსფორმირდება კონტინენტურ

ტროპიკულ ჰაერის მასაში. ზაფხულში, გაზაფხულთან განსხვავებით, ტრანსფორმირების პროცესები შეიძლება დაბოლოვდეს. რამდენიმედ უფრო ხშირად ტრანსფორმირება, ჩვეულებრივად ხდება აღმოსავლეთ საქართველოში და ნაწილობრივი კი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში, რომლებმაც ზღვის ბრინჯები ვერ აღწევენ.



ნახ. 10. სინოპტიკური რუკა. 24. VIII. 1939 წ. 7 ს.

საქართველოს მახვედრა კონტინენტურ ტროპიკულ ჰაერში ზაფხულის დასაწყისში ჩვეულებრივად ხდება თბილი ფრონტის გავლის დროს, ამასთანავე ზაფხულში ეს გავლა ჩვეულებისამებრ ნალექების გამოყოფით არ ხასიათდება და ილინიშნება უმთავრესად ფრთისებურ, მაღალ-გროვა ღრუბლებით.

ამინდის ბრინჯული ტიპების საშუალო დღეთა რიცხვი.

I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
5	4	11	7	13	17	20	18	17	14	11	9

მაგრამ ზაფხულის შემდეგ პერიოდის განმავლობაში საქართველო იფარება ტროპიკული ჰაერით, რომელიც უმთავრესად პოლარულ ჰაერის მასების ტრანსფორმირების შედეგად წარმოიშვება. პოლარულ ჰაერის ტროპიკულში გადასვლის პროცესები მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხასიათდება ელექტრის პროცესების განვითარებით და ნალექების გამოყოფით.

ზაფხულის თვეების განმავლობაში საქართველოში დღეთა რიცხვი ტროპიკული და პოლარული ჰაერის მასებით, რომელიც ტრანსფორმირების სტადიაში იმყოფებიან, თანდათანობით მატულობს და იელისში და აგვისტოში, ზოგიერთი წლის განმავლობაში, ასეთი დღეების რიცხვი სჭარბობს დღეების რიცხვს პოლარული ჰაერით.



საქართველოს ყოფნა კონტინენტურ ტროპიკულ ჰაერში ხასიათდება მდგრადი ამინდით, მოწმენდილი ცის სიკარბით, ტიპიური მოთეთრო ელფერით და მაღალი ტემპერატურებით. ტემპერატურის წლიური მაქსიმუმები აღინიშნება ჩვეულებრივად კონტინენტურ ტროპიკულ ჰაერში. კონტინენტური ტროპიკული ჰაერის ძლიერი დამტკერანების გამო, მისი ხილვადობა საგრძნობლად შემცირებულია. ზაფხულის კონტინენტური ტროპიკული ჰაერი სა-გართველოში ორთქლით დარიბია, რის გამო კონვექტური ღრუბლები მასში იშვიათად გითარდებიან და მნიშვნელოვან ნალექებს არ იძლევა.

შედარებით ნოტიო ჰაერის მასების აღვენეციის შემთხვევის მეტი სიხშირე ჰქმნის დასავლეთ საქართველოში, ზაფხულის სეზონის განმავლობაში, გამოყოფილ ნალექების რაოდენობის სწრაფ ზრდას. ზოგიერთ, ცალკე რაიონში ნალექთა მაქსიმუმი წლიურ მსვლელობაში ჩაფხულში აღინიშნება (ფოთი წლიურ რაოდენობის 30% ზე მეტი), სინოტივის მნიშვნელობაც ზაფხულში იზრდება. იღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერის მასები შემოდიან შემცირებული სინოტივით და სადაც ზაფხულში მშრალი აღიაბატური პროცესები სკარბობს, ნალექების მეორადი მინიმუმიც აღინიშნება; მინიმუმი არის აქ ღრუბლიანობის წლიურ მსვლელობაშიც და სინოტივის მნიშვნელობებიც შეცირებულია.


შემოდგომის დასაწყისშივე, ზაფხულის სეზონისათვის დამახასიათებელი სუსტი ზონალური ცირკულაცია ირლევა და აღდგენას იწყებენ ის ცირკულაციური პროცესები, რომელიც გაზაფხულის განმავლობაში შეწყდნენ.

მაგრამ საქართველოს სიგანედებზე შემოდგომის დასაწყისში ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა აქვს რადიაციულ პროცესებს; მნიშვნელოვანია აგრეთვა ატმოსფეროს ზაფხულის მდგომარეობის ინერცია, ამიტომ შემოდგომის პირველი ნახევარი საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში, განიჩრჩევა წყნარი მდგრადი ამინდის სკარბით, რისთვისაც შემოდგომა სა-კართველოს საუკეთესო სეზონად ითვლება.

მიუხედავად იმისა, რომ ციმბირის ანტიციკლონის ფორმირება იწყება უკვე სექტემბრის თვიდან, მისი გავლენა ატმოსფერულ პროცესებზე საქართველოში იწყებს შესამჩნევად გაძლიერების მხოლოდ ოქტომბრის მეორე ნახევრიდან. ამიტომ აღმოსავლეთიდან შემოქრების პროცესები, რომელთა სიხშირე თანდათანობით მატულობს შემოდგომის განმავლობაში, დამოკიდებულია უმთავრესად ანტიციკლონების გადანაცელებაზე პოლარულ აუზიდან (უმთავრესად ნორდკაპის ღერძით).

დიდ გავლენას ახდენს საქართველოს ამინდის პირობებზე შემოდგომით დაწყებული ციკლონური მოქმედების გაძლიერება ხმელთაშუა ზღვისზე, სადაც ოქტომბერში ადგილი აქვს მცირიდ გამოხატული ჰაერის ნაკადების კონვერგენციის ზონებს. შავ ზღვაზე და ამიტკავკასიაში შემოსული ხმელთაშუა ზღვის ციკლონურ აღრევითა რიცხვი სექტემბერში ჯერ კიდევ ცირკები. შემოდგომის შემდეგ თევებში, მეტადრე ზამთრის წინა პერიოდში, მათი რიცხვი მატულობს და ნოემბრის ნახევარში უკვე ზამთრის მნიშვნელობებს უახლოედება-

შემოდგომაზე ძლიერდება ისლანდიის მოქმედების ცენტრის ზეგავლენა. ევროპის კონტინენტზე მოძრავი ციკლონური სისტემების ტრაექტორიები სამხრეთით იწევიან, რის შედეგად სამხრეთის სიგანედებზე მოთავსებული დეპრესიები ამ სისტემაში შეიზიდება. ამ პროცესით უფრო ხშირად სწყდება შემოდგომის მშრალი, მცირებულობრივიანი და წყარი ამინდი საქართველოში (რომელიც აველაზე ხანგრძლივია მის აღმოსავლეთ რაიონებში). კავშირის ევროპულ ტერიტორიაზე განვითარებული ვრცელი ციკლონური არის დასავლეთ პერიოდერიაზე ჩნდება პოლარული ან არქტიკული (ხშირად ზღვის) ჰასების ჩრდილოეთი ნაკიდი, რომელიც შორს სამხრეთში ვრცელდება და საქართველოში დასავლეთის ცივი ჰაერის შემოჭრებს წარმოშობს. დასავლეთ საქართველოს ოროგრაფიული პირობები, სახელდობრ, ქედების თთქმის პერპენდიკულარული მიმართულება დასავლეთ ნაკიდის მიმართ, აღლიერებენ ნალექების გამოყოფას, და ამიტომ ამ პროცესის დროს აღინიშნება თავსხმა ნალექები, ხშირად ხანმოკლე, მაგრამ მნიშვნელოვანი ინტენსივობის მქონე. ზავ ზღვაზე აღინიშნებიან შტორმები. აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ჰაერის მასები შემდინარ ირთელით გაღარიბებული, ნალექების რაოდენობა უფრო მცირება და გარდამავალ ბასიათს ატარებს; განვითარებული ძლიერი დასავლეთის ქარები დაზღვობ რაიონებში ზოგჯერ ფიონის ხასიათს ატარებენ (ნაბ. 11).



ნაბ. 11. სინოპტიკური რუკა. 19. XI. 1938. ფ. 7 ს.

შემოდგომის სეზონში მევეთრად მცირდება აზორის ცენტრის ატმოსფეროს მოქმედება საქართველოს ამინდის პირობებზე, ხშირი ხდება ჩრდილოეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან კონტინენტურ პოლარულ ან არქტიკულ ჰაერის მასებში განვითარებული ანტიციკლონების გადანაცვლება. ჩვეულებრივად მათთან დაკავშირებული დასავლეთიდან შემოჭრების პროცესები, რომლებსაც შემოდგომით დიდი სიხშირე ახსიათებთ, იძლევიან დასავლეთ საქართველოში მნიშვნელოვან ნალექებს, რაც ზოგჯერ დღე-ღამის განმავლობაში დიდ რაო-




დენობას აღწევს (100—200 მმ და ზოგჯერ შეტაც). დაწყებული სექტემბრიდან, საბჭოთა კავშირის ეკროპულ ტერიტორიის ზედაპირის უმეტესი ნაწილი ჰაერის მასების გათბობას აღიარ იხდენ და მიტომ მასზე გადაინაცვლებული არქტიკული ჰაერის მასები შეტაც ინარჩუნებენ თავის თვისებებს, მაგრამ შემოდგომის უმეტესი ნაწილის განმავლობაში არქტიკული ცენტრები ჩვეულებრივად ამიერკავკასიის ჩრდილოეთი გადიან, მათი ტოტებიც, სამხრეთისკენ მიმართული, იშვიათად ლებულობენ ძლიერ განვითარებას და არქტიკული ჰაერის ახალი მასების შემოქრის საქართველოში იწყება მხოლოდ ნოემბრის მეორე ნახევრიდან. ამ შემოქრისთან არის დაკავშირებული შემოდგომის პირველი ყინვები და პირველი თოვლი საქართველოს დაბლობ რიონებში.

შემოდგომის დასაწყისიდან საქართველო უფრო ხშირად პოლარულ ჰაერის მასებში იმყოფება. მაგრამ ზოგიერთ წლებში შემოდგომაზე აღმოსავლეთ საქართველოსთვის გაბატონებული ჰაერის მასად შეიძლება ტროპიკული ჰაერის მასა იქნეს. პოლარული ჰაერის მასების კონტინენტურ ტროპიკულ ჰაერის მასებად ტრანსფორმირების პროცესი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ზაფხულის თვეებში, შემოდგომაზე სუსტება და შემოდგომის მეორე ნახევარში თითქმის არ არსებობს. საქართველო ტროპიკულ ჰაერში ხვდება მხოლოდ პოლარული ციკლონების თბილი ფრონტების გავლის დროს.

დასავლეთ საქართველოში შემოდგომით ნალექთა დიდი რაოდენობით გამოყოფა განისაზღვრება ერთის მხრივ პოლარულ აუზებიდან გადმონაცვლებული ანტიციკლონური ცენტრების მოქმედებით და მეორე მხრით ცივი ჰაერის მასების შემოქრით ციკლონების ზურგში, რომელნიც მიიმართებიან, კონტინენტის სამხრეთით გადაწყვეტილი ტრაქექტორიების გასწვრივ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში, შემოდგომის თვეებში, დღეთა რიცხვი ნალექებით მცირება, ღრუბლიანობის მნიშვნელობებიც მნიშვნელურია, მაინც ნალექთა წლიური მსვლელობის მიხედვით ნალექთა მაქსიმუმი უმეტეს რაიონებისთვის აღნიშნულია შემოდგომაზე (წლიური რაოდენობის 30—35 % -მდე). აღმოსავლეთ საქართველოში სექტემბერში აღნიშნება ნალექთა რაოდენობის მეორე მცირებული, როს შემდეგ ნალექთა რაოდენობა თანდათანობით მცირდება ზამთრისაკენ. ნალექების გამოყოფა აქ დამოკიდებულია შემოდგომის განმავლობაში გაბატონებული შიგნითმასური ამინდის დიდ სხეშირებები და აგრეთვე ანტიციკლონური იმინდის დღეების მნიშვნელოვან რაოდენობაზე. სექტემბრის მეორე მცირე მაქსიმუმი უმთავრესად დაკავშირებულია პოლარული ფრონტის სამხრეთის გადანაცვლებასთან.

ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესების მთავარი ტიპების სეზონური ხასიათი, მათი განვითარება საქართველოში და მათი გავლენა საქართველოს ამინდის პირობებშე მოყვანილია ქვევით მოთავსებულ თვალსაჩინო გრაფიკზე.


კიმბირის ანტიციკლონი საქართველოს ამინდზე გავლენას აჩვენს ოქტომბერიდან მარტამდე, ამასთანავე შემოდგომიდან ასეთ ზეგავლენათ სიხშირე მცველობად იზრდება დეკემბერში და მაქსიმუმსაც აღწევს, მაღალ დონეზე იანვარსა და თებერვალში, ხოლო მარტში მცველობად მცირდება (გრაფიკი 1).




გრ. 1




გრ. 4




გრ. 2



გრ. 5



გრ. 3



გრ. 6



აგრეთვე კარგადაა გამოხატული საქართველოში ანტიციკლონურ შდა-მარეობათა გამოყრების წლიური სელა, მინიმუმით მარტიდან აგვისტომდე და მაქსიმუმით იანვარში (გრაფიკი 2).

აზორის ანტიციკლონი საქართველოს ამინდზე მოქმედობს მთელი წლის განმავლობაში, ოლონდ მოქმედებათა უდიდესი სისხირე მკაფიოდ აღნიშნება წლის თბილი დროის განმავლობაში, მაქსიმუმით ივლისში (გრაფიკი 3).

პოლარულ ზედმოქმედებას საქართველოს ამინდზე მთელი წლის განმავლობაში აქვს იდგილი, ოლონდ აქაც ჩანს სეზონური სელა მინ მუმით ზაფხულის თვეებში და სუსტი მაქსიმუმით შემოდგომის სეზონში (გრაფიკი 4).

ძალიან კარგადაა გამოხატული ხელთაშუა ზღვის მოქმედებათა სეზონური ხასიათი, მკერთრი მაქსიმუმით ზამთრის სეზონში (თებერვალში), სწრაფი ზემცირებით აპრილიდან ივნისამდე და სუსტი ზრდით აგვისტოდან ნოემბრამდე (გრაფიკი 5).

მე-6 გრაფიკზე გამოხატულია ამიერკავკასიის სამხრეთი მოქმედი ტალღურ აღრევათა ზემოქმედება საქართველოს ამინდზე, საქმარისად კარგად გამოხატულია მოქმედებათა სიხშირის ზრდა მაისიდან სექტემბრის თვეებდე.

#### დამზადული ლიტერატურა

1. И. Г. Ступин. Характеристики сумм прямой солнечной радиации субтропической зоны СССР и ее мировые аналоги. Материалы по агроклиматическому районированию субтропиков СССР. Вып. II, 1938.
2. Д. Л. Порхидзе. Ветер над Закавказьем. Рукопись.
3. L. Weickmann. Zum Klima der Türkei. Bd. I. Bayerische Landerwetterwarte München 1922.
4. Е. А. Напетваридзе. Влияние южных циклонов на погоду в Грузии. Рукопись, 1940.
5. G. Wagner. Luftzirkulation und Niederschlagsverhältnisse in Vorderasien. Gerlands Beiträge zur Geophysik Bd. 45, Heft 4, Leipzig, 1935.
6. К. И. Папинашвили и Е. А. Напетваридзе. Районирование Грузии по синоптическим процессам. Рукопись, 1939.
7. А. Г. Балабуев. Основные черты климата Джавахетии.
8. Е. А. Напетваридзе и К. И. Папинашвили. Синоптическая характеристика центральной части Главного Кавказского хребта. Метеорология и Гидрология, № 10-11, 1939.
9. И. Ф. Кварацхелия. Температура воздуха над Тбилиси. Рукопись, 1941.
10. М. О. Кордзахия и Б. Н. Биршерт. Климат Западной Грузии. Рукопись, 1935.
11. К. И. Папинашвили и Е. А. Напетваридзе. Синоптические условия переходов от одного сезона к другому в условиях Грузии. Рукопись, 1940.
12. К. И. Папинашвили и Е. А. Напетваридзе. Весенние похолодания в Грузии. Рукопись, 1940.
13. Д. Старов. Черное море. Гидрологический справочник морей СССР. Том IV, 1937.
14. В. М. Гигинишвили, Е. А. Напетваридзе и К. И. Папинашвили. Основные типы синоптических процессов в Закавказье и погода в Грузии. Рукопись, 1944.
15. Э. С. Лир. Типы сезонных циркуляций атмосферы над Евразией и Атлантикой. Метеорология и Гидрология №№-1, 3, 4, 5, 6, 7, 1936.
16. Л. В. Клименко. Типы погоды Черного моря. Гидрографическое Управление ВМФ СССР. Ленинград, 1940.

8. პორჩახია

მისითადი მთვარის გეოგრაფიული კლიმატური  
რეზილი საჭართველოში

ატმოსფეროს ძირითადი პროცესები და მათთან დაკავშირებოლი ამინ-  
დიანობის საერთო ხასიათი საქართველოში სეზონების მიხედვით გაშექებულია  
ე. ნაცერების სტატიაში. ამ წერილში ჩვენ შევეცდებით განვიხილოთ  
მოქლედ მთავარი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი საქარ-  
თველოში ატმოსფეროს ძირითად პროცესებთან და აღვილობრივ ფიზიკურ-  
გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით.

ჰაერის ტემპერატურა

უძრავი ატმოსფეროს და დედამიწის ერთვაროვან ზედაპირზე ხმელე-  
თის თანაბრად განაწილების პირობებში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერა-  
ტურა საქართველოს სიგანედებზე, ა. მილანჯვიჩის [1] თეორიულად გამოთვ-  
ლილ სოლარულ ტემპერატურების მიხედვით, იქნებოდა  $10^{\circ}, 5$  და  $12^{\circ}, 5$  ფარგ-  
ლებში. სინამდვილეში საქართველოში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერა-  
ტურა ზღვის დონეზე მერყეობს  $-13^{\circ}$ -დან  $15^{\circ}$ -მდე, ე. ი. საშუალოდ  $2^{\circ}, 5$ -ით  
მეტია, ვადრე იქნებოდა უმოძრაო ატმოსფეროს პირობებში.

მაშასადამე, ჰაერის მასების მოძრაობით გარედან შემოტანილი სითბოს  
რაოდენობა საგრძნობლად მეტია, ვიდრე აქედან გატანილი (თუმცა სინოპტი-  
კურ რუკებიდან ეს არ ჩანს).

იმავე მიღანკვიჩის გამოთვლით სხივური ენერგიის თანასწორობის (ინ-  
სოლაციისა და გამოსხიური ენერგიის თანასწორობის) ზონა გადის  $41^{\circ}$ -სიგანედ-  
ზე, ე. ი. საქართველოს ტერიტორიას იგი თითქმის შუაბეჭირის, რის გამო ჰაერის  
მასების გადანაცვლებით შემოტანა-ლ და გატანილ სითბოს რაოდენობა აქ უნდა  
იყოს თანაბარი; ყოველ შემთხვევაში შემოტანილი სითბო იმდენად არ უნდა  
ჰარბობდეს გატანილს, რომ ჰაერის წლიური ტემპერატურა ასწიოს  $2^{\circ}-3^{\circ}$ -ით.

ამის ერთ-ერთი მიზეზი უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველო  
ჩრდილოეთიდან დაცულია ცივი ჰაერის შემოწრისაგან, სამხრეთიდან კი გაშ-  
ლილია თბილი ჰაერისათვეს.

კავკასიონი აბრკოლებს ჩრდილოეთიდან ცივი ჰაერის მასების ამიგრაცი-  
კასიაში შემოჭრას, ეს მასები იძულებულნი არიან შემოუარონ კავკასიონს და ჩვეუ-  
ლებრივ იჭრებიან საქართველოში დასავლეთიდან ან აღმოსავეთიდან. ორივე  
შემთხვევაში, განსაკუთრებით კი პირველში, ისინი გზაზე ზღვის თბილ ზედა-  
პირზე გავლის დროს რამდენადმე თბებიან და ისე იჭრებიან საქართველოს  
ტერიტორიაზე. ჩრდილოეთის ჰაერის მასის ის ნაწილი კი, რომელიც კავკა-

\* ) სტატია აწყობილი იყო, როდესაც გამოქვეყნდა წიგნი: ბერლანდ, Т. Г. Радиацион-  
ный и тепловой баланс ЕТС. Труды ГГО, вып. 10., 1948.



სიონის უდელტეხილებით გადმოდის საქართველოში, უდელტეხილიდან ქვევით დაშვების დროს აღიაბატურად თბება. არის ისეთი სინოპტიკური სიტუაციაც, როდესაც პოლარულ აუზიდან დაშვებული ცივი ჰაერის მასა, კავკასიონის გავლენით, სამხრეთ რესენის ტერიტორიაზე მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, წარიმართება კასპიის იქითა მხარისაკენ, და ამნაირად სრულიად სკილ-დება ამიერკავკასიას. ამ გარემოების და ნაწილობრივ შავი ზოვის ზამთრობით შედარებით მაღალი ტემპერატურის (შავი ზლვის ზედაპირის ტემპერატურა ზამთარში საქართველოს სანაპიროებზე უდრის  $8-9^{\circ}$ ) უშუალო გავლენის შედეგად ჰაერის ტემპერატურა საქართველოში ზამთრობით უფრო თბილია და მდგრადი, ვიზუალურად განვითარებული იყო აღილის გეოგრაფიული სიგანედის და სიგრძედის მიხედვით.

ასე მაგალითად, ზამთრის თვეებში საშუალო დღელამური და საშუალო მინიმალური ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოში (და მით უფრო დასავლეთში)  $2-4^{\circ}$ -ით უფრო მაღალია, ვიდრე ჩრდილო კავკასიაში ზლვის დანიდან იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილებზე. ასეთი დიდი სხვაობა კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე აღგილების ტემპერატურებს შორის არ შეიძლება აიხსნას მათი განედების შედარებით უმნიშვნელო სხვაობით ( $1^{\circ}-1^{\circ},5$ ).

შავი ზლვის სანაპირო საქართველოს საზღვრებში ზამთარში საშუალო  $5^{\circ}$  უფრო თბილია, ვიდრე  $12^{\circ}$  (საგრძელის) უფრო დასავლეთით და თითქმის იმავე სიგანედზე მდებარე ბულგარეთის სანაპირო. მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ამ შემთხვევაში არა მარტო ბულგარეთის სანაპიროს გაშლილობას ჩრდილოეთიდან, არმედ შავ ზლვაზე წლის ამ სეზონში გაბატონებულ ციკლონურ ცირკულაციას, რომელიც დასავლეთ საქართველოს სანაპიროზე ქმნის თბილ დინებას (სამხრეთ დასავლეთიდან), ხოლო ბულგარეთის სანაპიროზე—ცივ დინებას ჩრდილო-აღმოსავლეთიდან.

თბილი ზლვის სიახლოეს, კავკასიონის მიერ ჩრდილოეთის ცივი ჰაერის მასებიდან დაფარვა და ფინური ქარების სიხშირე იმდენად აღიღებენ ზამთრის თვეების ტემპერატურას დასავლეთ საქართველოში, რომ ტემპერატურული რეგიმი ზამთარში აქ თითქმის ისეთივე, როგორც ხმელთაშუა ზლვის სანაპიროების დასავლეთ და შუა ნაწილში.

მაგალითისათვის მოგვავს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში მდებარე ქ. ქუთაისისა და საბერძნეთის ქ. იანინის ( $\varphi=39^{\circ} 8'$ ) მონაცემები (იხ. ცხრილი 1).

შუა იტალია, რივიერა და შუა ესპანეთი ზამთრის ტემპერატურებით ემსგავება დასავლეთ საქართველოს, მხოლოდ იმ განსხვევებებით, რომ მინიმალური ტემპერატურა აქ უფრო დაბალია, რადგანაც არქტიკული ჰაერის დასავლეთიდან შემოჭრამ შეიძლება ჰაერის ტემპერატურა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მეტ ნაწილზე დასწიოს  $-12^{\circ}-15^{\circ}$ -მდე, ხოლო სანაპიროებზედაც  $-8^{\circ}-10^{\circ}$ -მდე, რასაც ხმელთაშუა ზლვის სანაპიროებზე აღგილი არა იქნას. მაგრამ ასეთი შემთხვევა მეტად იშვიათია ( $30-40$  წელში საშუალოდ ერთხელ) და ამიტომ საშუალო ოციურ ტემპერატურებზე მათი გავლენა თითქმის არ ემჩნევა-

ტაბ. 1

საფეხური საფეხური	საშუალო ავგიტესოს სა- შუალო ტემ- პერატურა	იანვრის საშ. ტემპერატუ- რა	რის მაქსი- მუმი	ტემპერატუ- რის მინიმუმი
ქუთაისი	14,°5	23,°6	4,°5	39,°
იანინი	14,°5	24,°0	5,°0	36°
				-10,°
				-8°

თუ ტემპერატურული რეჟიმის მდგრადობის მაჩვენებლად მიღიღებთ საშუალო თეიური ტემპერატურების მრავალწლიურ საშუალოებიდან საშუალო განხრებს, მაშინ ტემპერატურული რეჟიმი საქართველოში უნდა ჩავთვალოთ საქმიანობ მდგრადად.

ქვევით მოგვყავს საქართველოს რამდენიმე სადგურისათვის ჰაერის ტემპერატურის საშუალო მერყეობა (იხ. ცხრილი 2).

მაგრამ, ზოგიერთ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანი ხშირად იჭრება მძლავრი არქტიკული ჰაერის მასა; არის აგრეთვე ისეთი წლები, როდესაც საქართველოს ტერიტორია ხანგრძლივი დროს განმავლობაში მოცულია ტროპიკული ჰაერის მასით, ამიტომ საშუალო თვიური ტემპერატურების განხრა შეიძლება მნიშვნელოვნად აღემატოს ზემომოყვანილ საშუალო განხრებს. საშუალო თეიური ტემპერატურის უკიდურესი განხრები საშუალო მრავალწლიურიდან აღწევენ  $\pm 4,^{\circ}$  ± 6°-მდე.

მაგრამ საშუალო თეიური ტემპერატურების მრავალწლიურ საშუალოდან ასეთი განხრების გამომწვევე სინოპტიკურ სიტუაციას აღგილი აქვს საქართველოში განსაკუთრებულ წლებში და ასეთი შემთხვევა იმდენად იშვიათი მოვლენაა, რომ საშუალო მერყეობის სიდიდეს თითქმის შეუმჩნევლად აღიდებს.

ასე მაგალითად, ფოთში 50 წლის განმავლობაში ზამთარში დადგებით გადახრას  $+6^{\circ}$ -ზე მეტს აღვილი ჰქონდა ერთხელ, გადახრას  $+3^{\circ}$ -ზე მეტს მხოლოდ 2-ჯერ; უარყოფითი გადახრა 3°-ზე მეტი ამ პერიოდის განმავლობაში შემჩნეულია 9-ჯერ.

ცნობილია, რომ აღვილის ზღვის ნაპირიდან დაშორების, ატმოსფეროს ცირკულაციური პირობების ხასიათის, ნიადაგის თვისებებისა და რელიეფის გავლენა ჰაერის ტემპერატურაზე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება ერთ დონეზე (ხშირად ზღვის ზედაპირზე) დაყვანილი იზოთერმების განხილვიდან, რადგანაც ამ შემთხვევაში აღვილის სიმაღლის გავლენა გამორიცხულია.

საქართველოს პირობებში თუმცა ყოველგვარი იზოხაზები, და მით უფრო იზოთერმები, სქემატური და პირობითია, მაგრამ საერთო სურათს და ზოგად კანონზომიერებას მაინც გამოავლინებენ.

ტაბ. 2

საშუალო თვეური ტემპისა ტურბინის საშუალო განვითარების, ყოფილწლიური საშუალოსაგან

სადგურები	თვეები											
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
სოჭები . . . . .	± 1,6	± 1,8	± 1,0,5	± 1,0,0	± 1,1	± 1,0,1	± 1,0,6	± 1,0,3	± 1,0,4	± 1,0,2	± 1,0,4	± 1,4
საქართველო . . . . .	1,8	1,9	1,4	1,3	1,3	1,2	0,6	1,1	1,6	1,2	1,5	1,4
წილი . . . . .	1,8	1,8	1,6	1,2	1,3	1,1	0,7	1,1	1,6	1,2	1,2	1,4
გორი . . . . .	1,8	2,0	1,3	1,1	1,0	1,1	0,8	0,9	1,4	1,4	1,5	1,4
აბასურეთანი . . . . .	1,9	1,6	1,5	1,1	1,0	0,9	0,8	0,8	1,2	1,2	1,4	1,4
თბილისი . . . . .	1,4	1,6	4,1	1,2	1,0	0,8	0,9	1,3	1,2	1,5	1,5	1,4


განვითარებით ამ თვეალსაზრისით მოკლედ უცივესი თვეის იანვრის და უგბილესი თვეის ივლისის ზღვის დონეზე დაყვანილი იზოთერმები (ნახ. 1,2).

იანვრის იზოთერმიდან ჩანს, რომ საქართველოში ყველაზე უფრო თბილი ზამთარია ზღვის სანაპიროებზე. ზღვიდან დაშორებით დასავლეთ საქართველოში ჰაერის ტემპერატურა თანდათან თითქმის განუშავებულივ მცირდება: რელიეფის ფორმა თვეალსაჩინო გავლენას ახდენს აქ მხოლოდ მინიმალურ ტემპერატურების განაწილებაზე. თვეალსაჩინო გამონაკლის წარმოადგენს შაორის ამოქვებული, სიღაც რელიეფის ფორმა ხელს უწყობს გამოსხივების გაძლიერებას და თერმული ინვერსიების განვითარებას, რის გამო ზამთრის თვეებში აქ საშუალო ტემპერატურა და აბსოლუტური მინიმუმიც ძლიერ დაბალია.


აღმოსვლეთ საქართველოში, ზამთრის თვეებში ატმოსფეროს ანტიკიპლონურ მდგომარეობის გაბატონების გამო, უფრო ძლიერაა განვითარებული რადიაციული გადაცივების პროცესები და თერმიული ინვერსიები; ამიტომ ყველაზე დაბალ ტემპერატურას აღილი აქვს ჯავახეთის ზეგანზე; შედარებით დაბალია იგი აგრეთვე შიდაქართლის ვაკეზე და მდინარე მტკვრის ხეობის ქვემო ნაწილში. ამავე დროს მათ გარშემო მდებარე მთების (თრიალეთის ქედი, კავკასიონის ცენტრალური ნაწილი და ცივგომბორის თხემი) კალთები უფრო თბილია.

ზაფხულის პერიოდში იზოთერმების განლაგება იძლევა ზამთრის სეზონის საწინააღმდეგო სურათს (ნახ. 2).

ივლისში შედარებით დაბალ საშუალო ტემპერატურას აღილი აქვს შავი ზღვის სანაპირო რაიონებში. ზღვიდან აღმოსავლეთისაკენ დაშორებით ტემპე-



სურ. 1



Եպի. 2

რატეურა იზრდება და უმაღლეს სიდიდეს აღწევს ჯავახეთის ზეგანშე და მტკვრის შეა და ქვემო წელში, რადგანაც იქ რელიეფის ფორმა და მცენარეთა სამსელის სილარიბზე ხელ უწყობდნ ნიადაგის ზედაპირის და მიმდებარე პარტიის ძლიერ გათბობას და ამრიგად აქტარებენ პოლარულ პარტიის მასების ტროპიკულად. ტრანსფორმირების პროცესს.

რამდენადმე მაღალი საშუალო ტემპერატურა, მოსახლეობრე რაიონებთან შედარებით, ახასიათებს აგრეთვე რიონის შეა წელის აუზს, მაშინ, როდესაც გარშემო მდებარე ტყის მდირარი მცენარეულობით დაფურული მთის ფერდობები ხასიათდება უფრო დაბალი ტემპერატურით, ვიდრე ზღვის სანაპირო ზღლი.

ჩვენ ზოგადად განვიხილეთ იანვრისა და ივლისის საშუალო ტემპერატურის განაწილება საქართველოს ტერიტორიაზე ერთსაღამისე პირობით დონეზე. ახლა რამდენიმედ უფრო დაწვრილებით შევჩინდეთ რეალურ ტემპერატურის განაწილებაზე. ამისათვის განვიხილოთ დედამიწის ზედაპირზე მიღებული ტემპერატურების ისევ იანვრისა და ივლისის იზოხაზები (იხილე რუკა 3 და 4). ეს რუკები შედგენილია ძირითადად პროფ. ბალაბუევის მიერ. ჩვენ მიერ შეტანილია მხოლოდ უმინშვნელო შესწორებები და დამატებანი ახალი მონაცემების მიხედვით. ცხადია, საქართველოს ძლიერ დასერილი რელიეფის პირობებში დედამიწის ზე დაპირის იზოხერმების გატარება სასურველი სიზუსტით შეუძლებელია, მაგრამ ეს რუკები საქმიანობით მაინც გვიჩვენებენ პარტიის ტემპერატურის რეალურ განაწილებას საქართველოს ტერიტორიაზე.

როგორც მე-3 რუკებან ჩანს, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის მეტ ნაწილზე უცილესი თვის იანვრის საშუალო ტემპერატურა  $0^{\circ}$ -ზე მაღალია; მხოლოდ ზღვის დონიდან 600—700 მეტრის სიმაღლეზე იანვრის საშუალო ტემპერატურა ხდება უარყოფითი.

უთბისლესი ზამთარი იცის საქართველოში ბათუმის სანაპიროებზე; აქ იანვრის საშუალო ტემპერატურა უდრის დასხლოებით  $+6^{\circ}$  და პარტიის აბსოლუტური მინიმუმი არ ეცემა —  $8^{\circ}$ -ზე დაბლა. თბილია აგრეთვე ახალი იონნი და გაგრა, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა  $+6^{\circ}$ -ზე რამდენიმედ მაღალია. ამ რაიონებში მთის ქედები ძლიერ უახლოვდებიან ზღვის ნაპირებს, რის გამო სანაპირო ზონა განუწყვეტლივ განიცდის თბილი ზღვის უშუალო გავლენას, ხოლო აღმოსავლეთიდან კონტინენტის გამაცივებელი გავლენა აქ ძლიერ შესუსტებულია.

აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც შავი ზღვის გავლენა შემცირებულია, ციმბირის ანტიკიკლონის გავლენა საქმიანობით გარები მეტად სუსტად არიან განვითარებული, იანვრის საშუალო ტემპერატურა  $1^{\circ}$ — $2^{\circ}$ -ით უფრო დაბალია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში იმავე სიმაღლის აღგილებში.


ნულოვანი იზოთერმა აღმოსავლეთ საქართველოში გადის საშუალოდ 450 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან.

ზამთარში აქ, ან უიციკლონური შდგომარეობის გაბატონების გამო, გაძლიერებულია რადიაციული გადაცივების პროცესები და ხშირია თერმული ინვერსიები. ამიტომ რელიეფის ფორმა აქ საშუალო თვიურ ტემპერატურაზე-დაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ხშირი ინვერსიების შედეგად იანვრის

საქართველოს სახ

ნაკრები 1:250000

250000  
1000000  
500000



ნულ გრადუსიანი იზოთერმა ცივგომბორისა და თრიალეთის მცების ფერდობებზე თითქმის 700 მეტრის სიმაღლემდე აღის, ხოლო შირავისა და გარდაბნის ველზე მცველად ქვევით იწევა; ქართლის ვაკეზედაც ტემპერატურა შედარებით დაბალია.

ჯავახეთის ზეგანზე —  $8^{\circ}$ -ანი იზოთერმა გადის დაახლოებით 1800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მაშინ, როდესაც იგივე იზოთერმა კავკასიონის ფერდობზე 2100—2200 მეტრის სიმაღლეზეა გატარებული. საერთოდ ერთმნიშვნელოვანი იზოთერმა კავკასიონის რაიონში 200—400 მეტრით უფრო მაღალ აღგილებზე გადის, ვიდრე სამხრეთ მთიანეთის დავაქებულ რაიონებში. ასე, რომ საერთო ოერმულ გრადიენტზე ლაპარაკი შეუძლებელი და უაზრო.

ზაფხულში ყველაზე უფრო მაღალი საშუალო თვიური ტემპერატურებია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 450—500 მეტრის სიმაღლემდე, სადაც ივლისის საშუალო ტემპერატურა უდრის  $24^{\circ}$ — $25^{\circ}$  (ნახ. 4), მაშინ, როდესაც დასავლეთ საქართველოს დაბლობებზე ზღვის დონიდან 100 მეტრის სიმაღლემდე ივლისის საშუალო ტემპერატურა შეადგენს  $22^{\circ}$ — $23^{\circ}$ . ზღვის ნაპირიდან დაშორებასრან ერთად, მიუხედავად აღგილის სიმაღლის თანდათან გადიდებისა (იმერეთის რაიონი) 300 მეტრის სიმაღლემდე ივლისის ტემპერატურა რამდენიმედ იზრდება, მაგრამ  $24^{\circ}$ -დე ვერ აღწევს. ზღვის დონიდან 300 მეტრზე ზევით ზაფხულის თვის ტემპერატურა მთელს საქართველოში ეცემა საშუალოდ  $0,6^{\circ}$ — $0,7^{\circ}$  ყოველ 100 მეტრის სიმაღლეზე. მაგრამ ზაფხულის სეზონშიაც რელიეფის ფორმა და ქვემდებარე ზედაპირის ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პარის ტემპერატურის ერტიეალურ ზონალურ განაწილებაზე. ასე, მაგალითად,  $16^{\circ}$  იზოთერმა (ივლისის) ჯავახეთის ზეგანზე გადის 1800 მეტრის სიმაღლეზე, ხოლო კავკასიონის რაიონებში 1400—1500 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. პარის ტემპერატურის საშუალო წლიური ამპლიტუდი სანაპიროებზე მეტყობს  $16^{\circ}$ — $18^{\circ}$  ფარგლებში.

აღმოსავლეთით ამპლიტუდი იზრდება (ცხადია, მაღალი მოების გამოკლებით) და უდიდეს მნიშვნელობას  $25^{\circ}$ — $26^{\circ}$  აღწევს გარდაბნის ველზე და შირაქის ზეგანზე. შედარებით დიდი ამპლიტუდით ხასიათ დება, აგრეთვე, ქართლის ვაკე და ჯავახეთის ზეგანი.

კლიმატოლოგის თვალსაზრისით შეიძლება ჩენ პირობით ნამდვილი ზამთრის სეზონ ვუშოდოთ ისეთ პერიოდს წელიწადში, რომლის განმავლობაში საშუალო მრავალწლიური დღელამური ტემპერატურა უდრის  $0^{\circ}$ . ასეთი პერიოდის ხანგრძლივობა ჩენ განვსაზღვრეთ საქართველოს ყველა მრავალწლიურ დაკვირვების მქონე მეტეოროლოგიურ სადგურისათვის პარის ტემპერატურის წლიური მსვლელობის გრაფიკის მიხედვით. დასავლეთ საქართველოს რაიონებსა და შიდაკახეთში ზღვის დონიდან 600 მეტრის სიმაღლემდე და, აგრეთვე, თბილისის რაიონში, ასეთ პერიოდს აღგილი არა აქვს, მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს უფრო დაბალ აღგილებში, ნაწილობრივ გარდაბნის ველზე და მარნეულში, ასეთი პერიოდის ხანგრძლივობა წელიწადში 20—30 დღეს უდრის. 600 მეტრის ზევით იგი სჭრაფად მატულობს და 1400 მეტრის სიმაღლეზე 100 დღეს აღწევს. შემდეგ ასეთი პერიოდის ხანგრძლივობა ნე-

ლა იზრდება და 2400 მეტრის სიმაღლეზე წელიწადში 180 დღეს უდრის. მაღალმთან ყაზბეგზე, ზღვის დონიდან 3-57 მეტრის სიმაღლეზე, წელიწადში საშუალოდ 265 დღე წელიწედ საშუალო დღელამური ტემპერატურა  $<0^{\circ}$ .

საშუალო თვიურ ტემპერატურებთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ (განსაკუთრებით პრაქტიკული მიზნებისათვის) სხვადასხვა სიღილის საშუალო დღელამურ ტემპერატურების გამორჩების სიხშირე სეზონების მიხედვით.

დასავლეთ საქართველოს სანაპირო რაიონებში ზაფხულობით ყველაზე ხშირია საშუალო დღელამური ტემპერატურები  $20^{\circ}-25^{\circ}$  ფარგლებში, ზამთრობით  $5^{\circ}-10^{\circ}$  ფარგლებში.

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ზღვის დონიდან 500—600 მეტრის სიმაღლემდე უფრო ხშირად აქვთ იდგილი საშუალო დღელამურ ტემპერატურებს  $0^{\circ}$ -დან  $5^{\circ}$ -დე, ზაფხულობით  $20^{\circ}$ -დან  $25^{\circ}$ -მდე.

ცენტრალური კავკასიონის უდელტეხილებთან ახლო მდებარე სადგურებზე ზამთრობით ყველაზე ხშირია საშუალო დღელამური ტემპერატურები  $0^{\circ}$ -დან  $-5^{\circ}$ -მდე, ზაფხულობით  $10^{\circ}$  და  $15^{\circ}$ -მდე. საქართველოს უფრო ცივ რაიონებში, კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე და ჯავახეთის ზეგანზე, ზამთარში ყველაზე უფრო ხშირია საშუალო დღელამური ტემპერატურა  $-5^{\circ}$ -დან  $-10^{\circ}$  ფარგლებში, ხოლო ზაფხულობით  $10^{\circ}$ -დან  $15^{\circ}$ .

საინტერესო აგრეთვე თბილ და ცხელ დღეთა რიცხვი თვეების მიხედვით. ცივ დღეს ამ შემთხვევაშიაც ვუწოდებთ ისეთ დღეს, რომელსაც საშუალო დღელამური ტემპერატურა  $\leq 0^{\circ}$ , ხოლო ცხელ დღეში  $\geq 25^{\circ}$  (იხ. ცხრილი 3 და 4).

შევი ზღვის სანაპიროებზე საქართველოს საზღვრებში ცივ დღეებს შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ დეკემბრიდან მარტამდე და მთი რიცხვი წელიწადში საშუალოდ 5-ზე ნაკლებია. ზღვის ნაპირიდან დაშორებით იგი რამდენიმედ იზრდება, მაგრამ კოლხეთის მთელს დაბლობზე იგი  $10^{\circ}$ -ზე ნაკლები რჩება წელიწადში. მთის კალთებზე ცივ დღეთა რიცხვი სწრაფად დიდდება და  $500-600$  მეტრის სიმაღლეზე უკვე იღწევს  $25-30$  დღეს წელიწადში; ცივი დღეები ცალკე შემთხვევებში ხვდება აქ პრილ-ნოემბერს.

ცივ დღეთა რიცხვი აღმოსავლეთ საქართველოში მეტია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში იმავე სიმაღლის ადგილებზე და  $300-500$  მეტრის სიმაღლეებზე მეტყობს  $20$ -დან  $30$  დღემდე, ხოლო  $900$  მეტრის სიმაღლეზე  $40$ -დან  $65$ -მდე; აქ ცივი დღეებინოებებში უკვე ჩევლებრივი მოვლენაა.  $600$  მეტრის სიმაღლის უფრო დაბალ ადგილებზე აპრილში ცივ დღეებს იღვილი არა აქვს.

დიდია ცივი დღეების რიცხვი ჯავახეთის ზეგანზე ( $110$  დღე) და კავკასიონის მაღალ ზონებში, სადაც ჩრდილო ფერდობის  $2000$  მეტრის და სამხრეთი ფერდობის  $2200$  მეტრის სიმაღლეზე ასეთ დღეთა რიცხვი აქარბებს  $130$ -ს წელიწადში.


ცხელ დღეთა რიცხვი ყველაზე უფრო მეტია აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში  $500$  მეტრზე დაბლი (იხ. ცხრილი № 4); აქ ისეთ დღეთა რიცხვი იღწევს  $30$ -მდე და ზოგან მეტიცაა, მაქსიმუმია გარდაბნის ველზე, სადაც კარბობს  $40$  დღეს წელიწადში.

ԱՐԱՐԱՏՅԱՆ ԱՐԵ

ԱՐՄԵՆԻԱ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



## ცხრილი 3

სადგურები თვეები	მ თ ხ ე ლ ი ნ ტ ი ც	ისეთ დღეების საშუალო რიცხვი, რომლების ტემპერატურა ჭ 0°									
		IX	X	XI	XII	I	II	III	IV	V	წელ- წევდი
გაგრა . . .	27	—	—	—	0,1	0,1	1,4	0,1	—	—	1,7
სოხუმი . . .	37	—	—	—	0,4	1,9	2,0	0,2	—	—	4,5
ფოთი . . .	4	—	—	—	0,1	1,2	1,0	0,2	—	—	2,5
ბათომი . . .	3	—	—	—	0,3	0,2	0,6	0,1	—	—	1,2
სამტრედა .	29	—	—	—	0,4	3,2	2,1	0,2	—	—	5,9
მაჩარაძე . . .	70	—	—	—	0,5	1,7	3,0	0,6	—	—	5,8
გაშევერდი .	?	—	—	—	0,5	1,3	1,9	0,4	—	—	4,1
ქუთაისი . . .	150	—	—	—	0,7	3,5	3,2	0,8	—	—	8,2
საქარა . . .	148	—	—	—	1,3	4,1	2,7	0,5	—	—	8,6
წიფა . . . .	670	—	—	1,0	7,5	15,2	10,6	4,0	1,0	—	39,3
ლაილაში .	853	—	—	2,6	9,4	13,7	9,3	3,3	—	—	38,3
ტყიბული .	537	—	—	0,2	3,4	10,6	5,5	2,9	0,1	—	22,9
ჭათურა . . .	348	—	—	0,2	2,7	9,1	4,2	1,0	—	—	17,2
ახილი . . .	1823	—	—	4,1	18,5	29,3	22,6	13,4	4,4	—	86,3
კობი . . . .	1987	0,3	2,7	15,0	28,3	30,3	27,1	21,9	6,0	1,1	132,7
გუდაური . . .	2204	0,2	2,7	16,2	26,6	29,9	26,2	22,9	8,5	0,9	134,1
მლეთი . . . .	1470	—	—	—	8,6	24,0	28,2	22,2	15,2	1,8	100,0
დუშეთი . . .	890	—	—	—	1,9	9,7	14,8	13,2	2,7	0,5	42,8
ბორჯომი . . .	806	—	—	—	2,8	15,8	20,3	18,6	7,1	0,4	65,0
ბაკურიანი .	1820	—	—	1,3	9,5	22,6	27,3	25,1	18,2	5,5	0,6
ახალქალაძი	1715	0,1	0,6	—	8,8	24,4	29,4	24,0	18,4	3,1	108,8
გორი . . . .	600	—	—	—	1,6	8,6	18,4	11,4	3,4	—	43,4
თბილისი . . .	404	—	—	—	0,5	5,0	9,9	5,9	1,2	—	21,5
იყალთო . . .	700	—	—	—	0,7	6,7	13,7	8,1	2,9	—	32,1
წინანდალი	602	—	—	—	—	4,2	11,7	5,7	1,5	—	23,1
გარდაბანი . . .	305	0,1	0,6	—	6,0	14,1	6,2	1,6	—	—	28,6
თეთრიწყარო	1150	0,1	—	5,4	13,0	19,7	14,7	8,0	0,7	—	61,6

4. გეოგრაფ. ინსტ. ზრომები, ტ. III ნაკვ. 1.

ცხრილი 4  
საშუალო რიცხვი ისეთი დღეებისა, რომლის ტემპი ერთგულია  $\geq 25^{\circ}$

შ ა მ წ ე ტ ი ტ ი ს ე	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	შედება		
გაგრა	27	—	—	0,3	1,6	8,2	11,5	1,9	0,3	23,8	
სოხუმი	37	—	—	0,5	2,2	7,2	8,6	1,7	0,2	20,4	
ქათით	4	—	—	0,3	1,7	4,1	3,4	0,6	0,6	10,7	
ბათუმი	3	0,1	—	0,1	0,8	6,0	4,7	0,6	—	12,3.	
სამტრედია	29	—	—	1,0	3,0	7,6	8,0	2,8	0,1	22,5	
გამეტებული	?	—	—	0,2	0,5	2,2	4,4	7,5	1,9	0,1	16,8
ქუთაისი	150	—	—	1,3	3,3	6,6	8,9	3,3	0,5	23,9	
ს. ქარა	148	—	—	1,1	4,8	10,6	11,7	2,9	—	31,1	
ჭიფე	670	—	—	—	0,1	2,0	2,1	0,1	—	4,3	
ლაილაში	853	—	—	—	0,1	0,4	—	—	—	0,5	
ტყიყიბული	537	—	—	0,4	2,4	4,1	5,4	1,7	—	14,0	
ჭიათურა	348	—	—	0,4	3,9	8,0	9,2	2,3	—	23,8	
ა. ხილი	1823	—	—	—	—	—	—	—	—	—	
კობი	1987	—	—	—	—	—	—	—	—	—	
გუდაური	2204	—	—	—	—	—	—	—	—	—	
მოლენი	1470	—	—	—	—	—	—	—	—	—	
დუშეთი	892	—	—	—	—	—	—	—	—	—	
ბორჯომი	806	—	—	—	—	—	—	0,1	—	0,1	
ბაკურიანი	1820	—	—	—	—	—	—	—	—	—	
ახალქალაქი	1715	—	—	—	—	—	—	—	—	—	
გორი	600	—	—	—	0,4	5,4	6,2	0,4	—	12,4	
თბილისი	404	—	—	—	2,7	12,9	12,8	1,1	—	29,5	
იყალთო	700	—	—	—	0,7	5,7	3,7	0,2	—	10,3	
ჭინანდალი	602	—	—	—	1,4	8,9	6,0	0,4	—	16,7	
გარდაბნი	305	—	—	0,1	5,4	19,1	16,1	2,0	—	42,7	
თეთროწყარო	1150	—	—	—	—	0,7	0,3	—	—	1,0	

მნიშვნელოვანია ცხელ დღეთი რიცხვი აგრეთვე რიონის ხეობის დაბლობი ნაწილებში და გაგრაში (22–24 დღე წელიწადში).

1000 მეტრის სიმაღლეებში ისეთ დღეთი რიცხვი — უკვე მეტად უმნიშვნელოა, წელიწადში 1 დღეს არ აღმატება, ხოლო 1200 მეტრის სიმაღლის ზევით მდებარე ადგილები ცხელ დღეებს სრულიად მოკლებულია.

### ნალექები

რელიეფის სირთულე და ზემოთ განხილულ ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები აპირობებენ საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების დიდ მრავალფეროვნებას, როგორც რაოდენობის, ისე ნალექების ხასიათის და წლიური ჯამის მიხედვით.

ნალექების რაოდენობის ტერიტორიული განაწილების თვალსაჩინოებისა-თვის საჭიროა იზოკიტების გატარება, ამისათვის კი ჭინანდარ უნდა იქნეს შესწავლილი პლატფორმეტრიული გრადიენტები, ე. ი. ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ცვლილება სიმაღლის გადიდებასთან დაკავშირებით. მაგრამ

ეს სიდიდე დამუკიდებულია ფერდაბების ექსპოზიციაზე, ძაღვილის დახრილობის კუთხეზე. გაბატონებულ ჰაერის ნაკადებისაგან დაცულობაზე, ზღვიდან ჭრის შემრებაზე, რელიეფის ფორმაზე და სხვ. ამიტომ იყო ძლიერ ცვალებადია. ამასთან ერთად ცავი და თბილი ფრინველის ნალექების გრადიენტები განსხვავდებიან ერთობისაგან. ამებად ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად შესწავლილი, ოუროგორია პლევიომეტრიული გრადიენტის დამოკიდებულება ზემოთ აღნიშნულ ფაქტორებთან. ამიტომ მე-5 რუკა იძლევა მხოლოდ საორიენტაციო იზოტიპებს და მას შეუძლია მხოლოდ პირველი მიახლოებით მოგვცეს წარმოდგენა საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების წლიური განაწილების შესახებ.

ნალექების წლიური და სეზონური განაწილება, მიღებული წვიმისაზომის მონაცემების საფუძველზე, რეალურად შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ ქვედაზონისათვის, სადაც ზამთრის სეზონშიაც სჭარბობს ნალექები წვიმის სახით. შავი ზღვის სანაპიროდან დაშორებასთან და ადგილის ამაღლებასთან დაკავშირებით, თოვლაზე დღეთა რეცხვი მატულობს და შესაბამისად იზრდება ცდომილება წვიმისაზომის მონაცემებში.

საშუალო ზონაში, 400—1000 მ სიმაღლეზე (ზ. დ.), ზამთრის თვეებში წვიმისაზომის საშუალებით გაზომილი ნალექების რაოდენობა 20—30%-ით შემცირებულია. მაღალმთიან სადგურებზე კი, სადაც ნალექები წლის განმავლობაში უმთავრესად თოვლის სახით მოდის და გარდა მისა, ხშიობად ძლიერ ქარებით თან ახლავს, გაზომილი ნალექების რაოდენობა უფრო მეტად არის შემცირებული. მაგრამ, საჭირო მონაცემების უქონლობის გამო, დაკვირვებით მიღებულ ნალექების რაოდენობაში შესაბამისი შესწორების შეტანა ამჟამად შეუძლებელია.

იზოტიპების რუკა ჩვენ შევადგინეთ ე. ნაუეტვარიძესთან ერთად; რუკის შედგენის დროს ჩვენ ვისარგებლეთ ი. ქურდიანის, ა. გ. ბალაბუევის და ნაწილობრივ, დროზოდვეს რუკებით და, აგრეთვე, უკანასკნელ ხახებში გახსნილ სადგურების მონაცემებით.

დასავლეთ საქართველოში, რომელშიც დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან თავისეულად იჭრება უმდგრადი ჰაერის მასა და რომელიც სამამარიცან შემორტყმულია მთებით, წლის თითქმის ყველა სეზონში ადგილი აქვა იყლუხის ფრინველის, ფრინტალურ და ხანგრძლივ ოროგრაფიულ უხვ ნალექებს, რის შედეგადაც ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა ტერიტორიის მეტ ნაწილზე მნიშვნელოვნად აღემატება 1000 მმ და ზოგან კი 2000—3000 მმ-საც. წლიური ნალექების განსაკუთრებით დიდი რაოდენობა, 2400—3000 მმ-დე, მოდის ივარის სანაპიროებზე და ჩაქვის ქედის დასავლეთ ფერდობზე, რომელიც ლიაა მთელი წლის განმავლობაში აქ გაბატონებულ სახერთ-დასავლეთის ზღვის ქარებისათვის. ჩრდილოეთით, კოლხეთის დაბლობის შუა ნ.წილში, სადაც სანაპირო ზოლი უფრო გაშლილია და ძოვები შორდებიან ნაპირს, ნალექების რაოდენობა შესამჩნევად მცირდება და ოჩამჩირის რაოდენში 1200—1300 მმ-დე ეცემა. ზემდეგ, აფხაზეთის სანაპიროებზე ისევ რამდენმედ იზრდება. მაგრამ ვერ იღებეს 1400 მმ-ს, თუმცა მოები აქ ძლიერ უახლოვდებიან ზღვის ნაპირს. ამ რაიონში ნალექების გამომწვევი ჰაერის მასების დინება მიმართულია ზღვის სა-

ნანაბიროს თითქმის პარალელურად; გარდა ამისა, ამ სანაპიროზე მთელი წლის განმავლობაში გაბატონებულ ჩრდილოეთის და ჩრდილო-დასავლეთის ქარებს, როგორც დაღმავალს, ფიონური ხასიათი აქვთ. ამიტომ ნალექების წლიური რაოდენობა აფხაზეთის სანაპიროზე შეადგენს აჭარის სანაპიროს ნალექების თითქმის ნახევარს.

სანაპიროდან დაშორებით ნალექების რაოდენობის ცვლილება დამოკიდებულია ადგილის ოროგრაფიაზე. აჭარაში, ჩაქვის ქედის აღმოსავლეთით, აჭარის შუა წლის ხეობაში, რომელიც დაცულია დასავლეთის მასების ზემოქმედებისავათ, ატმოსფერული ნალექები, მიუხედავად ადგილმდებარეობის მცირე ამაღლებისა, შესამჩნევად მცირდება. დაახლოებით 900 მ-ს სიმაღლეზე, ზღვიდან 20 კმ-ს დაშორებით, ნალექების წლიური რაოდენობა 1300 მმ ს შეადგენს. რომელის ხეობაში, ზღვის სანაპიროდან აღმოსავლეთისაკენ, ნალექების რაოდენობა ჯერ რამდენიმედ იზრდება (ჭალადიდში მეტია, ვიდრე ფოთში) და შემდეგ რელიეფის საერთო ამაღლების მიუხედავად, თანდათან ისევ მცირდება; წიფაში (670 მ ზ. დ.), რომელიც ზღვიდან 150 კმ არის დაშორებული, ატმოსფერული ნალექების წლიური რაოდენობა მხოლოდ 950 მმ-ს უდრის. მაგრამ სამეგრელოს და ნაქერალის ქედების რაიონში, რომელიც ცაცაბორ არიან აღმართული დასავლეთის ნოტიო ქარების მიმართ, ნალექების რაოდენობა შევთავად იზრდება და 2000 მმ-ს აღემატება. რაჭის ქედის გადაღმა ნალექების რაოდენობა კვლავ მცირდება 800 მმ-დე. აფხაზეთში ადგილმდებარეობის ამაღლებისთან ერთად ნალექების რაოდენობა საერთოდ იზრდება და კავკასიონის კალთებზე ადგილ-ადგილ 2000—2500 მმ აღწევს. სკან-აფხაზეთის ქედისა და აღმოსავლეთით, ზემოსეანებთას რაიონში, ნალექების რაოდენობა ძლიერ ეცემა.

სურამის ქედის აღმოსავლ. და აჭარა-იმერეთის ქედასა და არსიანის ქედის სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით ნალექების რაოდენობა მკვეთრად მცირდება. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების წლიური ჯამი 400—1500 მმ-ს ფარგლებში მეტყობს, მაგრამ ტერიტორიის უმეტეს ნაწილში იგი 400—700 მმ-ს უდრის. უმცირესი რაოდენობის ნალექები, 400 მმ-ზე ნაკლები, იცის აღნისავლეთ დაბლობ რაიონებში (გარდაბნის და ელდარის სტეპებში). ადგილმდებარეობის ამაღლებასთან ერთად (ზღვას დონიდან) ნალექების რაოდენობა საერთოდ იზრდება, მაგრამ ნალექების რაოდენობის ცვალებადიბაზე შესამჩნევ გავლენას ახდენს ადგილმდებარეობის რელიეფი. თბილის-მცხეთის რაიონში, საღაც შდ. მტკვრის ხეობა მკვეთრად ვიწროვდება და უხვევეს აღმოსავლეთისაკენ და განსაკუთრებით, შიდა კახეთში, რომელიც მოქცეულია ცივ-გომბორის და კავკასიონის ქედებს შორის, იქმნება ხელსაყრელი პირობები ჰაერის მასების კონცენტრაციისათვის, რაც ამ რაიონებში, აღმოსავლეთიდან შემოქრის პირებებისა და სამხრეთიდან ზემოქმედების დროს იწვევს ნალექების გაზრდას. შიდა ქართლში, რომელიც წარმოადგენს ფართო ვაკეს, ჰაერის დინების დიავაზენციის შედეგად, როგორც დასავლეთური პროცესების, ისე აღმოსავლეთიდან შემოქრის ნალექების დროს, ნალექების რაოდენობა რამდენადმე ნაკლებია, ვიდრე უფრო დაბლა მდებარე თბილის-მცხეთის რაიონში და 200—300 მმ-ით ნაკლებია, ვიდრე შიდაკახეთში იმავე სიმაღლეზე. ჯავახეთის ზეგანი და მესხეთი,

რომელნიც აგრეთვე დასავლეთიდან და აღმოსავლეთიდან დაცული არიან მთის ჭედებით, შედარებით მცირე ნალექებით გამოიჩინებიან. ახალქალაქში, რომელიც მდებარეობს 1715 მ სიმაღლეზე (ზ. დ.), წლიურად საშუალოდ 550 მმ ნალექი მოდის, მაშინ, როდესაც 500 მმ-იანი იზომიერი აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე 400—500 მ სიმაღლეზე (ზ. დ.) გადის. კავკისიონის კალთებზე ნალექების რაოდენობა ყოველ 100 მ სიმაღლეზე საშუალოდ  $16^{\circ}/\text{o}$ -ით იზრდება და ქედის მაღალმთიან ზონაში 2000—2500 მ სიმაღლეზე (ზ. დ.) 1500 მმ აღწევს.

### ნალექების ჯამის რყევა

წლიური და თვიური ნალექების ჯამის რყევა წლიდან-წლამდე საქართველოს ტერიტორიაზე, აბსოლუტური სიდიდის მიხედვით, საქმაოდ მნიშვნელოვანია, თუმცა წლიური და თვიური ნალექების ჯამის საშუალო კვალებადობა, გამოხატული საშუალო მრავალწლიურიდან პროცენტებში, საქართველოში შედარებით არ არის დიდი (იხ. ცხრ. 5).

### ცხრილი 5

წლიური და თვიური ნალექების ჯამის საშუალო კვადრატული გადახრა საშუალო მრავალწლიურიდან  $\%/\text{o}$ -ში

სადგურები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლიური
თბილისი . . .	65	56	51	53	41	45	58	61	59	59	61	60	15
საქარა . . .	33	46	34	36	37	49	41	31	45	43	37	40	14
ფოთი . . .	40	46	34	31	37	41	40	39	45	45	46	47	13

ნალექების წლიური ჯამის საშუალო რყევა, როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს,  $13^{\circ}/\text{o}$ — $15^{\circ}/\text{o}$  ფარგლებში ირყევა, ე. ი. იმავე ფარგლებში, როგორც ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში და იტალიაში, და გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ევროპის სხვა ნაწილებში. ნალექების თვიური ჯამის საშუალო რყევა საქართველოში ისეთივეა, როგორც დასავლეთ ევროპაში და მნიშვნელოვან ნაკლებია, ვიდრე სსრკ ევროპული ნაწილის სამხრეთსა და ციმბირში, სადაც ის  $70^{\circ}/\text{o}$ -ს აღწევს.

როგორც მე-6 ცხრილიდან ჩანს, ყველაზე წვიმიანი და ყველაზე მშრალი წლების ნალექების წლიურ რაოდენობათა შეფარდება დასავლეთ საქართველოში მერყეობს 2 და 3 ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 2-ის ირგვლივ. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ ყველაზე უმშრალეს წლის ნილექების წლიური ჯამის სიდიდეს, შეიძლება მივიღეთ იმ დასკვამდე, რომ დასავლეთ საქართველო დაზოვეულია კატასტროფიული ხასიათის გვალვებისა-ვან მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო არ არის მისგან სავსებით და-ზღვეული.

### ნალექების წლიური მსვლელობა

საქართველოს ტერიტორიაზე ნალექების წლიურ მსვლელობაში სხვადა-  
სხვაობის გამომწვევი ძირითადი მიხეხება განხილულია ზემოთ ე. ნაფეტვარი-  
ძის სტატიაში. ახლა განვიხილოთ უფრო დაწვრილებით ნალექების წლიური  
მსვლელობის ხასიათი საქართველოს სხვადასხვა რაიონში (ნახ. 6).

ბათუმის სანაპიროებზე ყველაზე ნალექი ნალექა მოდის გაზაფხულზე,  
საშუალოდ წლიური ჯამის  $15\%$ . ყველაზე შშრალი თვე არის მაისი, როდესაც  
საშუალოდ შოდის დაახლოებით  $90$  მმ ნალექი. ზაფხულისაკენ ნალექების რა-  
ოდენობა იზრდება. ყველაზე მეტი ნალექი მოდის შემოდგომაზე, დაახლოე-  
ბით წლიური რაოდენობის ერთი მესამედი. მაქსიმუმი ხვდება სექტემბერს ( $300$  მმ).

### ცხრილი 6

1881—1940 წ. პერიოდის განმავლობაში უდიდესი და უმცირესი წლიური ნალექების  
შეფარდება

სადგური	ყველაზე წვიმიანი და ყველაზე მშრალი წლების წლიური ნალექების შეფარდება
ბათუმი . . .	3,0
გ. თბი . . .	2,4
ს. ქარა . . .	1,9
თბილისი . .	2,1

მეორე მაქსიმუმი — ნოემბერს. ზომთარში ნალექების რაოდენობა თანდათა-  
ნო ბით მცირდება, მაგრამ მაინც მეტი მოდის ვიდრე ზაფხულში. \*

მთიანი აჭარის ქვედა ზონებში,  $200$ — $400$  მ სიმაღლეს (ზ. დ.) ზაფხუ-  
ლის და შემოდგომის ნალექთა რაოდენობა თანაბრდება (წლიური რაოდენო-  
ბის  $12\%$ ). მაქსიმუმი აქ შემოდგომაზეა. აჭარის ზედა ზონებში ნალექების მინი-  
მუმი მოდის ზაფხულში, ხოლო მაქსიმუმი თანდათანობით ზომთარზე გადადის.

სამეგრელოს დაბლობზე უმცირესი რაოდენობის ნალექები მოდის იგრი-  
თვე გაზაფხულზე. სანაპიროებზე ნალექების მინიმუმი ხვდება მაისს (საშუალოდ  
დაახლოებით  $50$  მმ), რაიონის ზემო ნაწილში (ზუგდიდი, გაშეერდი) მინიმუმი  
იწევს შარტიისაკენ. ნალექების მაქსიმუმს რაიონის უდიდეს ნაწილში ადგილი  
აქვს შემოდგომაზე, მაგრამ ზაფხულის ნალექების რაოდენობაც, მთელ რაიონ-  
ში, თითქმის ისეთივეა, როგორც შემოდგომაზე.. მხოლოდ სამეგრელოს ქედის  
ფერდობებზე (ჭალენჯიის) ზაფხულის ნალექთა რაოდენობა გარკვეულად აღ-  
მატება შემოდგომისას. ნალექების მაქსიმუმი ამ რაიონში მოდის გვესტოსა  
და სექტემბერზე. ნალექების სივრცით განაწილება ზამთრის და გაზაფხულის  
თვეებში არ შეესაბამება ნალექების წლიური რაოდენობის განაწილებას რაი-  
ონში. ასე, მაგალითად, ცოთში ზომთარში მოდის  $370$  მმ, ცხაკარიში —  $375$  მმ,

საქართველოს სსრ

ავტომატური გეოლოგიური გამოკვლეული

675

ფიზიკური დანართი 2000 წლის მდგრადი  
მდგრადი აუდიტის მიზანი.

მდგრადი  
10 20 30 40 50





სამტრედიაში—410 მმ, გაზაფხულში ფოთში მოდის 220 მმ, ცნავაიაში—286 მმ, სამტრედიაში—240 მმ. ამრიგად სანაპიროზე ზამთარში და გაზაფხულშე მოსული ნილექების რაოდენობა არ აღმატება ნალექების იმ რაოდენობას, რაც მოდის ზღვის სანაპიროებიდან დაშორებულ რაიონებში. მხოლოდ სამეგრელოს ქედის ფერდობებზე მდგბარე სადგურები (150 მ ზემოთ ზ. დ.) ზამთრობით იძლევიან ნაკლებ ნალექებს, ვირრე დაბლა მდებარე სადგურები. სამეგრელოს ვაკის ოლ-მოსავლეთით გაზაფხულის და ზაფხულის ნალექთა რაოდენობა თანაბრდება და აღმოსავლეთ ნაწილებში უმცირესი რაოდენობით ნალექები ზაფხულში მოდის.

ჭ ათურაში, საქართვის საცდელ სადგურში, ხარაჭულში და წიფაში, ზაფხულის ნალექების რაოდენობა გაზაფხულის ნალექთა რაოდენობაზე რამოდენადმე ნაკლებია. მინიმალური თვიური რაოდენობა ნალექებისა ამ რაიონში ხედება ავისტოს, მეორად უმნიშვნელო მინიმუმს ადგილი აქვს მარტში, ხოლო მაქსიმუმი შემოდგომიდან ზამთრის თვეებისაკენ გადაინაცევებს.

ნალექების წლიური მსვლელობის სხვანაირ განაწილებას აქვს ადგილი მდინარე ყვირილას აუზის ჩრდილოეთით, როგორც ნაქერალის ქედის რაიონში, ისე რიონის ზემოწელში. ნაქერალის ქედის რაიონში, წვიმსაზომის მონაცემების მიხედვით, ზაფხულში უფრო მეტი ნალექი მოდის, ვიდრე ზამთარში. ნალექების მინიმუმი ხედება თებერვალს, ხოლო მაქსიმუმი ივლისს. რაქა-ლეჩებუმის რიონში უმცირესი რაოდენობის ნალექი / მოდის ზამთარში, ხოლო წლის დანარჩენ სეზონებში ნალექების რაოდენობა თითქმის ერთანაირია.

აფხაზეთის სანაპიროზე ნალექების წლიური მსვლელობა უფრო თანა რია. უმცირესი რაოდენობის ნალექები მოდის ზაფხულში, საშუალოდ წლიური რაოდენობის დაახლოებით  $22\%$ . ყველაზე მეტი ნალექი იცის ზამთარში, დახლოებით წლიური ჯამის  $27\%$ . ყველაზე მშრალი თვეები ივნისი და აგვისტოა, როდესაც საშუალოდ  $90-100$  მმ ნალექი მოდის. ყველაზე წვიმიანი ც კე სექტემბერია ( $140$  მმ). აფხაზეთის მთებში ნალექების წლიური მსვლელობა აგრეთვე საკმაოდ თანაბარია. აქ ყველაზე მეტი ნალექები მოდის შემოდგომაში ( $29\%$ ), ხოლო უმცირესი—გაზაფხულზე ( $22\%$ ). ზაფხულის ნალექთა რაოდენიბის უმნიშვნელოდ აღმატება გაზაფხულისას.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექების წლიური მსვლელობა უფრო ერთეულოვანია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში. აღმოსავლეთ საქართველოს უელ ტერიტორიაზე ყველაზე მშრალია ზამთრის თვეები, უმეტეს წილად იანვრი, როდესაც წლიური ნალექების მხოლოდ  $2\%-4\%$  მოდის. ნალექების უქამდანობი, თითქმის მთელ აღმოსავლეთ საქართველოში, უმეტეს წილად ხედება მაისს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში—ივნისს. მაგრამ აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც არსებობს ერთვარი სხვადასხვაობა ნალექების წლიურ მსვლელობაში. მდინარე მტკვრის ხეობაში (დაახლოებით გორის ქვემოთ) და ინგველივ მდებარე მთების ფერდობებზე  $1200$  მ სიმაღლემდე, ნალექების წლიური მსვლელობა შემდგენაირ სურათს იძლევა: მშრალი ზამთარი (საზღალოდ ნალექების წლიური ჯამის  $11\%-13\%$ ), ნალექების ზრდა გაზაფხულისაკენ, მაქსიმუმი გაზაფხულის ბოლოს (მაისში მოდის წლიური ნალექების დახლოებით  $15\%$ ). ნალექები ივნისში რამდენადმე მცირდება; მეორე, უფრო ნა-



კლები მინიმუმია აგვისტოში და მეორე მაქსიმუმია სექტემბერში. ნალექების ასეთივე წლიურ მსვლელობას აღილი აქვთ უფრო მაღლა მდებარე სადგურებზედაც, მაგრამ ზამთრის ნალექების პროცენტი იზრდება, ხოლო მაქსიმუმი ზაფხულის თვეებისაკენ გადადის. სამხრეთ მთიანეთის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილებში მდებარე სადგურებზე ნალექების მაქსიმუმი უმეტეს შემთხვევაში ხედება ზაფხულს და ზაუნის მაქსიმუმიდან ზამთრის მინიმუმისაკენ გადასვლა თანდათანობით მიმდინარეობს.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში, რომელნიც უშეულოდ ეკვრიან დასავლეთ საქართველოს—ხაშურის, გორის, ორმოცის, მეჯვრისსევის, ბორჯომის, ახალდაბის და ბანისხევის სადგურების მონაცემებით, ნალექების ზრდა გაზაფხულისაკენ რამდენიმედი იგვიანებს; მარტში ნალექების რაოდენობა იმდენივეა, როგორც იანვარში, მეორადი მაქსიმუმი იწევს ნოემბრისკენ. ამ რაიონებისათვის ტიპიურს წარმოადგენს ნალექების წლიური მსვლელობა სადგურ ხაშურში.

#### ცხრილი 7

ნალექები სადგ. ხაშურში თვეების მიხედვით

თვეები	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
საშუალო	28	30	27	59	81	74	46	39	44	48	54	35

#### ნალექიან დღეთა რიცხვი

ნალექიან ( $\geq 0,1$  მმ დღე-ლამეში) დღეთა რიცხვი წელიწადში საქართველოს ტერიტორიაზე იყევეა 220-დან (ჩაქვის და ნაქერალის ქედების რაიონებში) 80-დე (გარდაბნის და ელდარის რაიონებში).

აგარისი სანაპიროებზე ასეთ დღეთა რიცხვია, საშუალოდ დაახლოებით 170. ადგილის სიმაღლის ზრდასთან დაკავშირებით წერილიან დღეთა რიცხვი იზრდება და ჩაქვის ქედის ფერდობებზე წელიწადში 200 აღებატება. ჩაქვის ქედის აღმოსავლეთი დღეთა რიცხვი ნალექებით  $\geq 0,1$  მმ დღე-ლამეში, როგორც ზედა, ისევე ქვედა ზონაში ერთნაირია და იყევე დაახლოებით 150-ის მარგვლივ.

სამეცნიეროს დაბლობის სანაპიროებზე ასეთ დღეთა რიცხვი საშუალოდ ისეთივეა როგორც აჭარის სანაპიროებზე, მაგრამ აქედან აღმოსავლეთისაკენ წვიმიან დღეთა რიცხვი მცირდება: ფოთში უდრის 176, სამტრედიაში — 148, საქარაში — 142, წითაში — 137. აუხაზეთის სანაპიროებზე წვიმიან დღეთა რიცხვი ნაკლებია: გალში — 150, სოხუმში — 148, გაგრაში — 152.

ნალექების წლიური ჯამის თანდათანობითი შემცირება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ სანაპიროების გასწვრივ და სამეცნიეროს სანაპიროდან აღმოსავლეთისაკენ გამოწვეულია უმთავრესად, არაწვიმიან დღეთა რიცხვის შემცირებით, არამედ, ნალექების ინტენსივობის შემცირებით, რაც კარგად ჩანს მე-8 ცხრილიდან.

## ცხრილი 8

დღეთა რიცხვი წელიწადში ნა- ექის რაოდენობით

სადგურები	$\leq 0,5$ მმ	$\geq 1,0$ მმ	$\geq 2,0$ მმ	$\geq 5,0$ მმ	$\geq 10,0$ მმ	$\geq 20,0$ მმ	$\geq 30,0$ მმ
ბათუმი	152	140	123	94	74	41	24
ქობულეთი	148	134	119	91	67	38	23
ფოთი	140	127	113	83	52	24	13
სოხუმი	131	116	101	74	46	20	9
გაგრა	124	112	96	70	44	19	8
ქუთასი	135	122	106	75	45	18	8
საქარა	129	119	102	69	39	13	6
ჭიფა	127	118	94	60	27	8	3

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განსხვავება ისეთ ნალექიან დღეებს შორის, როდესაც დღე-ღამური ნალექების რაოდენობა 30 მმ. ასეთ დღეთა რიცხვი ბათუმში უდრის 24, ფოთში—13, სოხუმში—9, საქარის საცდელ საღვურში—6 და ჭიფაში—3.

ყვირილის ხეობის ჩრდილოეთით, რაჭა-ლეჩებულის რაიონში და, განსაკუთრებით, ნაქერალის ქედის რაიონში ნალექიან დღეთა რიცხვი შესამჩნევად იზრდება. ლაილაშვილი ეს შეადგენს 152 და ხარისთვალში—217 დღეს.

თვეების მიხედვით ნალექიან დღეთა რიცხვი დასაკლეთ საქართველოში საქმიან თანაბრად არის განაწილებული (საშუალო 10—15 დღე თვეში) და არ შეესაბამება თვიური ნალექების წლიურ მსვლელობას. ასე მაგალითად, მაისში, რომელიც ყველაზე ნაკლები ნალექებით ხასიათდება, წვიმიან დღეთა რიცხვი საშუალოდ რამდენადმე უფრო მეტია, ვიდრე სექტემბერში, რომელიც ყველაზე მეტ თვიურ ნალექებს იძლევა სამეცნიეროში. ეს მოვლენა გვიჩვენებს, რომ სექტემბრის დიდი რაოდენობის ნალექები უმეტეს წილად თავსხმა ხასიათისაა (ნალექების დღე-ღამური რაოდენობის თვალსაზრისით), მაშინ, როდესაც გაზაფხულობით ნალექები ნაკლებად ინტენსიურია. აქედან ჩანს, რომ გაზაფხულობით დასავლეთიდან პარის მასების დავექცია ხშირია, მაგრამ ამ სექტემბრი ზღვის გამაციებელი გავლენის გამო მყარდება ატმოსფეროს ნოტიო მდგრადი სტატიფიკაცია, რაც არ უწყობს ხელს თავსხმა ნალექების მოსვლას.

წვიმიან დღეთა წლიურ რაოდენობის განაწილება აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მეტად შეესაბამება წლიური ნალექების განაწილებას, ვიდრე დასავლეთ საქართველოში.

ნალექიან დღეების რიცხვი ყველაზე ნაკლებია იღმოსავლეთ საქართველოს დაბლობებში, მდინარე მტკვრის ხეობაში თბილისის ქვემოთ. დღეთა რიცხვი ყველა გრადაციის ნალექებით, სიმაღლის მატებასთან დაკავშირებით იზრდება. ეს ჩანს მე-9 ცხრილიდან.

მხოლოდ ქართლის ვაკე (გორი), ჯავახეთის პლატო და ახალციხის ამოკვაბული თავიანთი სიმაღლეებისათვის ნალექიანი დღეების ნაკლები რაოდენო-

ბით ხასიათდებიან; განსაკუთრებით ნაკლებია ამ რაოდნებში ისეთ დღეთი რიცხვი, როდესაც ნალექები მნიშვნელოვანი რაოდენობით მოდის.

## ცხრილი 9

დღეთა რიცხვი წელიწადში ნალექის რაოდენობით

სადგურები	$\geq 0,1$ მმ	$\geq 0,5$ მმ	$\geq 1,0$ მმ	$\geq 2,0$ მმ	$\geq 5,0$ მმ	$\geq 10,0$ მმ	$\geq 20,0$ მმ	$\geq 30,0$ მმ
გარდაბანი	84	79	62	40	24	10	3	1
თბილისი	115	88	73	56	31	15	4	2
გორი	110	91	76	57	30	13	3	1
წინაძევი	106	95	85	68	43	22	9	3
ახალ ივე	98	90	81	62	34	13	3	1
ფასანაური	126	113	102	87	56	29	8	3
მღერი	133	127	117	98	70	40	15	6
არაქ თაქი	133	114	92	73	38	16	3	1
ყანძები	106	100	88	70	42	29	7	3
კობი	142	130	116	97	62	34	13	6
გუდაური	183	162	144	120	79	48	19	8

მაგალითად, დღეთა რიცხვი ნალექებით  $\geq 20$  მმ გორუში საშუალოდ უდრის 2,7 წელიწადში, ხოლო წინაძევალში, რომელიც იმავე სიმაღლეზე მდებარეობს (ზ. დ.), როგორც გორი, ასეთ დღეთა რიცხვია 8,8. ახალციხეში რიცხვი დღეთა ნალექებით  $\geq 20$  მმ წელიწადში უდრის 2,3, მაშინ, როდესაც კავკასიონის სამხრეთ კალთებზე იმავე სიმაღლეზე — 8,0.

ახალქალაქში დღეთა რიცხვი ნალექებით  $\geq 20$  მმ წელიწადში. სულ 3, ხოლო გუდაურში — 19.

ყველაზე მეტი რიცხვი დღეებისა ყოველგვარი გრადაციის ნალექებით მოელ აღმოსავლეთ საქართველოში ხვდება მაისსა და ივნისს, რომელიც აგრძელება უდიდესი რაოდენობის ნალექებით ხასიათდებიან. ყველაზე ნაკლები რიცხვი ყოველგვარი გრადაციების ნალექიანი დღეებისა მოცის ზამთრის თვეებზე, უმეტეს წილად იანვარზე, რაც საესებით შეესაბამება ნალექების წლიურ მსვლელობას.

მე-10 და მე-11-ე ცხრილებში მოკვეყნების იანვარში და მაისში სხვადასხვა ინტენსივობის ნალექებიან დღეთა რიცხვის განაწილების ცხრილი ზოგიერთ დაბახისიათებელ სადგურისათვის.

## ცხრილი 10

ნალექიან დღეთა რიცხვი იანვარში

სადგურები	$\geq 0,1$ მმ	$\geq 0,5$ მმ	$\geq 1,0$ მმ	$\geq 2,0$ მმ	$\geq 5,0$ მმ	$\geq 10,0$ მმ	$\geq 20,0$ მმ	$\geq 30,0$ მმ
გარდაბანი	3,7	3,0	2,5	1,4	2,7	0,7	0,0	0,3
თ ილისი	5,7	3,5	2,6	1,8	0,7	0,2	0,0	0,0
ფასანაური	7,7	5,6	4,9	3,3	1,7	0,8	0,2	0,1
მღერ	8,4	7,8	6,4	5,4	3,6	1,8	0,6	0,1
გუდა რი	11,6	10,0	8,5	6,6	3,7	2,0	0,8	0,3
კობი	7,7	6,6	5,4	3,7	1,5	1,0	0,5	0,0
ყანძები	5,4	4,6	3,4	2,4	1,1	0,4	0,1	0,1
ახალქალაქი	10,0	7,4	5,3	3,4	1,1	0,2	0,0	0,0

## ცხრილი 11

## ნალექიან დღეთა რიცხვი მასში

საფაუნდები	$\geq 0,1$ მმ	$\geq 0,5$ მმ	$\geq 1,0$ მმ	$\geq 2,0$ მმ	$\geq 5,0$ მმ	$\geq 10$ მმ	$\geq 20$ მმ	$\geq 30$ მმ
გარდაბანი .	12,7	11,5	9,8	7,3	4,0	2,6	0,7	0,2
თბილისი .	16,2	13,0	11,1	8,7	5,3	3,5	1,1	0,4
ფასანაური .	17,1	16,2	15,2	13,9	9,8	4,8	1,1	0,3
მცხოვი .	17,3	16,8	15,7	13,9	9,9	6,0	2,2	0,8
გუდაური .	21,5	20,4	19,1	16,2	11,6	6,9	2,4	0,7
ქობი .	17,9	16,6	15,6	13,6	9,3	5,2	1,8	0,9
ჭანევი .	14,9	14,5	13,4	11,5	7,0	3,5	1,2	0,4
ახალცალქი	16,8	15,2	9,3	10,7	6,8	2,4	0,4	0,0

ნალექიან დღეების რიცხვი საერთოდ სიმაღლის მიხედვით იზრდება, როგორც იანვარში, ისევე მაისში, მაგრამ იანვარში ნალექები  $\geq 20$  მმ-სა დღე-ლამეში მთებშიაც კი საქმარებლივია მოვლენას წარმოადგენს. თბილისში და ახალცალქში ასეთი დღეები სრულად არ არის. მაისში ნალექები  $\geq 20$  მმ დღე-ლამეში იცის ყოველწლიურად, საშუალოდ ერთხელ 1000 მ-ის სიმაღლემდე და 2-ჯერ მაღალმთიან აიანონებში.

თავს ხმა. თავსხმა საერთოდ ისეთ წევისა ეწოდება, რომელიც „უმნიშვნელო“ დროის განმავლობაში იძლევა „მნიშვნელოვან“ ნალექის რაოდენობას. მხოლოდ კრიტიკუმად ნალექის რაოდენობის „მნიშვნელობისა“ შეიძლება იქნეს სხვადასხვა მოსაზრება. (ჩვენ არ ვლაპარაკობთ თავსხმის თანამედროვე ცნებაზე მეტეოროლოგიაში).

ლ. ბერგთან ერთად ჩვენ თავსხმას ვუწოდებთ ისეთ წვიმის, რომელიც ერთ წუთში იძლევა არა ნაკლებ 0,5 მმ ნალექისა.

ვილებთ ამ ნორმის უმთავრესად იმიტომ, რომ საქ. ტერიტორიაზე მომუშავე პლუვიოგრაფების ჩანაწერი თავსხმის ასეთი გაგებით არის დამუშავებული.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პლუვიოგრაფების ჩანაწერები დაამუშავეს სხვადასხვა დროს საქ. ჰიდრომეტეროლოგიური სამმართველოს ჰიდროლოგიურმა განყოფილებამ, ბ. კოჩერგინბა და უფრო დაწვრილებით ი. გაჩეჩილაძემ [2]. თითოეულ დამუშავებულ სადგურისათვის მათ გამორჩეულია 1 წუთში ნალექის მაქსიმალური სიდიდე სხვადასხვა ხანგრძლივობის თავსხმისათვის. პლუვიოგრაფის საქმიანოდ ხანგრძლივობის ჩანაწერი აქვს მხოლოდ თბილისს. დანარჩენ სადგურის მონაცემი მცირე პერიოდისაა.

მთელ საქართველოში, პლუვიოგრაფების ჩანაწერის მიხედვით, ნალექის მაქსიმალური ინტენსივობა (1 წუთში მოსული ნალექის მაქსიმალური რაოდენობა) არ აღემატება 4 მმ წუთში, ეს მაშინ, როდესაც თავსხმის ხანგრძლივობა აღ. ბულია 1 და 5 წუთამდე; 6—15 წუთამდე ხანგრძლივობის თავსხმის მაქსიმალური ინტენსივობა კერძოდ 3 მმ წუთში.

გერმანიაში ნალექის მაქსიმალური ინტენსივობა აღებული თავსხმის 1—5 წუთის ხანგრძლივობიდან მიღებული იყო 3—4 მმ წუთში, მაგრამ შედეგ

გამოიწყება, რომ ნალექის მაქსიმალური ინტენსივობა გერმანიის მრავალ ადგილში ბევრად უფრო მეტია. 1927 წლის 8—9 ივნისს ერცგებორგეში 25 წუთის განმავლობაში მოვიდა 175 მმ ნალექი, ე. ი. საშუალოდ 7 მმ წუთში.

ფიკერი (Fickert) [3] ასახელებს ასეთს და კიდევ უფრო მეტი ინტენსივობის თავსმას. მაგალითად, ბავარიაში 25 მაისს 1920 წელს 18-დან 19 საათამდე 8 წუთის განმავლობაში მოსულა 126 მმ, ე. ი. საშუალოდ 15,8 მმ წუთში. როგორც ვხედავთ ნალექის შესაძლებელი მაქსიმალური ინტენსივობა გერმანიაში მეტად სკარბობს საქართველოში თავსმის ინტენსივობის სიდიდეს. კიდევ მეტ განსხვავებას ვიღებთ ჩვენს პლუვიგრაფებიდან მიღებული უდიდესი ინტენსივობისა და კალიფრონის (ჩრდილოეთ ამერიკა ზომიერი სარტყელი) მაქსიმალურ ინტენსივობის შორის.

გრუნსის [4] მოკავეს შემთხვევა. როდესაც ნალექის მაქსიმალური ინტენსივობა სკარბობდა 1 ლ/აუმს ინგლისურს (24 მმ) წუთში; მაგალითად, 1926 წლის 5/IV, 4 საათსა და 43 წუთიდან 4 საათსა 44 წუთამდე მოსულა 1,03 ლიტ. 1891 წლის 12/VIII მისი გამოანგარიშებით წუთში მოსულა ნალექის რაოდენობა უდრის 1,3 ლიტს (ე. ი. 33 მმ). ამრიგად, კალიფრონიაში, სადაც წლიური რაოდენობა ნალექებისა 400—600 მ უდრის, ნალექის მაქსიმალური ინტენსივობა კიდევ უფრო მეტია, ვიდრე გერმანიაში. ნაწილობრივად ეს შეიძლება აიხსნებოდეს მით, რომ ჰერმანის სისტემის პლუვიგრაფი (რომელიც ჩვენში მუშაობს) ვერ აღნიშნავს საქმაო სიზუსტით ნალექის ინტენსივობას რამდენიმე წუთში, მაგრამ ასეთი დიდი განსხვავება, რომელსაც ვიღებთ გერმანიისა, კალიფრონიისა და საქართველოს ნალექების ინტენსივობის შორის, ვერ აიხსნება მარტო თვითმწერის სიზუსტით; ქადაგი, ნალექის ინტენსივობას თუ 1 წუთში ჩამოვარდნილ ნალექის მაქსიმალურ სიდიდეს ვუწოდებთ, მაშინ საქართველოში ნალექის ინტენსივობა ბევრად მცირეა, და საერთოდ მეტად ზომიერია ვიდრე ზემოთ მოყვანილ ქვენებში. ამავე დროს დასავლეთ საქართველოში, როგორც წლიური და თვითმწერი, ისე დღე-ლამური ნალექის რაოდენობა, საქართველოში დიდია. წყალდიდობა და ღვარცოფი, რომელსაც დიდი ზარალი მოაქვს (გზების, ხიდების, ხანდახან მთელი სოფლის განაღვეულება) ჩვენში არც ისე იშვიათია.

იწვევს თუ არა ხანმოკლე (რამდენიმე წუთის ხანგრძლივობის), მაგრამ ძლიერი წვიმა წყალდიდობას, გზების განაღვეულებას, მიმოსვლის შეწყვეტისა და ა. შ. როგორც ცნობილია, ასეთი წვიმა ვიწრო დაგილობრივი ხასიათისაა და ასეთ შედეგებს იწვევს მთლილ დაგილობრივად, შედარებით მცირე ტერიტორიაზე. იმოსავლების საქართველოში თავსმას, მიუხედავად მისი არა დიდი ხანგრძლივობისა, საქმაოდ დიდი ზიანი მოაქვს პატარა მდინარეების, ღელეებისა და ღვარების ციცაბოდ დაქანებულ ხეობებში. მაგალითისათვის შეიძლება დავისახელოთ თბილისის ტერიტორია და მდინარე ალაზნის მარცხნა ნაპირები, სადაც ღვარცოფი საქმაოდ ხშირი და დიდი ზიანის მომტანი მოვლენაა [5].

როგორც საგსებით სამართლიანად აღნიშნავს ფიგუროვსკი [6], დიდ მდინარეთა წყალმოვარდნისათვის მთავარი მნიშვნელობა აქვთ ხანგრძლივ და ვარ-

შემო მოდებულ წვიმებს, ხოლო მცირე წყალმოვარდნისათვის ხანმოკლე და ინტენსიურ თავსხმას.

წყალდიდობა—ნიაღვარი გავრცელების ტერიტორიის სიღიფის მხრივ, დამოკიდებულია უფრო წვიმის ხანგრძლივობაზე და მის გავრცელების ტერიტორიაზე. ვიდრე ხანმოკლე დროის განმავლობაში მოსული ნალექის რაოდენობაზე, თუ ჩვენ განვახილავთ ისეთი დღეების მეტეოროლოგიურ მონაცემებს, როდესაც წყალდიდობამ და ნიაღვარმა ვანსაკეტრებით დიდი ზიანი მიაყენა. სახალხო მეურნეობას დასავლეთ საქართველოში, დავინახავთ, რომ ასეთ დღეებში (ხშირად ამ დღეების წინა დღეებშიც) წვიმა იყო ძლიერი (თავსხმა) და საქმიოდ ხანგრძლივი (რამდენიმე საათი მაინც). დასავლეთ საქართველოში, როგორც პლუვიოგრაფის ჩანაწერი გვიჩვენებს, თავსხმა წვიმები არ არის ისეთი ხანმოკლე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოში. თავსხმით დაწყებული წვიმა იქ გადადის გაბმულ და გარშემო მოდებულ ნალექებში.

ასე, რომ თავსხმის ინტენსივობის ცოდნას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებისათვის, როგორც მცირე, ისე დიდ მდინარეთა რეჟიმის, გამოსარკვევად და ჰიდროტექნიკური გამოანგარიშებისათვის.

#### თავსხმაწვიმის მაქსიმალური ინტენსივობის მარტივი ფორმულა

დროის ყველა მოკლე შუალედისათვის ნალექის შესაძლებელ რაოდენობის ზექსიმუმებს ჩვენში დროგამოშვებით და კინტიცუნტად მომზავე თვითმწერების ჩანაწერებიდან უშუალოდ ვერ მივიღებთ. საჭირო ხდება დავეყრდნოთ რამდენიმე შუალედისათვის მიღებულ მაქსიმალური ნალექის რაოდენობას და აქედან გამოვიყანოთ ისეთი ფორმულა, რომელიც საშუალებას მოგვცემს გამოვითვალოთ ნალექის შესაძლებელი მაქსიმუმები სანებური მოკლე დროის განმავლობაში და საშუალო მაქსიმალური ინტენსივობა ამ პერიოდისათვის. ცნობილია, რომ თუ აბსცისაზე გადავზომავთ დროს და ორდინატზე ამ დროის განმავლობაში მიღებულ ნალექების რაოდენობას, მაშინ მაქსიმალური ინტენსივობის წყიმის მოკლე პერიოდისათვის მივიღებთ პარაბოლის მზგავს მრუდეს.

საქართველოს პლუვიოგრაფების ჩანაწერების განხილვამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე [7], რომ ნალექების შესაძლებელი მაქსიმალური სიღიდეების გამოსანგარიშებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს მარტივი ფორმულა:

$$\bullet \quad i_t = \frac{c}{\sqrt{t}} \dots [1], \text{ როცა } 0,167 \leq t \leq 2,$$

სადაც  $i_t$  არის  $t$  საათის ნალექის მაქსიმალური საშუალო სიღიდე, გამოსახული  $\overline{\text{საათში}}$ :

აქედან  $t$  საათის განმავლობაში ნალექების შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობა  $P_t$  იანგარიშება ფორმულით:

$$P_t = \frac{c}{\sqrt{t}} \cdot t = c\sqrt{t} \dots [2], \text{ როცა } 0,167 \leq t \leq 2 [2],$$

სადაც  $P_t$  არის თავსხმის დასაშუალებელი და საათში მოწყობილი ნალექის შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობა. C კოეფიციენტი, როგორც ფორმული-დან ჩანს, არის ერთ საათში შესაძლებელი ნალექების მაქსიმუმი. ეს სიდიდე, ცხადია, ცალკე რაიონებისათვის სხვადასხვაა. ფორმულით გამოარიგარიშებული და პლუვიოგრაფიების ჩანაწერი სიდიდეების შედარებიდან გამოირკვა, რომ დრო-ის კვილა შეალებისათვის ეს ფორმულა გამოსადევია 1 წუთიდან 2 საათის ხანგრძლივობის თავსხმისათვის.

მნიშვნელოვან განსხვავების იძლევა მხოლოდ 1 წუთ-სათვის გამოთვლილი შესაძლებელი მაქსიმალური რაოდენობა (7,8 მმ. წუთში) და პლუვიოგრამიდან მიღებული (4 წუთში), რაც ჩვენი აზრით, მიეწერება უფრო პლუვიოგრაფის ცდო-მიღებას.

1939 წელს თბილისის ობსერვატორიის დაკვირვების მოედანზე დავდგით პლუვიოგრაფი, რომლის ბორცვის პერიოდი დაყვანილი იყო 40 წუთმდე, რის გამო 1 წუთში მოსული ნალექის ათველა საკმაოდ ზუსტიდ შეიძლებოდა.

20/V მმ პლუვიოგრაფის ჩანაწერმა გვჩვენა მაქსიმალური ინტენსივობა 4,5 მმ. წუთში, მაშინ, როდესაც ჩევულებრივი ბრუნვის (24 საათის) პლუვიო-გრაფის ჩანაწერის მიხედვით არ აღვარებოდა 3 მმ წუთში.

ჯაგრაში (ნაიხევანის ასსრ) ი. ფიგუროვსკის [8] ცნობით '2 წუთში მო-სულა 15,2 მილიმეტრი ნალექი. ასე რომ აღმოსავლეთ საქართველოსათვის, სადაც თავსხმა განუწყვეტლივ 2 საათზე მეტს არ გრძელდება, ეს ფორმული გამოისადგებია და საგარისია (გარდა ალაზნის მარცხნია ნაპირისა, რომლის შე-სახებ ვერაფერს ვიტყვით სათანადო მასალების უქონლობის გამო).

დასავლეთ საქართველოში თავსხმა წვიმა უფრო ხანგრძლივია. თავსხმის ინტენსივობა წვიმის ხანგრძლივობის გაურცელებასთან დაკავშირებით აქ ისეთი ტემპით არ ეცემა და პარაბოლური ურთიერთობა დროსა და ამ დროის გან-მავლობაში შესაძლებელ მაქსიმალურ ნალექების რაოდენობის შორის, არ არ-სებობს. 2 საათზე უფრო მეტა დროისათვის ფორმულა (1 და 2) აშკარად გა-მოუსადევარია.

2. საათზე უფრო მეტ დროისათვის ნალექების შესაძლებელი მაქსიმუმი საკმაო სიზუსტით იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$I_t = \frac{1,5C}{\sqrt{t^2}} \text{ და } P_t = 1,5C \sqrt{\frac{1}{t}} \text{ როცა } 2 < t \leq 10.$$

C, ცხადია, აქაც უდრის ნალექის შესაძლებელ მაქსიმუმს ერთ საათში. ქვე-მოთ მოგვყიფს C-ს საორიენტაციო მნიშვნელობა საქართველოს ზოგიერთ რა-იონისათვის:

შავი ზღვის სანაპირო რაიონებისათვის  $C = 75$  საათში - მმ

სამცირედიის რაიონისათვის

$C = 60$  საათში - მმ

88

საქარა-წიფის რაიონისათვის C = 30 - 40 საათში

88

ნაქერალის ქედისათვის C = 60 საათში

88

შიდაქართლის ვაკისათვის (გორი) C = 30 საათში

88

ქვემოქართლისათვის (თბილისი) C = 60 - 65 საათში

თავსხმის დღილამური მსვლელობა თავსხმის წევის გის დღე-ლა-მური მსვლელობა საქართველოში ნათლად ჩანს მე-12 ტაბ-ლიდან, მიუხედავდ იმისა, რომ ამ ცხრილში მოთავსებულია. ჩანაწერები ისეთი პუნქტისათვის, რომელთაც მცირე პერიოდის ჩანაწერები აქვთ.

ცნობილია, რომ ხმელეთზე საერთოდ არსებობს ტენიცენტრია ნაწუადლევის წევიმისაღმი, ხოლო ზღვებზე და მათ სანაპიროებზე წევიმ უკრო ხშირია დამის საათებში (დილა აღრიანდ). ამავე დროს ნალექის დღე-ლამური მსვლელობა რთულია და განიცდის ადგილობრივ პირობების ძლიერ გავლენას. საჭიროა თვითმშერების მრავალშლილორი ჩანაწერი, რომ გამოყვანილ იქნეს ნალექის საშუალო რაოდენობა დუღამის თითოეულ საათისათვის. დასავლეთ საქართველოს არც ერთ სადგურს ამისათვის საკვამო ჩანაწერი არა აქვს.

განსაკუთრებით ინტერესს წარმოადგინს თავსხმის დაწყების განაწილება დღედამის საათების მიხედვით.

ამისათვის ჩერნ მოგვყავს პლუვიოგრაფიების ჩანაწერებიდან გამოთვლილი თავსხმის დაწყების სიხშირე დღედამის ცალკე საათებში საქართველოს ყველა ისეთ სადგურისათვის, რომელთაც 3 წელზე მეტი ჩანაწერი ჰქონდა.

მართალია, მცირე პერიოდია აღებული, მაგრამ როგორც ჩანს თავსხმის შემთხვევა ისე აშკარად არის განაწილებული დღედამეში, რომ მოკლე პერიოდიდანაც საკმაოდ მკაფიოდ გამოვლინდება.

მე-12 ცხრილი გვიჩვენებს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (თბილისი, დავითის მთა), და დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში (ხარისხვალი, ტყიბული, წიფა) თავსხმის შეიძლება ადგილი ჰქონდეს დღედამის ყოველ საათში, მაგრამ გარკვევით უფრო ხშირად ის იწყება ნაშუადღევის 16-დან 22 საათიდე. დასავლეთ საქართველოში (სამტრედია, ანასეული, ჩაქვი, ქობულეთი) ამ საათებში თავსხმა უფრო იშვიათად იწყება, ვიდრე დღედამის სხვა საათებში. აქ თავსხმა უფრო ხშირად იწყება ღამის 0—4 საათზე, ხოლო შემდეგ, დღის 4—10 საათზე. აღმოსავლეთ საქართველოში დაცულია წმინდა კონტინენტური ტიპის მსვლელობა, დასავლეთ საქართველოს სანაპიროებზე—ზღვისა. აღმოსავლეთ საქართველოში ლამე, დედამიწის ზედაპირის რადიაციული გამოსხივებით გამოწვეული გაცივების შედეგად, ჰაერის ქვედა ფენა ცივდება, მყირ-დება ქვედა ფენის მდგრადი მდგომარეობა, ძნელდება ჰაერის ძლიერი აღმავლი დენის გამოწვევა და თავსხმის ვარაუდი მცირდება. ხელსაყრელი პირობები თავსხმისა იქმნება ნაშუადღევს, როდესაც გაძლიერებული მზის რადი-

აციით ნიადაგი და, მაშასადამე, ჰაერის ქვედა ფენა ინტენსიურად თბება, წარ-  
მოიშობა ჰაერის არამდგრადი მდგომარეობა და საქმარისია შედარებით უმ-  
ნიშვნელო გარეგანი იმპულსი, რომ წონასწორობა დაირღვეს და ამიტომ თავ-  
სხმის კარაული ამ საათებში მეტია. ასეთი პირობებია აღმოსავლეთ საქართვე-  
ლოში და ნაწილობრივად დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. სა-

ცხრილი 12

თავსებმა შეიმების დასწყისის დღე-დღმური განაწილება საათებში (შემთხვევათა რიცხვის 0%-ში).

სადგურები	მდგრადი დაწესებულებები	0—2 2—4 4—6 6—8 8—10 10—12 12—14 14—16 16—18 18—20 20—22—24											
		მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები	მდგრადი დაწესებულებები		
თბილისი, ობ- სტრონიარები	38	7	6	5	4	4	5	7	11	16	14	15	6
თბილისი, და- ვითი მთა . . .	5	7	7	3	3	5	5	5	10	17	20	10	10
ხარისხთაღი	5	12	3	3	7	5	3	7	10	20	10	10	10
ტყიბული . . .	5	5	5	4	8	7	5	7	14	16	7	16	6
ნაცრალი . . .	5	5	15	5	7	5	7	10	10	18	7	13	7
ჭიათუ . . .	7	4	10	3	3	6	4	12	14	18	10	12	4
სამტრედია . .	12	20	13	16	19	11	6	10	8	5	4	4	4
ანასული . . .	8	16	11	5	11	11	4	5	11	11	5	3	4
ჩაქვი . . .	3	12	13	10	13	6	7	9	3	6	10	7	5
ქობულეთი . .	3	8	12	10	12	6	7	8	5	9	8	9	6

წინააღმდეგო მოვლენის აქცე ადგილი ზღვის პირას. აქ ხელსაყრელი პირობები თავს ხშირად იქმნება სჭირები ნაშაულმექს.

ჰაერის ტემპერატურის დღელამური ამბლიტუდი ზღვის პირას არ აღმატება  $0^{\circ},5^{\circ}$ , ხოლო ზედა ფენებში ამბლიტუდი იზრდება და  $2.500-4000$  მეტრის სიმაღლეზე აღწევს  $2^{\circ}-1,5^{\circ}$  (რეფსდალი). ამ სიმაღლეზე მინიმუმი ჰაერის ტემპერატურისა მყარდება  $1-2$  სათომავე. ეს იწევეს ჰაერის ქვედა ფენის არამდგრად მდგომარეობას დილის საათებში და ამიტომ ამ საათებში თავსხმისათვის პირობები ხელსაყრდნია. სწორედ ლამის 2 საათიდან, როდესაც ჰაერის ზედა ფენას აქვს ტემპერატურული მინიმუმი, ატმოსფერია ყველა დანარჩენ საათებში უფრო არამდგრადია და სანაბიროებზე თავსხმის რიცხვი ამ საათებში საგრძნობლად მეტია.

დასავლეთ საკართველოს შავი ზღვის ნაპირებზე, ზღვის პირას ამარტული მთის ფერდობები აძლიერებენ განსხვავებას ქვედა და ზედა ფენების დღელამურ ამპლიტუდათა შორის.

მაგალითად, ბათუმში შემოდგომის თვეებში ტემპერატურის დღელამური აპლიტუდი ( $13^{\circ}$ — $7^{\circ}$ ) უდრის 3,5, ხოლო ჰუნტიონში, რომლის სიმაღლე 630 მეტრია ზღვის დონიდან დღელამური აპლიტუდი უდრის  $8^{\circ}$ . ეს გარემოება ნაშავალამებეს ჰაერის ქვედა და ზედა ფენის შორის ტემპერატურის განსხვავებას. ძლიერდება ჰაერის არამდგრადი წონასწორობა და, თუ შევიღებთ მხედველობაში ამავე დროს სანაპირო ჰაერის დიდ სინოტივეს, ცხადია, უმნიშვნელო იმპულსი ანთავისულებს ნოტიო უძღვრად ენერგიას, რის შედეგად ამ საათებში თავსხმის ვარაუდი აქ უფრო მეტია, ვიდრე ზღვის გაშლილ ნაპირზე საერთოდ.

## პარის სინოტიფე

დასავლეთ საქართველო დასავლეთისაკენ გაშლილია ნოტიო ჰაერის დანებისათვის და ხმელეთიდან დაცულია მოებით. ეს გარემოება, ატმოსფერული ნალექების სიუხვე და ზედაპირის მომქმედი ზრის ხასიათი (სველი ნიაღაგები, უხვი მცენარეულობა, ჭაბები, მდინარეთა ქსელი და სხვ.) დასავლეთ საქართველოში ჭემნიან ხელსაყრელ პირობებს მაღალი სინოტიფისათვის. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოში ხშირია აღმოსავლეთის ფიონური ქარები, რომლის დროსაც შეფარდებითი სინოტიფე 30%, და ხშირად 20%-ზე დაბლა ეცემა, არა მარტო აბსოლუტური სინოტიფე, არამედ შეფარდებითი სინოტიფე მთელი წლის განმავლობაში აქ საქმაოდ მაღალია და მნიშვნელოვნად აღემატება აღმოსავლეთ საქართველოს სინოტიფეს.

კოლხეთის მთელ დაბლობზე ბათუმიდან გაგრამდე, საშუალო წლიური აბსოლუტური სინოტიფე 13 მბ-უახლოვდება. აღმოსავლეთით, ადგილის სიმაღლის გადიდებასა და ზღვის ნაპირიდან დაშორებასთან ერთად, აბსოლუტური სინოტიფე კლებულობს, მაგრამ თითქმის 1000 მ სიმაღლეზე მისი საშუალო სიღიდე რჩება 10—მბ-ზე მეტი (ქუთაისი—12,3 მბ, ჭიათურა—11,1 მბ, ტყიბული—10,8 მბ). ზემოთ აბსოლუტური სინოტიფე უფრო წრიაფად ეცემა და 1200—1600 მ სიმაღლეზე 8 მბ და უფრო ნაკლებია. უფრო მაღალ ადგილებისათვის მონაცემები არ არსებობს, მაგრამ საღურა ბახმაროს და მახარაძის მონაცემების შედარებიდან შეიძლება დაგვაკვნათ, რომ აბსოლუტური სინოტიფის შეცმირება ადგილის სიმაღლის გადიდებასთან დაკავშირებით კარგად ეთანხმება ჰანის ემპირულ ფორმულას.

აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 1000 მ სიმაღლემდე წლიური აბსოლუტური ის სინოტიფე მერყეობს 8—10 მბ ფარგლებში. შეოლოდ შიდაკანებითის რაონებში მიხი სიღიდე აღწევს 11—12 მბ, მთიან რაიონებში, 1500—2000 მ სიმაღლეზე (ზ. დ.), საშუალო აბსოლუტური სინოტიფე 5—7 მბ შეადგენს.

აბსოლუტური სინოტიფის წლიური მსელელობა მთელ საქართველოში შეესაბამება ტემპერატურის მსელელობას: მინიმუმს ადგილი იქვს იანვარში და დასავლეთ საქართველოში ტერიტორიის მეტ ნაწილზე უდრის დაახლოებით 7 მბ-ს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში—3—5 მბ. მაქსიმუმს ადგილი იქვს ივლის-აგვისტოში, 21—23 მბ. დასავლეთ საქართველოში და 15—17 მბ. აღმოსავლელში. შიდა კახეთში ზაფხულის თვეების საშუალო აბსოლუტური სინოტიფე უდრის 14—21 მბ.

საშუალო წლიური შეფარდებით სინოტიფე მერყეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე 70%—83%, ხოლო აღმოსავლეთ ტერიტორიაზე—64%—75% შორის.

კელაზე მაღალ შეფარდებითი სინოტიფეს ადგილი იქვს ბათუმის სანაპიროებზე და გურიაში, საშუალოდ 80%—87%. რამოდენიმედ დაბალია სამეგრელოს დაბლობზე—დაახლოებით 78%. სამეგრელოს დაბლობიდან ჩრდილოეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ შეფარდებითი სინოტიფე შესამჩნევად მცირდება. გვიგრაფ. იმსტ. შრომები, ტ. III, ნაკვ. 1

დება; აფხაზეთის სანაპიროებზე და ზემო იმერეთში უდრის საშუალოდ  $72\%$ .

საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივის შემცირება ამ რაიონებში ხდება უმთავრესად ზაფხულის თვეების შეფარდებითი სინოტივის მნიშვნელოვნად შემცირების ხარჯზე, რაც თავის მხრივ გამოშეეულია უმთავრესად ამ რაიონებში ზაფხულობით, ნალექების სიმცირით, შედარებათ სამეცნიეროს დაბლობთან. აღვილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, დასაცავებ საქართველოში, შეფარდებითი სინოტივ საერთოდ მცირდება. ასე, მაგალითად, ბათუმიშვილი (1905 მ) საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივი 75% შეადგინს მაშინ, როდესაც მახარაძეში (128 მ) იგი უდრის  $82\%$ . თვალსაჩინო გამონაკლისს წარმოადგენს შაორის ამოქვაბული (ხარისთვალი, ხერგა), სადაც საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივი  $80\%$ , აღმატება. ეს აისწერა ზამთრის განსაკუთრებულად დაბალი ტემპერატურით, ნალექების დიდი რაოდენობით და მდიდარი მცენარეული საფარის ასებობით.

ყველაზე მცირეა წლიური საშუალო შეფარდებითი სინოტივე აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებში  $64\%-68\%$  (თბილისი, საგარეჯო, გარდაბანი).

აღმოსავლეთ საქართველოს სხვა რაიონებიდან შედარებით უფრო მაღალი შეფარდებითი სინოტივით გამოიჩინავთ ის რაიონები, რომელიც უშეულოდ გავრიან დასაცავებ საქართველოს ტერიტორიას (აბასთუმნის და ბორჯომ-ბაჟირიანის რაიონები და ზეკრის, გოდერის და სურამის ულელტეხილები,  $74\%-79\%$ ). რადგნომედ მაღალია შეფარდებითი სინოტივე აგრეთვე შიდა კახეთშიც,  $70\%-74\%$ . რაც კარგად ეთანხმება ნალექების ტერიტორიალურ განაწილებას და მცენარეთა საფარის ხასიათს.

შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა დასაცავეთ საქართველოში ატარებს ზღვის კლიმატის დამახასიათებელ თვისებას, — მისცევს საერთოდ ტემპერატურების მსვლელობას: მინიმუმს ადგილი აქვს ზამთრის თვეებში, დაახლოებით  $70\%-76\%$ , მაქსიმუმს — ზაფხულის თვეებში და შემოდგომის დასასაწყისში  $75\%-83\%$ . ხოლო მხარის აღმოსავლეთ ნაწილებში ზაფხულის და ზამთრის შეფარდებითი სინოტივე თითქმის თანასწორდება. აქ ადგილი აქვს შედარებით ნაკლებად გამოხატულ მინიმუმს გაზაფხულის დასასრულში და ზაფხულის დასაწყისში — წლიური ამპლიტუდი უმნიშვნელოა,  $10\%$  ზე ნაკლები.

შეფარდებითი სინოტივის წლიურ მსვლელობას აღმოსავლეთ საქართველოს ვაკე ადგილებში კონტინენტულური ხასიათი აქვს. უმცირესია შეფარდებითი სინოტივე ზაფხულის თვეებში (ივლისი — აგვისტო  $55\%-65\%$ ), ხოლო უდიდესია — წლის ცივ პერიოდში (ნოემბერი — დეკემბერი  $75\%-85\%$ ). შეფარდებითი სინოტივის მეორე მცირე მაქსიმუმს ადგილი აქვს გაზაფხულის დასარულს (მაისი), როდესაც ნალექების მაქსიმუმია. შეფარდებითი სინოტივის წლიური ამპლიტუდი ტერიტორიის დიდ ნაწილში დაახლოებით  $15\%-20\%$ . აღმოსავლეთ საქართველოს მთან ადგილებში, ისევე, როგორც ჩვეულებრივ მთებში, შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა შეესაბამება ტემპერატურის მსვლელობას; მაქსიმუმს ადგილი აქვს წლის თბილ სეზონში, როდესაც განვითარებულია აღმაგალი დენი, ხოლო მინიმუმს — ზამთარში. ასე, კავკასიონის სამხრეთ კალთებზე, 800 მ ზემოთ (ზ. დ.), გაზაფხულის და ზაფხულის შეფარდებითი სინოტივის მაჩვენებლები უკვე თანაბრდებიან; 1000—1100 მ ზემოთ

შინიმუში გადადის გაზაფხულზე (პრილი, დაახლოებით  $70\%$ ), ხოლო უფრო ზემოთ,  $1200-1300$  მ სიმაღლეზე (ზ. დ.), შეფარდებითი სინოტივის საქმაოდ მცენტრად გამოხატული მინიმუში ხედება უკვე ზამთარს ( $55\%-დან 70\%-დე$ ). ამ სიმაღლეების ზემოთ ზამთრის თვეების შედარებითი სინოტივის მაქსიმუმი ვაღიანიცაულებს შემოდგომის დასაწყისისაკინ (სუქტებერი), ხოლო ადგილ-ადგილ  $1600-1900$  მ სიმაღლეზე—ზაფხულისაკენაც (ივლისი, აგვისტო), როდესაც კონვექსიურ პროცესებს თან სდევს წლის ორთქლის კონდენსაცია ატმოსფერის მაღალ ფენებში.

შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობის ხასიათის მიხედვით გამონაკლისს ჭარმალებენ ღრმა ხეობები, ქვაბურები და განსაკუთრებით, უტაკუო პლატოები, სადაც დიდი განვითარება აქვს ზამთრის ინცერსიებს. ასე, მაგალითად, ბორჯომში საშუალო შეფარდებითი სინოტივე იანვარში  $80\%$ , ხოლო აგვისტოში  $70\%$ ; აბასთუმანში იანვარში  $84\%$ , ხოლო აგვისტოში  $73\%$ ; კოჯორში (1380 მ) იანვარში (თვიური მინიმუმი)  $70\%$ , რაც უმნიშვნელოდაა ნაკლები მეორე მინიმუმზე, რომელსაც ადგილი აქვს აგვისტოში ( $71\%$ ). წლის თბილ პერიოდში საშუალო შეფარდებითი სინოტივე მაინც დაბალია, ვიდრე ცივ პერიოდში.

ჯავახეთის პლატოზე შეფარდებითი სინოტივის პმპლიტუდი მნიშვნელოვნად დიდია ( $12\%-14\%$ ) და მიუხედავად მაღალი მდებარეობისა (1700 მ ზ. დ.), შეფარდებითი სინოტივის წლიური მსვლელობა ისეთივე ჩრდება, როგორც ვაკებზე—მინიმუმი ზაფხულში—შემოდგომის დასაწყისში და მაქსიმუმი ზამთარში.

ისეთივე მსვლელობა ახასიათებს 13 საათის შეფარდებითი სინოტივეს. დასავლეთ საქართველოში ზღვის სანაპირო რაიონებში და იმ რაიონებში, რომელიც სანაპირო ზოლს ეყრდნობ, 13 საათისათვის საშუალო შეფარდებითი სინოტივის მაქსიმუმს ადგილი აქვს ზაფხულის თვეებში  $70\%-80\%$  (იმ შემთხვევაში, როდესაც საშუალო თვიური ტემპერატურა იმავე საათისათვის  $24-28\%$ ), მინიმუმს ზამთარში  $60-70\%$ . ზღვიდან დაშორებულ რაიონებში კი, მისი წლიური მსვლელობა შებრუნებულია: ზაფხულში მინიმუმი  $50-60\%$ , ზამთარში მაქსიმუმი  $62-70\%$ .

მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ საქართველოს სანაპირო ზოლში ისევე, როგორც მთელ საქართველოში, ყველაზე ნაკლებ შეფარდებით სინოტივეს ადგილი აქვს დღის საათებში, დღეთა რიცხვი შეფარდებითი სინოტივით 13 საათზე  $\leq 30\%$ , უმნიშვნელოა, სულ  $2-6$  დღე წელიწადში, მაშინ, როდესაც შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე  $\leq 80\%$ , გაცილებით მეტია და ირყევა  $80-100$  დღის ფარგლებში წელიწადში.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილში შეფარდებითი სინოტივე 13 საათზე უმცირესია ზაფხულის თვეებში,  $38-50\%$ , უდიდესია ზამთარში,  $58-68\%$ . კავკასიონის სახმრეთ კალთებზე კი, სადაც საერთოდ ადგილი აქვს შეფარდებითი სინოტივის შექცეულ მსვლელობას, 13 საათის შეფარდებითი სინოტივის მნიშვნელობა ზაფხულში  $10\%-15\%$  მეტია, ვიდრე ზამთარში.

აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც ზაფხულის ტემპერატურები შედარებით მაღალია, ხოლო ნალექები მცირეა, ტერიტორიის დიდი ნაწილისათვის განსაკუთრებული კლიმატური მნიშვნელობა აქვს სინოტივის დეფიციტს. სინოტივის დეფიციტი არის ერთი იმ ძირითადი მეტეოროლოგიური ფაქტორთაგანი, რომელიც განსაზღვრავს მცენარეთა სამოსელის ხსიათს. სინოტივის დიდი დეფიციტით გამოიჩინევა მდინარე მტკვრის ხეობის აღმოსავლეთ დაბლობი ნაწილი, სადაც სინოტივის დეფიციტის საშუალო წლიური სიდიდე 7—8 მმ ჟეადებენ, ხოლო ზაფხულის თვეებში 13 საათზე 24—25 მმ იღწევს. რამდენიმედ უფრო დაბალია სინოტივის დეფიციტი მდინარე იორის და ალაზნის ქვემო წელში. თავისი სიმაღლისათვის ნაღალი სინოტივის დეფიციტით გამოიჩინევა ქართლის ვაკე; აქ სინოტივის დეფიციტის წლიური რაოდენობა 6—7 მმ ფარგლებში ირყევა, ხოლო საშუალო 13 საათისათვისზაფხულის თვეებში უდრის 18,19 მმ. შედარებით მაღალ სინოტივის დეფიციტს ადგილი აქვს იგრეოვე ახალქალაქის პლატოს და ახალციხის ამოქვაბულის რაონებში. ასე, მაგალითად, აგვისტოში 13 საათზე სინოტივის საშუალო დეფიციტი ახალციხეში (980 მ. დ.) უდრის დაახლოებით 20 მმ, მაშინ, რაოდესაც თითქმის 100 მ-ით უფრო დაბლა (ზ. დ.) მდებარე სადგურ დუშეთში მხოლოდ 17 მმ ჟეადებენ; ახალქალაქში (1717 მ) ეს უდრის 16,5 მმ, ხოლო მოეთში (1428 მ)—13,7 მმ.

დასავლეთ საქართველოში სინოტივის დეფიციტის საშუალო წლიური მნიშვნელობა არ არის დიდი და ირყევა 2,5—5 მმ ფარგლებში. თუმცა აღმოსავლეთის ძლიერი ფიონური ქარების დროს სინოტივის დეფიციტი მნიშვნელოვანია, რაც გაზაფხულის და ზაფხულის პერიოდში ძლიერ აზიანებს მცენარეულობას, განსაკუთრებით იმერეთში.

### ღრუბლიანობა

ღრუბლიანობის ტერიტორიიალური განაწილება და წლიური მსვლელობა იმდენად არის დაკავშირებული ადგილობრივ ოროგრაფიულ პირობებთან და ატმოსფეროს ზოგად ცირკულაციურ პროცესებთან, რომ ამ ელემენტების განაწილებაში კანონმომიერების დადგენა საქართველოს როულ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში საქამიან განხელებულია. კიდევ უფრო ართულებს ამ საკითხს ის გარემოება, რომ ღრუბლიანობაზე დაკვრივებები, განსაკუთრებით ღამის საათებში, არ არის საქამიან დამატებული და გარემოებაზე დაკვრივებები. უკანასკნელ ხანებში საქართველოს თითქმის ყველა მეტეოროლოგიურ სადგურზე შემოღებულია ოთხედიანი დაკვრივებები ღრუბლიანობის რაოდენობაზე და ღრუბლების სახეებზე, მაგრამ ამ დაკვირვებათა მონაცემები ჯერ კიდევ არ არის კლიმატურად დამუშავებული.

ამიტომ ამ თავში მოცემულია, ძირითადად, საერთოდ ღრუბლიანობის ტერიტორიალური განაწილება და წლიური მსვლელობა; შეძლებისდაგარად, გზადაგზა განხილულია აგრეთვე ღრუბლების გაბატონებული ფორმები.

საშუალო წლიური ღრუბლიანობა საქართველოში საერთოდ არ არის დიდი. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ის ირყევა  $50\%—60\%$ -ის ფარგლებში, დასავლეთ საქართველოში 55—65% $\%$ , ფარგლებში.

ამრიგად, საერთო ღრუბლიანობის ჩაოდენობა დასავლეთ საქართველოში მხოლოდ უმნიშვნელოდ აღმატება აღმოსავლეთ საქართველოს საერთო ღრუბლიანობას, მაგრამ ზედა და შუა იარუსების ღრუბლები გუცილებით მეტია აღმოსავლეთ საქართველოში, ვიდრე დასავლეთში, სადაც ადგილი აქვს უმეტეს წილად ქადა იარუსების ღრუბლებს.

უდიდეს ღრუბლიანობას ადგილი აქვს ბათუმის სანაპიროებზე და გურიაში, სადაც წელიწადში საშუალოდ ცის 64% / ღაფარულია ღრუბლებით. ჩრდილოეთისაკენ ის უმნიშვნელოდ მცირდება და სამეგრელოს დაბლობის უმეტეს სადგურებზე საშუალოდ შეადგენს დაახლოებით 60% / წელიწადში. აღმოსავლეთისაკენ რიონის ხეობის აყოლებით, ქართლ-იმერეთის ქედიდან, ზღვიდან დაშორებასთან დაკავშირებით ატმოსფერული ნალექების რაოდენობას მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად რამდენადმე მცირდება ღრუბლიანობაც. ასე, მაგალითად, საშუალო წლიური მოლრუბლულობა ფოთში 61% /, ცხაკაიში—59% /, სამტრედიაში—57% /, წიფაში—55% /.

ჩრდილოეთისაკენ, ხეობის ზემო ნაწილებში, დასავლეთისაკენ—ზღვისაკენ მიქცეულ ფერდობებზე, ღრუბლიანობა იზრდება და ადგილ-ადგილ იღვეს 65% /.

ღრუბლიანობის წლიური მსვლელობა დასავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე თითქმის ერთნაირია: უცირის ღრუბლიანობას ადგილი აქვს შემოდგომის თვეებში (მინიმუმი ოქტომბერში 45—50% /); ზამთრისაკენ ღრუბლიანობა იზრდება, რამდენიმედ მცირდება იანვარში და მაქსიმუმს იღწევს ზამთრის ბოლოში და გაზაფხულის დასაწყისში (დაახლოებით 70% /).

ამრიგად ღრუბლიანობის წლიური მსვლელობა თითქმის საწინააღმდეგოა ნალექების წლიური მსვლელობისა (შემოდგომაზე იცის ნალექების მაქსიმუმი და ღრუბლიანობის მინიმუმი) და უფრო თან ხვდება ნალექიან დღეთა რიცხვის წლიურ მსვლელობას, რაც გვიჩვენებს, რომ ამ სეზონებში ღრუბლები სხვადასხვაგვარი წარმოშობის არიან და, რომ შემოდგომის სეზონში მნიშვნელოვნად სჭარბობს ვერტიკალური განვითარების ღრუბლები.

სანაპიროებზე და საერთოდ დაბლობზე მთელი წლის გამანალობაში დილის საათებში (7 ს.) ღრუბლიანობა მეტია ვიდრე დღისით (13 ს.) და საღამოთი (21 ს.). დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ რაონებში (წიფა) გაზაფხულის დასასრულს და ზაფხულის დასაწყისში მოლრუბლულობა 13 საათზე რამდენიმედ უფრო მეტია, ვიდრე დღილის 7 საათზე, მაისიდან იგდისტომდე კი ღრუბლიანობა საღამოს (21 საათი) მეტია ვიდრე დღილის 7 საათზე. ამ რაონში ზაფხულის თვეებში ღრუბლიანობის გაზრდა დღის და საღამოს საათებში შედარებით დილის ღრუბლიანობასთან, აისნება დასავლეთის ქარების გაბატონებით ნაშუაღლევის საათებში.

ცოლრუბლულ დღეთა რიცხვი დასავლეთ საქართველოში მერყეობს საშუალოდ 100—150 დღის ფარგლებში წელიწადში და მისი ტერიტორიალური განაწილება საერთოდ შეესაბამება ღრუბლიანობის ტერიტორიალურ განაწილებას.

მოლრუბლულ დღეთა წლიური მსვლელობა სავსებით შეესაბამება საშუალო თვიურ ღრუბლიანობის მსვლელობას, მინიმუმია სექტემბერ-ოქტომბერში (7—9 დღე) და მაქსიმუმია მარტში (12—15 დღე).



— მოწმენდილ დღეთა რიცხვი მერყეობს საშუალოდ 45-დან (ბათუმის საბა-პიროვზე) 90-დე (აღმოსავლეთ ნაწილებში). მოწმენდილ დღეების ყველაზე მეტ რიცხვს მოერს დასავლეთ საქართველოში ადგილი აქვს სექტემბერ-ოქ-ტომბერში 7—11 დღე თვეში.

აღმოსავლეთ საქართველოში, შეტეოროლოგიური სადგურების მონაცე-მების მიხედვით, ღრუბლიანობის წლიური რაოდენობის ტერიტორიალურ გა-ნაწილების კანონმიერება არ ემჩნევა. რამდენიმედ დაბალია საერთო ღრუბლიანობის რაოდენობა ქართლის ვაკეზე და განსაკუთრებით, გარე კახეთში (45—55%). კავკასიონის კალთებზე, სიმაღლის მატებასთან ერთად ღრუბლიანობა რამდენიმედ იზრდება და 2000—2500 მ სიმაღლეზე 60%, ცოდნათი აღე-მატება. ქედის უმაღლეს ზონებში, სადგურ მაღალმთიან ყაბეგის მონაცე-მების მიხედვით, საშუალო წლიური ღრუბლიანობა რამდენიმედ ნაკლებია 55%.

ღრუბლიანობის წლიური მსვლელობა აღმოსავლეთ საქართველოში საერთოდ კარგად მისდევს ნილექების წლიურ მსვლელობას, თუმცა მაქსიმუმი და მინიმუმები არ ხვდებიან ერთსადაიმავე თვეებში. ტერიტორიის უდიდეს ნაწილში ღრუბლიანობის მთავარ მინიმუმს ადგილი აქვს არა იანვარში, არამედ აგვისტოში, 40—45%; ხოლო მაქსიმუმი გადანაცვლებულია გაზიფხულის დასაწყისისაცნ ზამთრის ბოლოსაცნ, 60—65%. ზაფხულის მეორე ნახევარში და შემოდგომის პირველ ნახევარში სკარბობს კარგი ამინდის ფრთა და ვრცვა-ღრუბლები. უკანასკნელი განსაკუთრებით ხშირად ვითარდებიან ჯავახეთის პლატოზე და ქართლის ვაკეზე, სადაც ზამთრის თვეებში გაბატონებულ ინტი-ციკლონურ მდგომარეობის გამო ადგილი აქვს რადიაციულ გადაცივებას. გა-ზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში კი თუმცა ადგილი აქვს ღრუბლების მრავალსახეობას, მაგრამ უფრო ხშირად ვითარდებიან მაინც ნოტიო-უმდგრადი კონვექციის ღრებლები.

წლის თბილ ნახევარში ღრუბლიანობა იზრდება ნაშუადღევის საათებში, რაც გამოწვეულია უმთავრესად კონვექციური ღრუბლების განვითარებით ამ საათებში. წლის თბილ ნახევარში დილის საათებში საქმიან ხშირია ფრთოვანი სახის ღრუბლები, რაც დაკავშირებულია რადიაციულ გადაცივებასთან ლამის საათებში.

მოწმენდილ დღეთა რიცხვი მერყეობს 75-დან 100-დე, ხოლო მოღრუბლულ დღეთა რიცხვი 90-დან 120-მდე წლიწცდში. მოწმენდილ დღეთა უდი-დეს და ღრუბლიან დღეთა უმცირეს რიცხვს ადგილი აქვს ზაფხულის ბოლოს და შემოდგომის დასაწყისში. მოღრუბლულ დღეთა უდიდესი რიცხვი ხვდება დეკემბერს (12—14 დღე). კავკასიონის მაღალმთიან ზონაში, დაახლოებით 2000 მ სიმაღლეზე, მოღრუბლულობა ზაფხულში მეტია, ვიდრე ზამთარში: აგვისტოს მინიმუმი გადადის იანვარზე.

### კლიმატის ტიპები საქართველოში

საქართველოს მრავალფეროვანი კლიმატის ტიპების დადგენა და თითო-ეული მათგანის გავრცელების ტერიტორიის შემოსაზღვრა მთელ რიგ სიძნე-

ლეგენდა არის დაკავშირებული. ამ სიძნელეებს ერთვის ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს კლიმატთა კლასიფიკაციის საყოველთაოდ მიღებული და საქვთოდ ჩამოყალიბებული სისტემა.

კავკასიის კლიმატების რუკა, რომელშიაც, ცხადია, საქართველოც შედის, შეადგინა პროფ. ფიგუროვსკიმ (1919.). ეს რუკა, რომელიც თავის დროისათვის დიდი მიღწევა იყო, ამჟამად უკვე მოძველებულია.

ფიგუროვსკის რუკაზე ერთიდაიგვე კლიმატური ზონა მოიცავს ისეთ რაიონებს, რომელთა მეტეოროლოგიური მონაცემები და აგრეთვე ლანდშაფტების სახეები მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

სიმინდის ჰავის (VII C<sub>3</sub>) ზონაში შედის შიდაკახეთი, შიდაქართლი (გორი), მდინარე ყვირილის აუზის ჭედანაწილი (წიფა) და დასავლეთ კავკასიონის ფერდობზე იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილები; ზომიერ ცივი კლიმატური ტიპის (VII D) ზონაში მოქცეულია აღმოსავლეთ საქართველოში მესენის დიდი ნაწილი (ახალ(კიხე, ბორჯომი) და დუშეთის რაიონი, ხოლო დასავლეთ საქართველოში ინის რაიონი და იმავე სიმაღლეზე მდებარე აღგილები კავკასიონის ფერდობზე. აღნიშნული რაიონების კლიმატური თვისებები და მათ შედეგად ლანდშ ფრების სახეები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, რომ ერთსადაიმავე კლიმატურ ტიპისათვის მათი მიკუთხნება, ცხადია, არ შეიძლება.

კლიმატური ტიპების გამოყოფის დროს ფიგუროვსკი ხელმძღვანელობდა თავის მიერ შედგენილ კლიმატთა კლასიფიკაციის სისტემით.

ეს სისტემა არ აღმოჩნდა გარევეულ და რეალურ პრინციპზე იგებული, რის გამო მან ვერ ჰპოვა საფანიზო გვარცელება.

გარდა თვით ავტორისა, ამ სისტემით არავის მრუხდენია რომელიმე ქვეყნის კლიმატური დარაიონება.

საქართველოს კლიმატები აღნიშნულია, აგრეთვე ა. ვოზნესენს კის (9) მიერ შედგენილ სსრკ-ს კლიმატების რუკაზე (1930 წ.). ამ რუკის შედგენის დროს ვოზნესენს კი ძირითადად ეყრდნობოდა კიოპერის ძველ სისტემას (1926 წ.), რომელშიც არ არის მიღებული მხედველობაში წლიურ ნალექების და საშუალო წლიური ტემპერატურის შეფარდება ნალექების სხვადასხვა წლიური მსვლელობისათვის. ამიტომ ვოზნესენს კი რუკაზე ერთიდაიგვე კლიმატური ტიპის (Ca) საზღვრებში მოქცეულია კოლხეთი, ყვირილის ხეობის ზედა ნაწილი, სურამის უღელტეხილი, შიდაქართლის ვაკე, კერძოული მეტი ნაწილი—თბილისანიდ და შიდაკახეთი. ასე რომ, ეს რუკა კიდევ უფრო სტემატურია, ვიდრე ფიგუროვსკის. პროფ. ბალაბუევი (10) საქართველოს „კლიმატურ გენეტიკურ“ დარაიონების დროს კლიმატების კლასიფიკაციის არც ერთ არსებულ სისტემას არ ეყრდნობა, რის გამო ის ვერ იძლევა მის მიერ გამოყოფილ ოლქების და რაიონების კლიმატურ ტიპების სახელწოდებას.

„აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატ-გენეტიკური ოლქი“ ან და „გორი-მუხრანის ამოქვაბულის რაიონი“ არ წარმოადგენს კლიმატურ ტიპების დამზადითებელ ცნებას.

ბოლო წლებში მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების დაგროვება, მთელი რიგი სინიტერესური გამოკვლევების გამოქვეყნება ამიერქავებას ისაში ატ-მოსფეროს ძირითადი ცირკულაციური პირობების შესახებ და საბჭოთა მეცნიერების მიღწევები კლიმატების გენეტიკური კლასიფიკაციის ჩამოყალიბების საქმეში—საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს საქართველოს კლიმატი, როგორც ატმოსფეროს ცირკულაციური პირობების ურთერთ მოქმედების შედეგი. მაგრამ ატმოსფეროს ცირკულაციურ პირობების ნიშანთვისების, გაბატონებული ჰაერის მასების და მათი სეზონური ცირკულაციის თავისებურობის მიხედვით, საქართველოს კლიმატური დარაიონება ამჟამად შესაძლებელი ხდება მხოლოდ ზოგადად, სქემატურად.

საბჭოთა მეცნიერის აღისოვანის [11] მიერ დამუშავებული გენეტიკური კლასიფიკაციის სისტემა, რომელიც საგეგმით ეყრდნობა ატმოსფეროს დინამიკურ პირობებს და, რომელიც ყველაზე უფრო თანამედროვეა, ჯერ-კიდევ თავად სქემატურია, რაღაც მშედველობაში არ აქვს მიღებული ზღვის დონიდან აღვილის სიმაღლე და რელიეფის ფორმა.

ატმოსფეროს ცირკულაციის ხასიათის და მათთან დაკავშირებული ამინდის პირობების მიხედვით საქართველოს ტერიტორია შეიძლება გაიყოს ორ ცირკულაციურ კლიმატურ ლოკაცია და ერთ კვეოლქად. საქართველოს კლიმატურ რუკაზე (იხ. რუკა) კლიმატური ლოკები გამოყოფილია უშვეტი მსხვილი ხაზით, ხოლო კვეოლქი წყვეტილი მსხვილი ხაზით.

### ა. ზღვის სუბტროპიკული კლიმატის ნოტიო ოლქი.

ამ ოლქს უჭირავს დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, რომელიც აღმოსავლეთი ეკვიპის შავ ზევას და ამნაირად მდებარეობს დინამიკური ანტი-ციკლონის უკიდურეს აღმოსავლეთ პერიფერიაზე. ამიტომ აშ ოლქის კლიმატი ძირითადად ხმელთაშუა ზღვის კლიმატის თვეისებებს ინარჩუნებს, მაგრამ მისგან განიჩევა უფრო მაღალი სინოტიკით, ნალექის მეტი სიუხვით და მშრალი ზაფხულის სეზონის უქმნლობით. ამის მთავარი მიზეზი, როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველოს რელიეფია, რომლის გავლენით ჰაერის მასების დასავლეთის ნაკადი განიცდის კონვერგენციას და იძულებით აღმავალ დენას.


ოლქში მთელი წლის განმავლობაში ზღვის ან კონტინენტის განესტიანებული პოლარული ჰაერის მასაა გაბატონებული; ამავე დროს საქმიან ხშირად გვხვდება ტროპიკული ჰაერის მასა, ხოლო ზაფხულის თვეებში ადგილი აქვს პოლარულ ჰაერის ტროპიკულად ტრანსფორმირების შემთხვევებს.

მთელი წლის განმავლობაში საკმაოდ ხშირია ფრინტალური ოკლუზის ფრინტის და ცივი ჰაერის მასების ადვექციის ტაპის ამინდები, წლის თბილ ნახევარში (განსაკუთრებით გაზაფხულზე) ხშირია აგრეთვე შიდამსური ამინდის ტაპი შეზღუდული კონვექციათ. ოლქის ტერიტორიის მეტ ნაწილზე კარგად გამოსახულია ქარების მუსონური ცვლა. წლის ცივ ნახევარში გაბატონებული აღმოსავლეთის ქარები განიცდიან დაღმავალ დენას და ჩვეულებრივ ფი-

საქართველოს სამ

კუნძული აფშ

1:250,000



ონურ ხასიათს ატარებენ. ბრიზებს ადგილი აქვს თითქმის მთელი წლის გან-  
მავლობაში და შიგადაშივ ისინი ერთვიან წლის თბილ პერიოდში მთისა და  
ხეობის ქარებს. ნალექის წლიური რაოდენობა, რელიეფის პირობების მიხედ-  
ვით, მერყეობს 100—300 მმ-დე. ხალექების მეტი რაოდენობა შემოღვიმაზე  
და ზამთრობითა, უმცირესი—გაზაფხულზე. ყველაზე მშრალ თვეში მოღის სა-  
შუალოდ არანაკლებ 40—50 მმ. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე  
72—83%, ზაფხულობით იგი ტერიტორიის მეტი ნაწილშე, რამდენიმედ მეტია,  
კიდრე ზამთრობით.

### ბ. სუბტროპიკულ კონტინენტალურ კლიმატიდან ზღვის კლიმატზე გარდამავალი ოლქი

ოლქი, რომელსაც უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია, წარ-  
მოადგენს კონტინენტალურ სუბტროპიკულ კლიმატურ ზონის (თურქესტან-  
აზერბაიჯანის) დასავლეთ განაპირო უბანს და უკანასენელიდან ძირითადად გან-  
სხვავდება ნალექის რამდენობაზე მეტი რაოდენობით, შედარებით მაღალი შე-  
ფარდებითი სინოტივით და ტემპერატურის ნაკლები წლიური ამჟღვიტუდით.

შემოღვიმაზე, ზამთარში და გაზაფხულზე ოლქში გაბატონებული არიან  
კონტინენტალური და ტრანსფორმირების სტადიაში მყოფი ზღვის პოლარული  
ჰაერის მასები, ზაფხულში—კონტინენტალურ-პოლარული ჰაერის მასები ტროპი  
კულ ჰაერად თითქმის ტრანსფორმირებული.

შემოღვიმის მეორე ნახევარში და ზამთარში გაბატონებულია ანტიციკ-  
ლონური ამინდის ტიპი, ჩევულებრივ რადაციული გაცივების არა ხანგრძლი-  
ვი პერიოდით, და ფრონტალური. გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში გა-  
ბატონებულია ამინდის კონვექციური, ხშირად არამდგრადი, და ფრონტალური  
ტიპებით, რომელიც ჩევულებრივად პოლარულ ფრონტის სამხრეთ განშტოების  
ტალურ და ციკლონურ განშტოებასთან არიან დაკავშირებული. ზაფხულის  
მეორე ნახევარში უფრო ხშირია მშრალი აღიაბატური კონვექციის ამინდის ტიპი.

დასავლეთის ნაკადი დაღმივალია, აღმოსავლეთის კი სუსტად აღმავალი.  
წლის თბილ პერიოდში განვითარებული არიან მთისა და ხეობის ქარები.

ნალექების წლიური რაოდენობა ტერიტორიალურად მერყეობს 30-დან  
150—სემდე. მეტი ნალექი მოღის გაზაფხულის დასასრულს და ზაფხულის და-  
საწყისს, თვეში დაახლოებით წლიური რაოდენობის 15%; უმცირესია—იან-  
ვარში, 2—4%. ნალექების მეორე, უფრო მცირე მაქსიმუმს, ადგილი აქვს შემო-  
დგრ მაზე.

საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივე 50—75%, შეადგენს; ზაფ-  
ხულობით შეფარდებითი სინოტივე მნიშვნელოვანად ნაკლებია, კიდრე ზამთარ-  
ში.

ოლქში შეიძლება გამოიყოს ქვეოლქი, სიღაც კლიმატის კონტინენ-  
ტური ხასიათი უფრო მკვეთრად არის გამოსახული, კიდრე ოლქის სსვა ნაწი-  
ლებში. ამ ქვეოლქს უჭირავს საქართველოს სამხრეთ-მთიანეთის ცენტრალური  
ნაწილი.

ადგილის მნიშვნელოვანი სიმაღლე (1100—2500 მეტრამდე) და მთის  
ქედები, რომელიც მის იღვვლივ მდებარეობენ, აზომიერებენ ქვეოლქში ჰაე-

რის მასების შემოჭრის პროცესის ეფუქტს; უპარიტესობა ეძლევა ქვეოლების ოროგრაფიულ პირობებით გამოწვეულ პროცესებს.

წლის ცივ ნახევარში, რადაც ცაული გაცავების შედეგად, აქ ვითარდებიან ტემპერატურული ინვერსიები ხშირად წყარი, უღრებლო (ნათელ) და ცივი ამინდით; ზაფხულობით აქ მზის ინსოლაცია ძლიერია. ამიტომ ზამთარში ქვეოლები შესამჩნევად უფრო ცივია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოს იმავე სიმაღლეზე მდგარე სხვა რაიონები.

ჰაერის ტემპერატურის წლიური ამპლიტუდი აქ ზოგან აღწევს  $25^{\circ}$ — $26^{\circ}$ , მიუხედავად აღგილის საქმიან დიდი სიმაღლისა. ნალექების წლიურ მსვლელობაში აგვისტოს მეორად მინიმუმს აქ აღილი არა აქვა, რაც შეიძლება აიხსნას ზაფხულში კონცენტრური პროცესების განვითარებით. ქვეოლები, ჯავა-სიონის ფერდობთან შედარებით, ნალექებით ღარიბია.

ატმოსფეროს ცირკულაციის საერთო ხასიათი კავკასიონის მაღალმთიან ზონაში ძირითადად ისეთივე, როგორც შესაბამის ოლქებში. მართალია, აქ ადგილი აქვს მეტად მნიშვნელოვან თავისებურებებს, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან შესაფერად შესწავლილი და ამიტომ მათზე დაყრდნობით შეუძლებელი ხდება ამჟამად მაღალმთიანი ადგილების გამოყოფა ცალკე ცირკულაციურ კლიმატურ ოლქად.

ზევით აღნიშნული თითოეული ცირკულაციურ-კლიმატური ოლქისათვის დამახასიათებელი ამინდის ზოგადი ტიპი ვრცელდება ოლქის თითქმის მთელს ტერიტორიაზე. მაგრამ მეტეოროლოგიურ ელემენტების რიცხობრივი მაჩვენებელები ადგილის სიმაღლის გადადებასთან და რელიეფის ფორმისთან ერთად იცვლება.

ამიტომ თითოეული ცირკულაციურ-კლიმატური ოლქი (და ქვეოლები), მეტეოროლოგიური ელემენტების რიცხვით მნიშვნელობაზე დამყარებული კლასიფიკის მიხედვით, იყოფა ცალკე კლიმატურ ტიპებად. ზოგიერთ კლიმატურ ტიპში გამოყოფილია ქვეტიპი (იხილე რუკაზე პუნქტურებით შემოხაზული აღგილები).

ამ დაყოფას ჩვენ ხატუდვლად დაუდეთ კიოპენის (12) უკანასკნელი სისტემა, რომელიც კლიმატურ ელემენტის საშუალო სიდიდეებზე დამყარებული კლასიფიკის სისტემათა შორის ცველაზე უფრო ჩამოყალიბებული და გავრცელებულია. ამავე დროს მხედველობაში მივიღეთ ის გარემოება, რომ ამ სისტემის მიხედვით შედგენილი დედამიწის კლიმატების რუკა საქმიან გავრცელებულია, და ამიტომ ამ სისტემას მიხედვით საქართველოს დარაიონება გააღდეილებს საქართველოს კლიმატების ანალოგიურ კლიმატების გამოვლინებას დედამიწის სხვა მხარეებში.

საქართველოს ტერიტორიის ძლიერ დასერილობის გამო, რიცხობრივ მაჩვენებლებზე დამყარებული კლიმატური ტიპები აქ ძლიერ ცვალებადობენ, და ხშირად გვხვდება ისეთი გარდამავალი ტიპი, რომელიც გარევეულად არც ერთ ტიპს არ ეკუთვნის.

ამიტომ ისინი აღნიშნულია ჩვენს მიერ, როგორც მოსაზღვრე კლიმატურ ზონებს შორის გარდამავალი ტიპები.

## დამზადებლი ღიტერატურა

1. М. Миланкович. Математическая климатология. Москва, 1939.
2. Проф. И. Э. Гачечиладзе. Ливни в Грузии. Тбилиси, 1934 г.
3. Ficker. Meteorologische Leitschrift. 1927.
4. გრუნსკი (Grunsky) Simplified rain intensity formulas. Monthly Weather Review october 1930.
5. ბ. ყავრიშვილი. ღვარცოფები მდ. ალაზნის აუზში. თბილისის სამ. უნივერსიტეტის შრომები, IV, 1937 წ.
6. И. В. Фигуровский. Ливни на Кавказе. Москва, 1928 г.
7. ბ. კორდაბაძე. ნალექები დასავლეთ საქართველოში. საფისერტაციო შრომა. 1940 წ.
8. И. Фигуровский. Климаты Кавказа. Тбилиси, 1919 г.
9. А. В. Вознесенский. Карта климатов СССР. Труды по сельскохозяйственной метеорологии. Выпуск XXI, 1910.
10. А. Г. Балабуев. Генетис климата Закавказья. Сообщения Академии Наук Грузинской ССР, т. 1, 1940 г.
11. Б. П. Алисов. Географические типы климатов. Метеорология и гидрология, № 6, 1936 г.
12. პროფ. ვ. გომბენი, კლიმატოლოგის საფუძვლები. თარგმნილი დოც. ქურდიანის მიერ. 1935 წ.

1	2	3	მოქლე დახასიათება		
			საშუალო ტემპერატურა		აბსოლუტური მინიმუმი ტემპერატურის
			იანვარი	ივლისი	
4	5	6			
1	Cfa	ზომიერად თბილი და ნოტრ კ კლიმატი, მაღიების საკმაო რაოდენობით წლის ყველა სეზონში და ცხელი ზაფხულით.	4°-დან 7°-მდე	22°-დან 24°-მდე	-20°-დან -7°-მდე
1a	"	გარბად ნოტრი ქვეშონა მთელი წლის განმავლობაში გაძლიერება ზოგის ქარბათ და ნალექების მაქსიმუმით ზემოდკომა-ზართარში.	5°-დან 7°-მდე	22°-დან 22°,5-მდე	-12°-დან -7-მდე
1b	"	ნოტრი ქვეშონა კარგად გამოსახული მწარმეური ნასიათის ქარებით და ხალების მაქსიმალური რაოდენობით ზაფხულ-ზემოდკომანები.	4°-დან 6°-მდე	22°,5-დან 23,5-მდე	-14°-დან -8°-მდე
1c	"	ზომიერად ნოტრი ქვეშონა, სადაც მთელი წლის განმავლობაში ჩრდილოეთის ქარებით გამარტინებული. ნალექების მერყეობის უხომისი მხადველი უზინებელობა.	4°-დან 6°,5-მდე	23°-დან 24°,3-მდე	-15°-დან -10°-მდე
1d	Cfsa	ზომიერად ნოტრი ქვეშონა, შედარებით მშობლი ზაფხულით.	10,5-დან 4°-მდე	18°,4-დან 24°-მდე	-20° დან -12°-მდე
2	Cfb	ზომიერად თბილი და ნოტრი კლიმატი საქმაო ნალექით წლის ყველა სეზონში და არაცხელი ზაფხულით.	-3°-დან 2-მდე	16°-დან 22°-მდე	-20°-დან -15°-მდე
2a	Cfb*	ქვეშონა შედარებით მშობლი ზაფხულით. მაგრამ მარტინების დროის მაღიების გარეშე განვითარებული და არაცხელი ზაფხულით.	-3°-დან 10,5-მდე	18°-დან 22°-მდე	-20°-დან -15°-მდე
3	Dfb	ცივი და ნოტრი ზამთრის (ბორეალური) კლიმატი არაცხელი, მაგრამ ზანგრძლივი ზაფხულით.	-6°-დან -3°-მდე	15°-დან 17°,5-მდე	-30°-დან -12°-მდე
3a	"	ზამთარი მყაცრი და თოვლიანი, ქვეშონა.	-6°-დან -5°-მდე	16°,5 დან 17°,5-მდე	-30°-დან -25°-მდე
4	Dfc	ცივი ნოტრი ზამთრის კლიმატი მოქლე და გრილი ზაფხულით.	-8°-დან -6°-მდე	10°-დან 15°-მდე	-22°-დან -15°-ძღვე
5	ETH	მაღალმთის უზაფხულო კლიმატი, ზანგრძლივი და მძლავრი თოვლის საბურველით.	-	-	-

\* ზონის სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა თვეში.

ნალექები სანტ-ში			შეფარდებითი სინოტივე 13 სათავე % -ში		მდგრადი სამუშაო ხაზები		გავრცელების რაიონი
შლიური	უდიდესი თვიური	უმცირესი თვიური	იანგარი	აგვისტო	მდგრადი სამუშაო	მდგრადი სამუშაო	13
7	8	9	10	11	12		
125 დან 260-მდე	13-დან 23-მდე (VIII—XI)	5-დან 11-მდე (IV—V)	55-დან 70-მდე	65-დან 80-მდე	არა მდგრადი	ზღვის სანაპირო ზონა. აჭარა-გურია და აფხა- ზეთშე დაა. 200 მეტრის სრაალდემდე, მდ. რიონის ხეობაში 4 0 მეტრის სი- მაღლემდე ზღვის დონიდან.	
200-დან 260-მდე	32 (XI)	7-დან 8-მდე (V,VI)	65-დან 70-მდე	70-დან 80 მდე	"	აჭარის სანაპირო და გუ- რიის ნაწილი.	
130-დან 200-მდე	24 (VIII,IX)	5 (IV,V)	55-დან 70-მდე	65-დან 80-მდე	"	სამეგრელოს დაბლობი და ქვემო იმერეთი.	
125-დან 150-მდე	13 (IX)	8-11 (V)	60—70	65—70	არა მდგრადი	აფხაზეთის სანაპირო	
100—150	15 I	5—6 (V VIII)	60—75	50—65	"	მდინარე ყვირილის ხეობა	
100—280	10—30*	5—11	60—80	55—80	1—3	ზონა გრცელდება Cis კლი- მატურ ზონის ხემოდ მთის კალთებზე დაა. 1100-1500 მეტრის სიმაღლემდე.	
110—120	11—12 (XI,XII)	5—7 (VIII)	60—75	55—65	"	სურამის ულელდებილის დასავლეთი გორდობი.	
100—300	10—30*	5—12*	65—85	60—80	2—5	გ ყვება მთის ფერდობზე Cis ზონის ხემოდ საშუა- ლოდ 1700 მეტრის სი- მაღლეზე.	
160—180	8 (II)	15—16 (X)	80—85	65—70	4—5	შაორის ველი.	
100—300	9—20*	5—10*	—	—	5—6	ზონა გრცელდება საშუა- ლოდ 1700 მეტრის სიმაღლიდან და გოცელდება მუდმივ თოვლის ხასამდე საშუა- ლოდ 2950 მეტრის სიმა- ღლემდე.	
—	—	—	—	—	—	ზონა იყება საშუალოდ 2400 მეტრის სიმაღლიდან და გოცელდება მუდმივ თოვლის ხასამდე საშუა- ლოდ 2400 მეტრის სიმა- ღლემდე.	

ნოტი ცისამართი ნების ნიშანი	კლიმატურ ფაქტორი	მოკლე დაზასიათება	ზოგიერთი ძირითადი მეტეოროლოგიური მაჩვენებელი		
			საშუალო ტემპერატურა:		აბსოლუტური მინიმუმ ტემპერატურას
			ღანგარი	იცლისი	
1	2	3	4	5	6
6	E'FH	მაღალმთის მარადი უზვი თოვლის და მყინვარების კლიმატი.	—	—	—
7	BSxak	შრალი (ტრამალების) კლიმატი ზომიერად ცივი ზომითი და ცხელი ზაფხულით.	—30,5-დან 0,7-მდე	22° დან 25°-მდე	—32°-დან —20°-მდე
7	*	ზამთარი ცივი და ზაფხული შედარებით გრილი ქვეშონა, ნალექების მეტი რაოდენობით.	—20°-დან —2°-მდე	22°-დან 23°-მდე	—32°-დან —30°-მდე
8	B S→Cxa	სუბტროპიკულ შრალიდან ზომიერად ნოტით კლიმატზე გარდამავალი, ცხელი ზაფხულით	—2° დან 0°,9-მდე	23°-დან 24°,5-მდე	—22°-დან —15°-მდე
9	Cxb→BS	ზომიერად ნოტით და ზომიერად თბილი კლიმატიდან სუპტროპიკულ მშენებლივ კლიმატზე გარდამავალი არაცხელი ზაფხულით.	—3°-დან —0°,7-მდე	18°-დან 22°-მდე	—25°-დან —20°-მდე
10	Cxa	ზომიერად ნოტით, ზომიერად თბილი კლიმატზე ცხელი ზაფხულით და ნალექის ორი მაქსიმუმით წელიწადში.	—0°,3-დან 1°-მდე	22°5-დან 24°-მდე	—25°-დან —24°-მდე
11	Cxb	ზომიერად ნოტით, ზომიერად თბილი კლიმატი არაცხელი ზაფხულით და ნალექის ორი მაქსიმუმით წელიწადში.	—3°-დან —1°-მდე	19°-დან 22°-მდე	—25°-დან —20°-მდე
12	Dxb	ზომიერად ნოტით კლიმატი ცხელი ხანგრძლივი გრილი ზაფხულით და ნალექის ორი მაქსიმუმით	—6°-დან —3°-მდე	16°-დან 20°-მდე	—28°-დან —25°-მდე
13	Dxc	ზომიერად ნოტით კლიმატი ცივი ზამთრით და მოკლე ზაფხულით, ნალექის მაქსიმუმი ზაფხულის დასაშუალების და მინიმუმი ღანგარში.	—8°-დან —6°-მდე	10°-დან 16°-მდე	—30°-დან —25°-მდე

გიური ელექტრობის რიცხობრივი მაჩვენებლები						გავრცელების რაიონი
ნალექები სანტ-ში			შეფარდებითი სი- ნორივე 13 საათ- ზე მ/მ-ში			ნონების მდგრადი და სანქცი- ების მიზანი
ჭლიური	უდიდესი თვიური	ჯმირები თვიური	იანვარი	აგვისტო	შემთხვევის მდგრადი და სანქციების მიზანი	13
7	8	9	10	11	12	
—	—	—	—	—	11—12	ზღვის დონიდან საშუალოდ 3000 მეტრზე ხემოთ.
35—45	6—7 (V) 4 (IX)	1—1,4 (I) 3 (VIII)	55—60	40—45	არა- მდგრადი	მდინარე მტკვრის ხეობა თბილისის ქვემოთ და იორის ქვემო წელი.
40—45	7 (V) 4 (IX)	1,4 (1 VIII)	—	—	—	შირაქის ველი
50—60	7—9 (V) 4—5 (IX)	1—2 (I) 3—4 (VIII)	55—65	45	—	ზონა გარს ერტყმის ვა- წრო ზონად B Szak კლი- მატურ ზონას დასავლე- თიდან და ჩრდილოეთი- დან, ხოლო მდინარე მტკვრის ზეობის გასწორებ მიმმართება თბილისის ზე- მოთ ავჭალიდება.
45— <sup>+</sup> 5	7—10 (V) 4—5 (IX)	1,5—2 (I) 3—4 (VIII)	65—70	45	1—1,5	ზონა გარს ერტყმის BS→ Cxa კლიმატურ ზონას და აღწევს საშუალოდ 700— 800 მეტრის სიმაღლემდე.
55—90	10—14 (V) 4—7 (IX)	4—6 (I) 5—7 (VIII)	60—65	45—60	არა მდგრადი	შიდა ქაშეთი. მდ. მტკვრის ვიწრო სანაპირო ავჭალი- დას ძეგვიმდე.
50—75	8—12 (V) 5—8 (IX)	1,5—3 (I) 3 5—7 (VIII)	65—70	45—50	1—2	ზონა გარს ერტყმის Cxb→ BS ზონას და ვრცელდება საშუალოდ 1100 მეტრის სიმაღლემდე.
50—90	10—18 (V,VI) 8—10 (IX,X)	3—4 (I) 7—10 (VIII,IX)	60—65	60	2—6	ზონა ვრცელდება ქავკა- სინინს სამართლებულებების და თრიალეთის ქედზე საშუალოდ 1100 მეტრი- დან 1900 მეტრის სიმა- ღლემდე.
50—110	8—23 (V,VI)	1,3—7 I	55—60	60—65	4—6	ზონა ვრცელდება ქავკა- სინინს სამართლებულებების და თრიალეთის ქედზე საშუალოდ 1900 მეტრი- დან 2000 მეტრის სიმა- ღლემდე.

კლიმატური ზონის ნიმუში	კლიმატური ნიმუში	მოკლე დაბასისათვება	ზოგიერთი ძირითადი მეტოდის შემთხვევაში		
			საშუალო ტემპერატურა	იანვარი	ივლისი
1	2	3	4	5	6
14	Dxb → BSg	ზოგიერთ ნოტიო, ცივზამთრიანი და ხანგრძლივი ზაფხულიანი კლიმატის სუბტროპიკული მთიანეთის შშრალ კონტინენტზე გარდამავალი, ნალექის ორი მაქსიმუმით წელიწადში.	—8°-დან —3°-მდე	15°-დან 20°-მდე	—30°-დან —25°-მდე
15	Dfwb	ზოგიერთ ნოტიო კლიმატი ცივი ზამთრით და ხანგრძლივი ზაფხულით, ნალექის მინიმუმით ზართარში.	—7°-დან —3°-მდე	15°-დან 20°-მდე	—25°-დან —20°-მდე
16	Dfwbk' → → BSG	ზოგიერთ ნოტიო, ცივი და შედარებით შშრალზამთრიანი, თბილი და ხაზრძლივი ზაფხულიანი კლიმატის შშრალი სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატზე გარდამავალი.	—6°-დან —4°-მდე	18°-დან 21°-მდე	—30°-დან —25°-მდე
17	Dwbk → → BSG	ზოგიერთ ნოტიო, ცივი და შედარებით შშრალზამთრიანი და გრილი და ხანგრძლივი ზაფხულიანი კლიმატის შშრალი სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატზე გარდამავალი.	—8°-დან —6°-მდე	15°-დან 18°-მდე	—35°-დან —25°-მდე
18	Dfwbk → → BSG	ზოგიერთ ნოტიო, ცივი და შედარებით შშრალზამთრიანი და მოკლე გრილ ზაფხულიანი კლიმატის შშრალ სუბტროპიკული მთიანეთის კლიმატზე გარდამავალი.	—10°-დან —8°-მდე	12°-დან 14°-მდე	—30°-დან —25°-მდე
19	ETH	მაღალმთის უზაფხულის კლიმატი.	—12°-დან —8°-მდე	5°-დან 10°-მდე	—30°
20	EFH	მაღალმთის კლიმატი მარადი თოვლით	—16°-დან —12°-მდე	0°-დან 5°-მდე	—35° დან —30°-მდე

গোচর এলাকার প্রক্রিয়া ও ব্যবস্থা					শাস্তি প্রদান করা হবে	প্রতিবেদন করা হবে	গোচর এলাকার প্রতিবেদন করা হবে
নাম প্রদান করা হবে			শাস্তি প্রদান করা হবে	শাস্তি প্রদান করা হবে			
গোচর	শাস্তি প্রদান করা হবে	শাস্তি প্রদান করা হবে	গোচর	শাস্তি প্রদান করা হবে	গোচর	শাস্তি প্রদান করা হবে	গোচর
7	8	9	10	11	12		13
50—60	10—12 (VI)	1, 5—2,5 (I)	60—65	55—60	2—5	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
58—80	8—12 (VI)	—	70	60—65	2,5—4,5	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
45—55	8—9 (VI)	1,5—2 (I)	60—65	40—45	4—5	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
50—60	5—10 (VI)	1,5—2 (I)	65—70	45—50	3—4	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
40—50	—	—	—	—	4—6	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
70— 130	—	—	—	—	>6	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।
—	—	—	—	—	11—12	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।	শুভ মিত্রের পাশে দাঁড়ান্ত বাঁশের গোচর প্রদান করা হবে।

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.  
სარედ-საგამომც. საბჭოს დადგენილებით.

▲  
რედაქტორი—საქ. სსრ მეცნ. აკად.  
ნამდვილი წევრი ალ. ჯავახიშვილი

ლექ. რედაქტორი ვ. კაკაბაძე

▲  
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის  
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო

№ 30

სტ. შეკვ. 767. უე 00504. ტირ. 600  
ზელმიაშვილია დააბაქდ. 31,12,48  
ქაღ. ს. 74×105. საბეჭდ ფურ. 5,5  
სააღრიცხვო საგამომცემლო ფ. 7

---

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა  
აკაკი წერეთლის ქუჩა, № 7

